



ისტორიული მეგვიდროება

სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალი, 2013 წ. მარტი, №3 (32), ფასი 3 ლარი



ეს ინტერვიუ
საქართველოს
რესპუბლიკის
პრეზიდენტ
ზვიად
გამსახურდინასთან
მაცნაზე მეტი
ხნის წინ
ჩაინდრა.
მიუხედავად
დროის ამ
არც თუ მცირე
მონაკვეთისა,
პრობლემატი
ქვეყნის წინაშე
დღესაც თითქმის
იგივეა,
რაზეც თავის
მოსაზრებებს
უზიარებს
მკითხველს
საქართველოს
პირველი
პრეზიდენტი
ზვიად
გამსახურდია.
მას 31 მარტს
74 წელი
შეუსრულდება.

8 «არსებობს
საქარ-
თველს
7 ჯუჯა
სახელ-
მნიშვნე-
დების
გეგმა და
მე ის ნანახი
მექვს!»

ილია ჭავჭავაძე:
დედობა,
ხოლოცა და
დობა დიდი
საქვე
არ არის.
ეს ზოგი
ბუნების
15 საქვეა,
ზოგი —
გარემოებისა.
საქვე კი
დედაპრობაა

იღბა
20 თუ არა
«ორსაუ-
კუნოვანი
რუსული
ჩემება»
ქართული
ერის
ქისარზე?

«საქართვე-
ლს ხსენ
მხოლოდ
27 დსთ-
ევრასიულ
გაერთიან-
ებაში
განეწი-
ანებაა!»

ფრინაუ-
29 ბიდან
გამონილ
კალენტო-
ლოგოგაედა

გაგანსრო
40 თუ არა
მეტარება?

სახელმწიფო გადატრიალება
საქართველოში



სარჩევი

თარიღი

- **ზვიად გამსახურდია. სსელენიფო გადატრიალება საქართველოში** 4
სწორი პოზიცია
- **ელიზბარ ჯაველიძე: არსებობს საქართველოს
7 ჯუჯა სსელენიფოდ დავლის გავლა და მე ის ნანახი მაქვს** 8
პრემის ისტორია
- **1993 წელს საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციაზე და თბილისის
ივანე ჯავახიშვილის სსელეოვის უნივერსიტეტზე ქართული
ჟურნალისტის დღედ ერთობლივად დანახეს 21 მარტი** 11
თბილისის ისტორია
- **ილია ჭავჭავაძე: დედობა, სოლობა და დობა დიდი საქმე არ არის. ეს
ზოგი ბუნების საქმეა, ზოგი – გარემოებისა. საქმე კი დედობაზეა** 15
ისტორიული რეალობა
- **იღბა თუ არა „ორსაუკუნოვანი რუსული ჩემპიონატი“
ქართველი ერის ქისარზე?** 20
განათლება
- **მანან ნიკოლეიშვილი: ბოლო მხარე წლის განმავლობაში ყველაზე მეტი
დანაშაულებრივი ბრძანება შესრულდა განათლების სამინისტროში** 24
განმანათლებლობის
- **გივი ბარკაიანი: საქართველოს სსენ მსოლოდ
დსთ-მეორეული გარტიანებაზე განმარტანება!** 27
არქიტექტურა
- **მფრინავობიდან გამომდინარე პალეონტოლოგობაზე** 29
რანი ვიყავით, რანი გართ
- **სოფალი, რანი სოფალი** 32
ქართული პრესა 40 წლის წინ
- **ნინ ნავაღით, თუ უკან** 35
მეცნიერების განვითარება
- **გაგანსარო თუ არა მატარებელი?** 40
განმანათლება
- **ანე კალანდია. შენ ისე ღრმა ხარ, ისე ფაქიზი...** 43
- **მანან ანდრიაშვილის ნათელ სსოვნას** 45
რუსი ქართველები
- **ქაჯაქთა იდეებისთვის თავდადებული** 46
ფოტოგრაფია
- **ველოსავთ** 48

გამომცემელი: არასამეწარმეო იურიდიული პირი „ისტორიული მემკვიდრეობა“

სარედაქციო კოლეგია

პასუხისმგებელი რედაქტორი ღბრეჯან ანდრიაძე

მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. № 6 ტელ.: 234-32-95

ეს ინტერვიუ საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიასთან
ოც წელზე მეტი ხნის წინ ჩაინერგა. მიუხედავად დროის ამ არს თუ მხიკა
მონაქვეთისა, პრობლემატიკის წინაშე დღესაც თითქმის იგივეა,
რაც თვის მოსაზრებებს უზიარებს მკითხველს საქართველოს პირველი
პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია. მას 31 მარტს 74 წელი შეუსრულდა.



სახელმწიფო გადატრიალება საქართველოში

როცა სადღაც აფრიკაში ამხობენ მორიგ დიქტატორს, დაახლოებით ბოკასას ტიპისას, კაციჭამიაობაში მხილებულს, დასავლეთის განვითარებული ქვეყნების მთავრობები ამას განიხილავენ, როგორც „ადამიანის ძირითად უფლებათა და თავისუფლების უხეშ დარღვევას“ და დიქტატორის სანინააღმდეგოდ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჯარებს გზავნიან. მაგრამ, როცა საქართველოში იარაღის ძალით დაამხეს კანონიერი ხელისუფლება, მსოფლიო საზოგადოებრიობამ ეს ფაქტი შეაფასა, როგორც ქართველი ხალხის თავისუფალი ნების გამოვლინება. იმის გასარკვევად, თუ რით აიხსნება დასავლური დემოკრატიის ესოდენი გულგრილობა სახელმწიფოს კანონიერი ხელისუფლების ბედისადმი, მივმართეთ თავად საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტს — ზვიად გამსახურდიას.

— მთავრობები, რომელთაც თქვენ დემოკრატიულს უწოდებთ, სინამდვილეში კარგა ხანია განუდგნენ დემოკრატიას. დემოკრატია იქცა ცარიელ სიტყვად, რომელსაც თავის ნებაზე ატრიალებენ დასავლეთის მთავრობათა ამა თუ იმ პოლიტიკური ინტერესების შესანიღბავად. როცა ამ მთავრობებს სურთ, გააძლიერონ თავიანთი გალენა და სამხედრო ყოფნა რომელიმე რეგიონში, თავდაპირველად ცდილობენ მოისყიდონ ამ ქვეყნის ხელისუფლება და თუ წინააღმდეგობას წააწყდნენ, უბრალოდ, ამხობენ მას. ასეთ შემთხვევაში მათთვის არა აქვს მნიშვნელობა დამხობილი რეჟიმის ხასიათს: დემოკრატიულია იგი, თუ ავტორიტარული. ეს მტაცებლური მიდგომა სხვა ქვეყნებისადმი დღეს საბოლოოდ დამკვიდრდა ნატოს სახელმწიფოებში.
ალსანიშნავია, რომ დასავლეთის ყველაზე მძლავრი სახელმწი-

ფოები უკვე აღარც კი ცდილობენ შენიღბონ თავიანთი ზრახვები და ამკარად და ცინიკურად თრგუნავენ სხვა ხალხთა ნებას. სწორედ, ეს მოხდა საქართველოში.
— ბატონო პრეზიდენტო, რას წარმოადგენენ ეს მსოფლიო ძალები, ესოდენ თავისუფლად რომ ერევიან უცხო სახელმწიფოთა საშინაო საქმეებში?
— კაცობრიობის მტრებს (ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით). ისინი მიზნად ისახავენ ყველა სხვა ხალხის გენოციდს; პლანეტის მთელი მოსახლეობის ერთი განსაზღვრული ჯგუფის გამოკლებით. ეს ჯგუფი მჭიდროდ არის დაკავშირებული შეერთებულ შტატებსა და ევროპასთან და მთელი ძალით მიილტვის მსოფლიო ბატონობისკენ. ზოგადად, მე მას ევროამერიკულ იმპერიალიზმს ვუწოდებდი. მთავარ დამკვერთვლად მასში წარმოადგენს აშშ. შეიძლება ითქვას, სახელმწი-

ფო გადატრიალება საქართველოში იმართებოდა ოკეანის გაღმამიდან. აშშ-ის სახელმწიფო მდივნის, ჯ. ბეიკერის, პირადი მონაწილეობით და ბუშის ლოცვა-კურთხევით.
ბეიკერმა პირდაპირ მოუწოდა პუტჩისადმი საქართველოს ბანდიტურ-ოპოზიციურ დაჯგუფებებს (ამერიკაში ჩინებულად იცოდნენ, რომ ოპოზიცია საქართველოში კრიმინალური მაფიისა და ყოფილი პარტოკრატებისაგან შედგებოდა). **ბეიკერმა მკაფიოდ მიანიშნა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები არ უჭირდა მხარს საქართველოში არსებულ რეჟიმს და არაფრით დაეხმარებოდა მას. სცენარი გადატრიალებისა, რომელიც აშშ-მ მონაწილეობით საქართველოში, აღრე არაერთგზის გამოუყენებია ამ ქვეყანას პლანეტის სხვა რეგიონებში.**




— რით ვერ დაიმსახურა თქვენმა ხელისუფლებამ დასავლეთის კეთილგანწყობა?

— ჩვენ მივესწრაფვოდით დამოუკიდებელი პოლიტიკის გატარებას, არ დავემორჩილეთ დასავლური სახელმწიფოების დიქტატს, არ ვიქეცით მათი ინტერესების მსახურად, უფრო მარტივად რომ ვთქვათ, ჩვენ არ დავუშვით, რომ საქართველო დასავლეთის კოლონიად ქცეულიყო.

დასავლეთს კი მხოლოდ ისეთი ხელისუფლება აძლევდა ხელს, რომელიც უსიტყვოდ აღასრულებდა მის ნებას. ეს იქცა ერთერთ მიზეზად სამხედრო გადატრიალებისა და ხელისუფლებაში ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს (ცრუ) აგენტისა და ევროამერიკული იმპერიალიზმის პირდაპირი აგენტის მოსვლისა.

მაგრამ დასავლეთის წყრომას ჩვენს მიმართ კიდევ ერთი მიზეზი ჰქონდა. სახელმწიფოს სათავეში მოსულნი, ჩვენ ვესწრაფვოდით ეროვნული კულტურის აღორძინებას, ხალხის შეკავშირებას ეროვნული სულისკვეთებით, რათა მას მთელი სიღრმით გაეცნობიერებინა, რომ გაცილებით ძველი ისტორია აქვს, ვიდრე ბევრ ევროპულ ხალხს... ჩვენი პოლიტიკის ეს ეროვნული ორიენტაცია არ ინვევდა სწორედ საერთოევროპული სახლის მესვეურთა აღტაცებას, რადგან **ოფიციალური დასავლეთი** (მხედველობაში მაქვს ხელისუფლებანი და არა ხალხები) **იბრძვის ყოველგვარ ეროვნულ მოძრაობას. მათი მიზანია, გაანადგურონ ერის ნება საერთოდ და შექმნან**



ერთიანი მსოფლიო კონგლომერატი, სათავეში-მსოფლიო ხელისუფლებით. ამ მსოფლიო მთავრობამ უნდა განაგოს ქვეყნიერება და დაამყაროს ე.წ. ახალი მსოფლიო წესრიგი. ახალი მსოფლიოს წესრიგის არსია: განადგურება ყველა სახელმწიფოს (ქრისტიანული იქნება ის თუ მუსლიმანური, რელიგიას ისინი არ ანიჭებენ მნიშვნელობას) დამოუკიდებლობისა, გენოციდი ამ ქვეყნების მოსახლეობისა და საბოლოო დამორჩილება მთელი პლანეტისა.

ძალები, რომელთაც ეკისრება მსოფლიო ხელისუფლების ბატონობის შემზადება, სხვა ქვეყნებს განიხილავენ მხოლოდ რესურსების თვალსაზრისით. მათი მიზანია, ეს ქვეყნები თავიანთი ხალხე-

ბით, მთავრობებით, კულტურებითურთ აქციონ უბრალოდ ტერიტორიებად, სადაც მოსახლეობას დატოვებენ მხოლოდ მსოფლიო ელიტისათვის საჭირო რაოდენობით. ამასთან, სრულიად დემორალიზებულს, მზადმყოფს მისი ინტერესების სამსახურისადმი. ამ ზრახვათა განცხორციელებას მხოლოდ ხალხთა ეროვნული თვითშეგნება და ეროვნული სახელმწიფოების შექმნა შეიძლება აღუდგეს წინ. ამიტომ ებრძვის დასავლეთი ეროვნულ მოძრაობებს, ამიტომ ცდილობს ეთნიკური კონფლიქტების გაჩაღებას და ომების პროვოცირებას. მაგალითად, იუგოსლავიაში მიმდინარე ომი მათი ნამოქმედარია. ეს შემთხვევით სტიქიურად აალებული კონფლიქტი კი არ არის, არამედ მიზანმიმართულად გაჩაღებული ომი, რომელშიც უნდა დაიფერფლოს ეროვნული იდეის მატარებელი ხალხი. **დღეს დასავლეთს იუგოსლავიის მოძალი დასავლეთიდან გადააქვს კავკასიაში, ხელოვნურად მწვავდება ეროვნებათაშორისი დაძაბულობა.** შემდგომში ხან აქ, ხან იქ აფეთქებული ლოკალური კონფლიქტები დასავლეთს მისცემს საბაზს პირდაპირი სამხედრო ჩარევისათვის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ძალთა სახით. სულ ახლახან გაკეთდა განცხადება, რომ ნატო ქმნის სწრაფი რეაგირების ძალებს, ასი ათასი კაცის შემადგენლობით, რომელიც ჩაერევა მსოფლიოს ნებისმიერ რეგიონში მიმდინარე მოვლენებში. ფრიად საყურადღებოა, რომ ამასთან დაკავშირებით მოხსენებულ იქნა კავკასია და იუგოსლავია.

— ბატონო პრეზიდენტო, თქვენ განზრახული გქონდათ ისეთი სახელმწიფოს აშენება საქართველოში, რომელიც ორიენტირებული იქნებოდა ეროვნული ინტერესებისკენ. რა მიგაჩნიათ უმთავრეს პირობად ეროვნული სახელმწიფოს აშენებისთვის?

— პირველ რიგში, აუცილებელია შემუშავება ისეთი მექანიზმისა, რომელიც უზრუნველყოფს

«დასავლეთს კი მხოლოდ ისეთი ხელისუფლება აძლევდა ხელს, რომელიც უსიტყვოდ აღასრულებდა მის ნებას. ეს იქცა ერთერთ მიზეზად სამხედრო გადატრიალებისა და ხელისუფლებაში ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს (ცრუ) აგენტისა და ევროამერიკული იმპერიალიზმის პირდაპირი აგენტის მოსვლისა»

ქვეყანაში მოსახლე ყველა ეროვნების ურთიერთთანხმობის მიღწევას, ეროვნულ უმცირესობათა უფლების განუზრვლ დაცვას.

ამასთან, უნდა გავითვალისწინოთ, რომ შინაგანი სტაბილურობის მიღწევა შეუძლებელია ძალადობისა და ეროვნულ უმცირესობათა დათრგუნვის გზით. აუცილებელია გადასვლა ერთ სახელმწიფოში ეროვნებათა თანაარსებობის ისეთ ფორმაზე, რომელიც ხელსაყრელი იქნება ყველასათვის როგორც ეკონომიკის სფეროში, ისე ეროვნული კულტურის შენარჩუნების უსაფრთხოების თვალსაზრისით. წინააღმდეგ შემთხვევაში, მსოფლიო კოსმოპოლიტური ძალები, რომლებზეც ვლადპარაკობთ, უსათუოდ შეეცდებიან, რომელიმე ეროვნების უკმაყოფილება გამოიყენონ სახელმწიფოს დარღვევისთვის. ეს მათი ნაცადი და ქმედითი ხერხია. თვითგამორკვევის პრინციპი, რასაკვირველია, არ უნდა დავიდეს აბსურდამდე; მაგალითად, თუ დღეს რუსეთში ვოლგისპირელმა გერმანელებმა გერმანული სახელმწიფოს შექმნა მოინდომეს, ეს ყოვლად დაუშვებელ მოთხოვნად უნდა შეფასდეს.

— რატომ ქმნიდით მაინც და მაინც ეროვნულ სახელმწიფოს? საერთოდ, რაში სჭირდება ადამიანს ეროვნება, თქვენი თვალსაზრისით?

— სწორედ ეროვნული თვითშეგნება აქცევს ადამიანს ადამიანად. ეროვნება არა აქვს ცხოველს, სარწმუნოება და ეროვნება ის ძირითადი თვისებაა, რომელიც ადამიანს სხვა სულიერისაგან განასხვავებენ და მისთვის ამ განმასხვავებელი თვისებაების წართმევა უმძიმესი დანაშაულია ადამიანის წინაშე, დასაწყისი მისი, როგორც პიროვნების, დებრადაციისა. დენაციონალიზაცია წინაპართა და წარსულის უარყოფა, ადამიანის სრული მოკვეთაა ეროვნული ფესვებისაგან. **კაცი ადამიანურ აზრს მხოლოდ თავისი ეროვნული კულტურის**



ზინად გამსახურდია და მერაბ კოსტავა

რის წიაღში ინარჩუნებს, ამიტომ ადამიანის კულტურა განუყრელად არის დაკავშირებული მის ეროვნებასთან; იგი მშობლიური კულტურის მეშვეობით ეზიარება მსოფლიო ცივილიზაციას. ამდენად, დენაციონალიზაცია ადამიანისა და დენაციონალიზაცია ქვეყნისა ნყვეტენ მათ კავშირებს დანარჩენ სამყაროსთან და დაუცველს ტოვებენ მსოფლიო მასშტაბით ორგანიზებული კოსმოპოლიტური ძალების წინაშე.

— რა ძალები აღუდგენენ წინ სახელმწიფოს შექმნას თვით საქართველოში?

— საქართველოში ინტელიგენციის გარკვეულ ნაწილს ნომენკლატურულს უწოდებენ. კულტურის ეს მოღვაწენი დიდი პრივილეგიებით სარგებლობდნენ საბჭოურ წლებში და ახლაც ახალ პრივილეგიებს გამოდევნებულები მზად არიან, ზურგი აქციონ მშრომელი ხალხის ინტერესებს. ამჯერად ისინი ე. შევარდნაძის გარშემო დაირაზმნენ. იგივე ნაწილი ინტელიგენციისა ძალზედ მჭიდროდაა დაკავშირებული ჩრდილოვანი ეკონომიკის სამყაროსთან, მაფიასთან. არსებითად, ჩვენთან, საქართველოში, მათ შორის

არც არის რაიმე განსხვავება. ისინი ისე განუყრელად შეზრდიან ერთმანეთს, რომ ერთ პიროვნებაში ხშირად შერწყმულია ინტელიგენტიც და დანაშაულებრივი სამყაროს ავტორიტეტიც. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების წლებში წარმოიქმნა მთელი კლასი ასეთი ჰიბრიდებისა. სწორედ, ისინი ჩაუდგნენ სათავეში და განახორციელეს გადატრიალება.

ერთნი საქართველოში მომხდარს ახასიათებენ, როგორც „ბურჟუაზიულ რევოლუციას“, რაც არ შეესაბამება სინამდვილეს; **საქართველოში არ არსებობს ბურჟუაზია, არის მხოლოდ მაფია და საქართველოში სწორედ „მაფიოზური რევოლუცია“ მოხდა.**

— რით აიხსნება დასავლეთის ესოდენ გაზრდილი ინტერესი კავკასიის მიმართ?

— ეს რეგიონი ძალზედ მნიშვნელოვანია გეოპოლიტიკური თვალსაზრისით, კავკასიის მფლობელი ფლობს ახლო აღმოსავლეთსაც და აზიასაც. ეს, სხვათაშორის, მუდამ ესმოდათ დასავლეთის ქვეყნებს, რის გამოც ბრძოლა კავკასიისათვის უძველესი



დროიდან მიმდინარეობდა მათსა და რუსეთს შორის.

წმინდა სამხედრო თვალსაზრისით კავკასია წარმოადგენს ხიდს დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის, რომელიც მეტად აუცილებელია ორივე მხარისათვის.

რუსეთიც კავკასიას ოდითგანვე განიხილავდა, როგორც მნიშვნელოვან გეოპოლიტიკურ პლატფორმას, მაგრამ რუსეთი დღეს სუსტდება და ამიტომ დასავლეთი მიისწრაფვის, ხელიდან გამოსტაცოს მას ინიციატივა, თავისი გავლენა გაავრცელოს ამ რეგიონში და ბოლოს და ბოლოს მოახდინოს მისი ოკუპაცია. მაგრამ ეს შეუძლებელია კავკასიის სრული „ბალკანიზაციის“ გარეშე. **საკმარისია, რუსეთმა სცნოს მთის რესპუბლიკების დამოუკიდებლობა, რომ მათი სახით მყისვე შეიძენს ყველაზე ერთგულ მეგობრებს**, რადგან აქ მკაფიოდ განასხვავებენ ელცინსა და რუსეთის სახელმწიფოს, როგორც მფარველს დასავლური ექსპანსიისაგან.

— **ბატონო პრეზიდენტო, თავად თქვენ როგორ ეკიდებით რუსეთს?**

— ძალიან კარგად. ვიმედოვნებ, არც თქვენ აიგივებთ ელცინსა და რუსეთს! მმართველები მოდიან და



მიდიან, ქვეყანა კირჩება. მე მიმაჩნია, რომ **როლი, რომელსაც დღეს რუსეთი ასრულებს კავკასიაში, არ შეესაბამება მისსავე ინტერესებს და ოკეანის გაღმვიდან აქვს თავს მოხვეული.**

ჩემთვის არ არის უცხო პრორუსული განწყობა. მე მუდამ მივიხსნა როგორც მჭიდრო კავშირს რუსეთთან

და ვოცნებობდი, საქართველოს ჰყოლოდა ბუნებრივი მოკავშირე ამ თავისი დიდი აღმოსავლელი მეზობლის სახით. მაგრამ ეს არ აძლევდა ხელს დასავლურ სამყაროს და მის მორჩილ ხელი-სუფლებას რუსეთისა. ისინი განაგრძობენ ეთნიკური კონფლიქტების გაჩაღებას კავკასიაში. შედეგად, ჩვენ ვდგავართ ამ კონფლიქტების დიდ ომში გადაზრდის სავსებით რეალური საფრთხის წინაშე.

მე იმედი მაქვს კონფლიქტებში ჩათრეული ხალხების; პირველ რიგში, რუსი ხალხის საღი აზრისა და გონიერებისა. ვიმედოვნებ, იგი შეიგნებს, თუ ვინ და რა ინტერესების კარნახით უბიძგებს რუს ჯარისკაცებს ახალი კავკასიური ომის უფსკრულისკენ. ამ ომში ვერც ერთი მხარე ვერ იქნება გამარჯვებული, მხოლოდ დასავლეთი მოითბობს ხელს ახალი ომის აღზე.

მე მნამს ხალხთა სიბრძნისა. ეს არის უკანასკნელი, რამაც უნდა გვიხსნას კატასტროფისაგან.

„ნაროდნაია პრავდა“
სანკტ-პეტერბურგი, 1992 წ.




ზვიად გამსახურდიას ქმნილი ზუბინდვი

ელიზბარ ჯაგელიძე:

არსებობს საქართველოს 7 ჯუჯა სახელმწიფოდ დაულის გეგმა და მე ის ნანახი მაქვს

2011 წლის 20 მაისს საქართველოს პარლამენტმა ჩერქეზთა გენოციდი აღიარა. პლენარულ სესიაზე აღნიშნულ რეზოლუციას დეპუტატებმა მხარი ერთხმად დაუჭირეს. მიღებულ გადაწყვეტილებას საზოგადოებაში არაერთგვაროვანი რეაქცია მოჰყვა. ბევრი თვლიდა, რომ ამით საქართველო კიდევ უფრო ნამგებთან მდგომარეობაში აღმოჩნდა რუსეთთან; ექსპერტთა ნაწილმა ფაქტი ხელისუფლების მხრიდან ადეკვატურ ნაბიჯად შეაფასა. ნაწილმა კი მასში საფრთხე დაინახა, რადგან, მათი აზრით, ამის შემდეგ გენოციდის აღიარება, შესაძლოა, სომხებმა და სამცხე-ჯავახეთიდან გადასახლებულმა თურქ-მესხებმაც მოითხოვონ. თავის მხრივ, რუსულ მხარეს საკითხის მიმართ განსაკუთრებული ყურადღება არ გამოუჩენია, რაც გვაფიქრებინებს, რომ მათთვის ამ აღიარებას დიდი მნიშვნელობა, არც პოლიტიკური და არც ისტორიული თვალსაზრისით, არ ჰქონდა...

რა მიზნით მიიღო წინა ხელისუფლებამ ეს გადაწყვეტილება და რა საფრთხეს უქმნის ის საქართველოს, — ამ და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე გვესაუბრება მეცნიერი და პუბლიცისტი, აკადემიკოსი ელიზბარ ჯაგელიძე.



— ბატონო ელიზბარ, ერთადერთი ქვეყანა ვართ დედამიწის ზურგზე, რომელმაც ჩერქეზების გენოციდი აღიარა. როგორ ფიქრობთ, რა მოგვცა ამან და რას უნდა ველოდოთ მომავალში?

— აქ რამდენიმე გარემოებაა აღსანიშნავი. ჩერქეზები ჩვენი მონათესავე ტომია და მათდამი ძალიან დიდი პატივისცემა მაქვს. ბევრი რამ გვაკავშირებს კულტურულადაც და ტრადიციებით, მაგრამ საქმე ისაა, რომ წინა ხელისუფლებას ეს სულ არ აინტერესებდა. სააკაშვილს ჩერქეზები კი არა, თავისი ქვეყანა ეკიდა ფეხზე. ამ კაცს საკუთარი ხალხის გენოციდი ჰქონდა გამიზნული. რამდენი რამის ჩამოთვლა შეგვიძლია, რომელი ერთი გავიხსენოთ. **ამათი გეგმა იყო ქართველი ერის მოსაპოვება და ასრულდნენ კიდეც პირნათლად, რამეთუ ის ამერიკის მასონური ძალე-**

ბის მიერაა დაგეგმილი. რაც შეეხება აღიარებას, გასაგებია, რა განზრახვით ნავიდნენ ამაზე, **თავიანთი მოკლე ჭკუით, ვითომ რუსეთს უკბინეს.** სინამდვილეში, ფინია რომ სპილოს უყეფს, ისეა ამათი საქმე... კიდევ ვიმეორებ: **ჩაჩქაზაპი ჩვენი მონათესავე ეთნოსია და მათდამი მხოლოდ პატივისცემა გვმართებს,** მაგრამ ეს, რაც გაკეთდა, **ბენოციდის აღიარებას** ვგულისხმობ, **ჩვენს ინტერესებს ეწინააღმდეგება.** რა შეიძლება ამას მოჰყვეს მომავალში, კაცმა არ იცის.

— რას გულისხმობთ? არის საუბარი იმაზეც, რომ გენოციდის აღიარება, შესაძლოა, სომხებმაც მოითხოვონ.

— სავსებით რეალურია და შესაძლოა, სწორედ ამ მიზნით გადადგა წინა ხელისუფლებამ ასეთი ნაბიჯი. მათ უნდოდათ, საერ-

თოდ დაეშალათ საქართველო. პარლამენტის გადატანაც ქუთაისში ამას ემსახურებოდა, ეს სააკაშვილის უმთავრესი ამოცანა იყო. არსებობს საქართველოს შვიდ ჯუჯა სახელმწიფოდ დაშლის გეგმა და მე პირადად ის ნანახი მაქვს.

— რადგან სომხები ვახსენე, როგორ ფიქრობთ, რა შედეგი მოჰყვება ჩვენი მხრიდან მათი გენოციდის აღიარებას?

— სომხების გენოციდის აღიარება ნიშნავს, რომ აზერბაიჯანს სამუდამოდ მტრად მოვიკიდებთ, თურქეთზე არაფერს ვამბობ. ეს, როგორც ორჯერ ორი, ოთხი, ისეა, ხოლო, თუ რის ფასად შეიძლება დაუჯდეს ჩვენს სახელმწიფოს დაპირისპირება აზერბაიჯანთან, კარგად იცით — გაზიქნება თუ საწვავი, მოგეხსენებათ, იქიდან შემოდის. გარდა ამისა, მათ ჩვენდამი აქვთ განსაკუთრე-



ბით თბილი და მეგობრული დამოკიდებულება. ეს ურთიერთობა თუ გაფუჭდება, ჩათვალეთ, რომ საქართველო განწირულია. ჯერ ერთი იმიტომ, რომ იზოლაციაში აღმოვჩნდებით და მეორეც, კონფრონტაციას კიდევ ერთ მეზობელ სახელმწიფოსთან ქვეყანა ველარ გაუძლებს.

— **ცალკე თურქ-მესხებზეცაა საუბარი. შესაძლოა, მათაც მოითხოვონ გენოციდის აღიარება.**

— ეს საფრთხეც სავსებით რეალურია. სააკაშვილმა ამ თავისი სულელური ნაბიჯით ერთდროულად რამდენიმე საშიშროების წინაშე დაგვყენა. ესაა ბომბი, რომელიც, როდის აფეთქდება, კაცმა არ იცის. თურქ-მესხებს რაც შეეხებათ, საქმე ისაა, რომ თავის დროზე, როცა გასახლება მოხდა, იქ ძირითადად იყვნენ ქართველები, დღეს კი ისინი ქართველები აღარ არიან. მე მახსოვს, ეროვნული მოძრაობის დროს ზვიადი და მერაბი ითხოვდნენ მათ ჩამოსახლებას და მერე, როცა შევიცანი მათი ჩანაფიქრი, რომ თურმე მეჩეთების ამენება და თურქული სკოლების გახსნა სურდათ, კატეგორიული წინააღმდეგი წავედით ყველა. ამათ უნდათ, ეს ძველი ისტორია გააცოცხლონ და საზღვარზე დაასახლონ უცხო ეთნოსი. ამას სხვა არაფერი ჰქვია, თუ არა ერის ღალატი. ასეთივე ღალატია ჩინელების ჩამოსახლებაც. თქვენ იცით, რა ჩანაფიქრი აქვთ თბილისის ზღვაზე. ჩინელების თვისება ისაა, რომ ოჯახში არის თორმეტი ბავშვი. გადაგვჭამენ

და ესაა. პირდაპირ მიდის ქართველი ერის გაჩანაგება. ცოტა ხანში უმცირესობაში ვიქნებით. ამას უნდა 20-25 წელიწადი.

— **თქვენ თქვით, რომ ჩერქეზების გენოციდის აღიარება კრემლის გასაღიზიანებლად მოხდა. რეალურად ჰქონდა ამას რუსეთისთვის არსებითი მნიშვნელობა?**

— გარკვეული მნიშვნელობა, რა თქმა უნდა, ჰქონდა, მაგრამ არა იმდენად დიდი, რომ, როგორც ამათ ეგონათ, კრემლში განგაში აეჭხათ. საერთოდ, ესენი პროვოკაციაზე აგებდნენ თავიანთ პოლიტიკას და ესეც ერთ-ერთი პროვოკაცია იყო. ასეთ პროვოკაციებს კიდევ ბევრს ვნახავდით, მაგრამ, საბედნიეროდ, არ დასცალდათ.

ახლა რუსებს რომ აბრალებენ, ომი დაიწყესო, ჩვენ ხომ ყველამ ვიცით, ეს ომი ვინ დაიწყო — მიხეილ სააკაშვილმა, ანუ რის თქმა მინდა: **ამ კაცს იმთავითვე ჰქონდა გართულაბა რუსეთზე და ყველა მისი ნაბიჯი მიმართული იყო ურთიერთობის გამწვავებისკენ. მერაბ ამერიკელს მიეცემაოდათ სალაპარაკო, აი, რა ბარბაროსები სხედან კრემლში, რა ველურები არიანო.** ჩვენ რა შეიძლებოდა, მოგვსვლოდა ამ დაპირისპირებაში, ვის აინტერესებდა. მოკლედ, ესენი იყვნენ ისეთი დესტრუქციული ძალა, რომ, ვინც უნდა მოსულიყო რუსეთის ხელი-სუფლებებში, დიალოგი იქნებოდა შეუძლებელი. აბა, რომელ დიალოგზეა საუბარი, როცა ეს გიჟი პიროვნულ შეურაცხყოფას აყე-


ნებდა რუს პოლიტიკოსებს, მათ შორის პირადად პრეზიდენტ პუტინსაც.

— **დღე ყველაფერი რადიკალურად შეიცვალა, საქართველო რუსეთთან ურთიერთობის მოგვარების გზას ადგას. როგორ ფიქრობთ, რამდენად რეალურია ეს დღევანდელ ვითარებაში?**

— სწორი პოლიტიკით, სწორი ნაბიჯებით ყველაფერი შესაძლებელია. მითუფრო ჩვენ მრავალსაუკუნოვანი მეგობრობა გვაკავშირებს, მაგრამ არის მეორე ფაქტორიც, — „ნაციონალური მოძრაობა“ ყველა ღონეს ხმარობს, რომ საქართველოს ახალ ხელისუფლებას არაფერი გამოუვიდეს. აგერ თუნდაც „ერისიონთან“ მიმართებაში რას აკეთებენ ეს აყეფებული ლეკვები, რომლებსაც არავითარი ეროვნულობა, არანაირი სულიერება და მორალი არ გააჩნიათ. თურმე ჯემალ ჭკუასელი მტრის წისქვილზე ასხამს წყალს, მაშინ, როცა მისმა ანსამბლმა ქართული კულტურა მთელ მსოფლიოს გააცნო. ესაა ამათი პოლიტიკა და სტრატეგია — ვის ებრძვიან და როგორ, ისიც არ იციან. სასაცილოა ეს ყველაფერი, ამაზე სერიოზულად არც უნდა ისაუბროთ. ეს ყურადღების მისაქცევად არ ღირს.

— **პროტესტი გამოიწვია იმან, რომ ქართულმა ანსამბლმა კონცერტი უშუალოდ კრემლში გამართა.**

— მერე რა მოხდა? მე მახსოვს, ამათმა ერთი პერიოდი რუსული სიმღერები აკრძალეს რესტორნებში და რუსულ ლიტერატურას ებრძოდნენ. ზოგიერთი „ნაციონალი“ სიამაყით ამბობდა, ტოლსტოი არ წამიკითხავსო. ტოლსტოისა და დოსტოევსკის მთელი მსოფლიო კითხულობს, ესაა ამათი უმეცრება და უგუნურება. ჰგონიათ, ასეთი სისულელებით რუსეთს რამეს დააკლებენ. მე ვურჩევ მათ, იღია ჭავჭავაძე ნაიკითხონ. ნახონ ერთი, როგორ აფასებდა ის რუსი ხალხის კულტურას.



«სწორი პოლიტიკით, სწორი ნაბიჯებით ყველაფერი შესაძლებელია. მითუფრო ჩვენ მრავალსაუკუნოვანი მეგობრობა გვაკავშირებს, მაგრამ არის მეორე ფაქტორიც, — „ნაციონალური მოძრაობა“ ყველა ღონეს ხმარობს, რომ საქართველოს ახალ ხელისუფლებას არაფერი გამოუვიდეს»



— პარლამენტის მიერ ჩერქეზების გენოციდის აღიარებას წინ მეცნიერთა ერთი ნაწილის მიერ მომზადებული დასკვნა უძღოდა. რამდენად საფუძვლიანად მიგაჩნიათ თქვენ ეს დოკუმენტი?

— სიმართლე გითხრათ, არ მინახავს, მაგრამ დაახლოებით ვხვდები, რა კატეგორიის ადამიანების მიერ იქნება ის მომზადებული. სააკაშვილს ჰყავდა საკუთარი ჯიბის მეცნიერები და, ალბათ, მათ დაანერინებდა დასკვნას. აბა, მე ვინ დამიძახებდა ან სხვას. მათ ხომ განსხვავებული აზრი საერთოდ არ აინტერესებდათ?!

— არის საუბარი იმაზეც, რომ გენოციდის აღიარება გარკვეული ამერიკული პოლიტიკური წრეების მითითებით მოხდა. რამდენად სარწმუნოდ მიგაჩნიათ ეს?

— არ არის გამორიცხული. ესენი ყველა ნაბიჯს, რასაც დგამდნენ, განსაკუთრებით საგარეო პოლიტიკური მიმართულებით, უთანხმებდნენ ამერიკას. აქედან გამომდინარე, სავსებით შესაძლებელია, ეს ნაბიჯიც ვაშინგტონთან ყოფილიყო შეთანხმებული. სააკაშვილი დამოუკიდებლად ვერასოდეს აზროვნებდა. პოლიტიკური გადაწყვეტილებები კი არა, ადამიანებს რომ კლავდნენ, ესეც ამერიკის მითითებით ხდებოდა. იმავე გურამ შარაძის მკვლელობა ავიღოთ ან ზურაბ ჟვანიასი... ეს ყველაფერი იმისთვის კეთდებოდა, რომ საზოგადოება დაემუნჯებინათ. ახლაც იმავეს შვრებიან — აშინებენ ხალხს, რომ ვითომ დაბრუნდებიან და ვილაც ვილაცებს გაანადგურებენ. აგერ, 19 აპრილს მიტინგიც დაგეგმეს...

«ესენი ყველა ნაბიჯს, რასაც დგამდნენ, განსაკუთრებით საგარეო პოლიტიკური მიმართულებით, უთანხმებდნენ ამერიკას. აქედან გამომდინარე, სავსებით შესაძლებელია, ეს ნაბიჯიც ვაშინგტონთან ყოფილიყო შეთანხმებული. სააკაშვილი დამოუკიდებლად ვერასოდეს აზროვნებდა»

— რას ელოდებით ამ მიტინგიდან?

— მოლოდინი მე ამათვან სასიკეთო არასდროს მქონია. ისიც ვიცი, რომ არანაირი მხარდაჭერა არ აქვთ, მაგრამ, თუ კი მაინც თავისას არ მოიშლიან, ხალხი ადეკვატურ პასუხს გასცემთ. ღმერთმა ნუ ქნას, რამე დესტაბილიზაციაზე წავიდნენ და პროვოკაცია მოაწყონ, თორემ ეს დასრულდება ამათი პოლიტიკური ლინჩის წესით გასამართლებით. ხალხმა თუ გაიწია, ვერავინ შეაჩერებს და ჭკუით იყონ, გონს მოეგონ, მათთვისვე აჯობებს.

— დასაწყისში თქვენ ზვიად გამსახურდია ახსენეთ. 31 მარტს მისი დაბადების დღეა. რა პოზიცია ეკავა პირველ პრეზიდენტს ჩერქეზთა გენოციდთან დაკავშირებით და რა პოლიტიკა ჰქონდა მას არა მარტო მეზობელ, რეგიონის ახლომდებარე სახელმწიფოებთან მიმართებაში?

— ზვიადის დროს ეს საპიტონი, ჩირქეზების ბენოციდი მაქვს მხედველობაში, ოფიციალურ დონეზე არ დამდბარა, მაგრამ ის ძალიან დიდ პატივს სცემდა ჩირქეზ ხალხს.

ზოგადად მისი პოლიტიკა იყო ასეთი: მას უნდოდა კავკასიური ცენტრის შექმნა, სადაც საქართველო იქნებოდა ტონის მიმცემი და წამყვანი. ახლა რამდენად შეიძლებოდა ამის განხორციელება ან რას მოუტანს ის ჩვენს ქვეყანას, სხვა საკითხია, მაგრამ მე ერთ რამეში ვარ დარწმუნებული: **ზვინად გამსახურდია არასოდეს გადადგამდა ერისთვის საზიანო ნაბიჯებს, იმიტომ, რომ ის იყო ჭეშმარიტი პატრიოტი, როგორც საკუთარი ხალხის, ისე სახელმწიფოს. სწორედ ამ პატრიოტიზმიდან მოდიოდა მისი ყველა გადაწყვეტილება და იმიტომ აღმოჩნდა ის მიუღებელი დასავლეთისთვის, განსაკუთრებით ამერიკისთვის.** სამწუხაროდ, შემდეგ და შემდეგ საქართველომ დაკარგა საკუთარი გზა, რომელსაც მივყავდით ეროვნული საწყისებისკენ და ამაში თავის დროზე გადამწყვეტი როლი შეასრულა შევარდნაძემ. სააკაშვილმა, უბრალოდ, გააგრძელა მისი საქმე და აღმოვჩნდით უფსკრულის პირას. ახლა ყველაფერი დამოკიდებულია ახალ ხელისუფლებაზე. ამიტომ მე დიდი ყურადღებით ვაკვირდები, რას იზამენ ესენი. თუ ამათაც ისეთივე მოქმედებები დაიწყეს, მომდევნო ხელისუფლებას უკვე გამოსწორების შანსიც აღარ ექება. ასე რომ, დღესდღეობით პასუხისმგებლობა როგორც ხალხის, ისე სახელმწიფოს წინაშე ერთი-ორად მეტია. მმართველი გუნდი ამას კარგად უნდა ხვდებოდეს...

ესაუბრა ჯაბა ჟვანია

«ზვინად გამსახურდია არასოდეს გადადგამდა ერისთვის საზიანო ნაბიჯებს, იმიტომ, რომ ის იყო ჭეშმარიტი პატრიოტი, როგორც საკუთარი ხალხის, ისე სახელმწიფოს»



1993 წელს საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციამ და თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტმა ქართული ჟურნალისტიკის დღედ ერთობლივად დაანახეს 21 მარტი

ქართული პრესის პირველი ნაბიჯები

ევროპაში პრესის განვითარება XVIII საუკუნიდან იწყება, ხოლო რუსეთში პრესას იმავე საუკუნის ბოლო წლებში ჩაეყარა საფუძველი. მაგრამ მაინც, როდესაც ვადარებით ამ მხრივ ჩვენსა და ევროპის მდგომარეობას, საქართველოს ჩამორჩენილობა თვალშისაცემია, რადგან იმ დროს, როდესაც პარიზში თხუთმეტამდე სერიოზული ჟურნალი თუ გაზეთი არსებობდა, ჩვენში მათი ხსენებაც არ იყო. მაგრამ XIX საუკუნის პირველი ათეული წლების შემდეგ, როდესაც ქართული სახელმწიფოებრიობის აჯანყებული სულიც დაცხრა და ბრძოლის ველი მოიშალა, როდესაც საქართველოში მშვიდობამ დაისადგურა, საზოგადოებაც ნელ-ნელა დაენაფა კულტურულ საქმიანობას. თუმცა XIX საუკუნის დასაწყისიდანვე ჩვენი სასიქადულო წინაპრები — მწერლები, მეცნიერები, პოლიტიკური მოღვაწეები, კულტურის სხვადასხვა დარგის მუშაკები მშობლიური ჟურნალისტიკის ფრონტზეც დაუცხრომლად იღვწოდნენ — მჭრელი სიტყვით, ბასრი კალმით იცავდნენ ხალხისა და სამშობლოს ინტერესებს. ქართული პრესა ვითარდებოდა, როგორც ეროვნული თვითმყოფადობის, სოციალური განთავისუფლების, დედაენის დაცვის იარაღი, და მხოლოდ მაშინ და იმის წყალობით დაშკვიდრდა, ჭეშმარიტად ასეთ იარაღად რომ იქცა. ასე რომ, ჩვენმა ხალხმა უაღრესად მძიმე პირობებში შექმნა თავისი საამაყო სულიერი კულტურის შესაფერისი პრესა.

ცნობილია, რომ მე-18 საუკუნის ბოლოს საქართველოს ბოლო მეფის შვილმა, იოანე ბატონიშვილმა, წარუდგინა მამას საქართველოს უკეთ მოწყობის პროექტი. გიორგი XII-ს პროექტი მოწონებია, მაგრამ მერე ქვეყანა აირია, დამოუკიდებლობა დაკარგა და ეს პროექტიც აღარ განხორციელებულა. საქართველოში გაზეთი პირველად მხოლოდ მე-19 საუკუნის დასაწყისში გამოვიდა. დღემდე შემონახული დოკუმენტების მიხედვით, ჩვენში ვიდრე ჟურნალი თუ გაზეთი გამო-

ვიდოდა, ამ უკანასკნელის დანიშნულებას ასრულებდა ე. წ. სალაყბო, სადაც ადამიანები ახალ ამბებს ერთმანეთს უზიარებდნენ.

ქართული ჟურნალ-გაზეთების გამოცემათა ისტორია „საქართველოს გაზეთით“ იწყება. გაზეთის გამოცემის დაწყებისთვის 500 ხელმოწერა იყო საჭირო. და რადგან 1819 წლის 1 მარტისთვის ამდენი ხელმოწერა ვერ შეგროვილა, ამიტომაც გაზეთის ბეჭდვა დაგვიანებულა. როგორც „საქართველოს გაზეთი“ იუნყება, არქივისკოპოს ნერსეს შე-

უგროვებია ფული „უმეტეს ასის გაზეთის ხელმომწერთაგან“ და გაზეთიც იწყებს გამოსვლას. პირველი ნომერი 1819 წლის 8 მარტს გამოვიდა. საყურადღებოა ისიც, რომ ეს იყო პირველი პერიოდული გამოცემა ამიერკავკასიაში. გაზეთი ოთხ გვერდიანი იყო. თუ ვინ იყო პირველი ქართული გაზეთის რედაქტორი, ეს საკითხი დღემდე გაურკვეველია. მას გამომცემელთა მთელი ჯგუფი ხელმძღვანელობდა. ამკარაა, რომ გაზეთს ხელმძღვანელობდა კავკასიის კორპუსის შტაბის მმართველობა. „საქართველოს გაზეთის“ სტამბა კავკასიის საკუთრება იყო და იქვე, ამავე ჯარების შტაბის სახელში იყო გამართული. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ამ სტამბაში სხვა უცხო პირს, თუ არა სამხედროს ან შტაბის ხელმძღვანელობასთან დაკავშირებულს, არ შეუშვებდნენ.

გაზეთის გამოშვების ინიციატორი რუსეთი იყო. გაზეთის რედაქციას, გარდა მასალების ლიტერატურული დამუშავებისა, ჯერ უნდა ეთარგმნა რუსულ ენაზე ყველა შემოსული კორესპონდენცია, აგრეთვე, უნდა ეთარგმნა საჭირო მასალა უცხო ენიდან, ხოლო შემდეგ გამართული გაზეთი ქართულ ენაზე უნდა თარგმნილიყო და დაბეჭდილიყო. იმ ხანებში მოქმედებდა 1804 წლის საცენზურო წესდება, რომელიც ცენზორისაგან მოითხოვდა ფხიზელსა და დაუზარებელ თვალყურის დევნებას პერიოდიკაზე. რუსეთის პირობებთან შედარებით ქართულ გაზეთზე ცენზურა უფრო ძნელი განსახორციელებელი გახლდათ, რადგან იმდროინდელი ხელისუფლების წარმომადგენლებმა ეს ენა არ იცოდნენ. ცენზორის როლში კი გვევლინება მთავარმართველი ერმოლოვი და მისი მოხელეები.

ქართული გაზეთი ერთკვირეული ორგანო იყო და გამოდიოდა პარასკევობით. გაზეთის წლიური ფასი 3 მანეთი და 20 კაპიკი იყო. გაზეთის ეს ფასი გამომცემლებს არ მიაჩნდათ ძვირად, მაგრამ მოსახლეობას მისი შეძენა უჭირდა. ამასთან, ბევრმა არ იცოდა, რა იყო გაზეთი, ზოგმა წერა-კითხვაც არ იცოდა და ხელმომწერთა მოგროვება საკმაოდ რთულ საქმეს წარმოადგენდა.

ქართული გაზეთი ოთხგვერდიანი გამოცემა იყო. თითო გვერდი გაყოფილი იყო ორ-ორ სვეტად. მასში ოფიციალური უწყებანი და ბრძანებანი იბეჭდებოდა. 1820 წლიდან გაზეთს გაუჩნდა წმიდა გიორგის გერბი. გაზეთი პოლიტიკურ-ლიტერატურული პერიოდული ორგანოს როლს ასრულებდა.

პირველ ქართულ გაზეთს მოსახლეობისთვის უნდა გაეცნო ხელისუფლების „განწესებანი და განკარგულებანი“, „მესაზღვრე ქვეყნების“ ამბავი, ახალი მიღწევები ცხოვრების სხვადასხვა დარგში, ცნობები ლიტერატურის სამყაროდან, ამავე დროს ადგილობრივი მოსახლეობა ევროპის მცხოვრებთათვის უნდა დაეახლოვებინა. მეფის მოხელეები გაზეთის დაარსებისას გარკვეული მიზნებით ხელმძღვანელობდნენ. მათ გაზეთის საშუალებით საკუთარი ინტერესების დაცვა სურდათ. ქართველი საზოგადოება კი ქართულ გაზეთს მიზნად უსახავდა, რომ მას მკითხველისთვის სამშობლოს საკეთილდღეო სხვადასხვა ცოდნა მიეწოდებინა.

გაზეთში მოთავსებული მასალა თავისი შედგენილობის მიხედვით სამგვარი იყო: პირველი — მასალა, რომელიც საქართველოს სინამდვილიდან იყო აღებული, მეორე — მასალა, რომელიც რუსეთის სინამდვილეს ეხებოდა და მესამე — მასალა, რომელიც უცხოეთის ცხოვრებას ასახავდა.

საქართველოს სინამდვილის შესახებ კორესპონდენციებს გაზეთები სხვადასხვა გზით ღებულობდა. როცა თბილისიდან ადგილებზე გაზეთებზე ხელმომწერთა მომრავლებას ითხოვდნენ, იქვე იმასაც ინერებოდნენ, რომ ადგილზე მომხდარი მნიშვნელოვანი ამბების შესახებ ცნობები მოეწოდებინათ გაზეთისთვის.

გაზეთს მასალას აწვდიდნენ სხვადასხვა დაწესებულებები და კერძო პირები.

ქართულ გაზეთში გამოქვეყნებული მასალა თავისი შინაარსით სხვადასხვა საკითხს ეხებოდა, თითოეული მათგანი თავისი ღირებულებებით ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავდებოდა. გაზეთი, როგორც ოფიციალური ორგანო, მხარს უჭერდა მეფის საშინაო და საგარეო პოლიტიკას, მსჯელობდა სოფლის მეურნეობაზეც, ის გარკვეულ მასალას იძლეოდა იმდროინდელ კლასთა უთანასწორობასა და ამ კლასებს შორის მიმდინარე ბრძოლის შესახებ. გაზეთში გამოხატულება ჰპოვა იმ ბრძოლამ, რომელიც მიმდინარეობდა ყრმებსა და მებატონეებს შორის საქართველოში. ქართულ გაზეთში ქვეყნდებოდა მასალები 1820 წლის იმერეთ-გურიის აჯანყების შესახებაც. აქ გვხვდება მსჯელობა საერთაშორისო საკითხებზეც. გამოქვეყნებულია ცნობები ამერიკის, ინგლისის, საფრანგეთის, გერმანიის, თურქეთის, საბერძნეთის და სხვათა შესახებ.

სხვა მრავალ საკითხთა შორის ქართული გაზეთის გამომცემელი თავიანთ ფურცლებზე იმაზეც მსჯელობდნენ, თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა განათლებას საზოგადოებისთვის და ამ მხრივ რა როლის შესრულება შეეძლო გაზეთს. გაზეთი აფართოებდა საზოგადოების ცოდნის არეს და, ამასთან, ხელს უწყობდა ქართული ჟურნალისტიკის განვითარებას.

ლიტერატურული ცხოვრებიდან გაზეთი აქვეყნებდა პატარ-პატარა მოთხრობებს, ბეჭდავდა მოსწრებულ სიტყვებსაც, ანუ ნაკვესებს.

გაზეთი წერს: **„სარგებლობისა და კმაყოფილებისათვის ამის ქვეყნისათა, მომავლის მარტის პირველ რიცხვითაგან წინადადებულ არს, რომელ გამოიცემოდეს თფილისსა შინა ბუნებისა ქართულსა ენასა ზედა დაბეჭდილნი ფურცელნი, რომელსაცა ეწოდება საქართველოს გაზეთი.“**

გაზეთსა ამას შინა შთანერილ იქნებიან შემდგომნი მუხლნი.

ა. სახელოთ-ბოძება და ჯილდო მოხელეთა... და სხვ.

ბ. საკუთარნი მმართველობის

განწესებანი და დადგინებანი, რომელნიცა ეკუთვნიან ამ ქვეყნის დამყარებასა და კეთილ-მდგომარეობასა.

გ. სხვა-და სხვანი საქართველოსა და თან მესამდგურეთა მისთა ადგილთ ამბავნი, რომელნიცა საზოგადოების საკუთრის ყურადღების ღირსნი არიან...

დ. ცნობანი ახალთათვის პოვნისებათა ანუ დაწყობისებათა, რომელნიცა შეეხებიან ნაწილთა სხვადასხვათა ხელოვნებისა...

ე. გამოკრებანი ჟურნალთა და გაზეთთაგან, რომელნიცა გამოიცემიან რუსეთსა შინა და რომელთაც თვისის აზრისამებრ ძალუძთ რომელ მისცენ საკუთარი კმაყოფილება მკითხველთა და სხვ.“

რედაქცია ერთგვარ ბოდიშს იხდის მკითხველის წინაშე, რომ გაზეთი ისე ვერ იქნება სრული, როგორც სხვა ქვეყნებში, „სადაცა ადრით ჟამითგან არსებს განათლება და სადაც ყოველს წელს გამოიცემიან რაოდენიმე ასნი ამის მსგავსნი გაზეთნი და ჟურნალნი“.

გაზეთი წარმოადგენს მხოლოდ საინფორმაციო ფურცელს, სადაც რედაქცია სრულად არ ჩანს. არავითარი წერილი თუ კომენტარი გაზეთში არ არის. თუ რა ხელმძღვანელობას უნევს ამ გაზეთის დამაარსებელი მკითხველ საზოგადოებას, ყოვლად წარმოუდგენელია. არ ვიცით, იქნებ ცენზურა არ აძლევდა მეთაურების თუ წერილების ბეჭდვის უფლებას, მაგრამ საინფორმაციო მასალის დალაგებაში ხომ მაინც შეიძლებოდა ერთგვარი სისტემისა და ტენდენციის შეტანა. „გამოკრებანი ჟურნალთა და გაზეთთაგან, რომელნიცა გამოიცემიან რუსეთსა შინა“ — ეს მუხლი ხომ შეტანილი იყო გაზეთის „გამოცხადებაში“ და, მაშასადამე, რუსეთის ჟურნალ-გაზეთებიდან შეეძლოთ უფრო მნიშვნელოვანის „გამოკრება“. მითუმეტეს, რომ რუსეთის პუბლიცისტიკაში ეს ხანა განსაკუთრებული ჩოჩქოლის და დაწყებული საკონსტიტუციო ბრძოლის ხანა იყო. იმდროინდელ რუსეთის პრესაში დიდი მსჯელობა იყო გამართული კონსტიტუციის გარშემო, ბეჭდავდნენ ბავარიის კონსტიტუციის ტექსტს, ადარებდნენ



ამერიკის კონსტიტუციას, ინერგობდა წერილები გლეხთა განთავისუფლების შესახებ და სხვ., მაგრამ ჩვენს გაზეთში ამის შესახებ ერთი სიტყვაც არ არის გადმობეჭდილი.

„საქართველოს გაზეთი“, ოფიციალის მსგავსად, პირველ გვერდს იწყებს „უმაღლესი“ ამბებით, როგორც, მაგალითად, „სანკტპეტერბურღს. — მათმა იმპერატორობით... ახალწლის დღეს... ინებეს მილოცვის მიღება“ და სხვ. რის შემდეგაც ჩამოთვლილია იმ „ბრწყინვალეთა“ გვარები, რომელნიც წარუდგნენ და სხვ. ამას მოსდევს უმაღლესნი ბრძანებანი, „სახელოთ-ბოძებანი და ჯილდო მოხელეთა“, როგორც, მაგალითად: „ყოვლად უმონყალესად ებოძათ ორდენი“... ამას მოსდევს საშინაო ხასიათის განკარგულებანი: „საქართველოს კეთილ-შობილთ დეპუტატთ შეკრებილობა“, უცხადებს ყოველთავე, ვინც „არა მოხსენებულ არიან ტრახტატსა შინა, უთუოდ წარმოუდგინოს საბუთნი თვისნი“ და სხვ.

შემდეგ — ქრონიკის მსგავსი მასალა. როგორც, მაგალითად:


„კოლეჟისკის ასესორმა და კავალერმა თავადმა მიხაილ (და არა მიხეილ) ფალავანდოვმა (და არა ფალავანდიშვილმა) სთარგმნა რუსულითგან ქართულსა ენასა ზედანიგნი, რომელსაცა ეწოდება „ნაკაზი — ხელმწიფე იმპერატრიცა ეკატერინა მეორისა“... და სხვ.

გაზეთში „უცხოის ქვეყნის ამბავნი“—შიც იგივე „სტილია“ დაცული. ბოლოს მიდის „პუბლიკაცია“.

აქედან უკვე აშკარად ჩანს ის იდეოლოგიური პოზიცია თუ საზოგადოებრივი შეგნება, რომელიც ჩვენი პირველი გაზეთის რედაქციას ჰქონია.

რაც შეეხება გაზეთის მხატვრულ მხარეს, უნდა ითქვას, რომ აქ საყურადღებო ძალიან ცოტაა. სულ არის ხუთი მოთხრობა და ხუთივე თარგმანი. სახელდობრ:

1. მოთხრობა ქალის მარიამისა. ამ ნაწარმოებს არ აწერია არც ავტორის სახელი და არც თარგმანობა, მაგრამ შინაარსის მიხედვით იგი თარგმანია. ეს არის მოთხრობა, სადაც მთავარი გმირი მარიამი წერს თავის მეგობარ კაროლინას ადოლ-



ფის სიყვარულის შესახებ, შემდეგ აღწერს თავის ბიძას, იმის ხასიათს, ცხოვრებას და სხვ. თავისდათავად მოთხრობა არაფერს წარმოადგენს, მაგრამ იგი საინტერესოა სტილის მხრივ. აქ უფრო დანმენდილი ენაა, ვიდრე გაზეთისა და არც ისეთი მძიმე და გაბრტყელებული, როგორც გაზეთსა აქვს.

II — „იშვიათი ცოლი“ — თარგმნილი რუსულიდან.

III — „ამბავი უფლის დელამოტი-სა“.

IV — „რობერტ ავაზაკი“ („ლაფატერის შეგირდი“).

V — „ღირს-სახსოვარნი მოთხრობანი და სიტყვანი იმპერატორის პეტრე დიდისანი“.

ეს არის ის მხატვრული მასალა, რომელიც „საქართველოს გაზეთში“ იყო მოთავსებული. რასაკვირველია, ამ ლიტერატურას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს და, ალბათ, იმ დროსაც არ ექნებოდა; ხოლო საინფორმაციო ნაწილი არაფერს არ შეიცავდა დადებითს და საგულეოსხმოს.

მაგრამ „საქართველოს გაზეთი“, როგორც ქართული პრესის დასაწყისი, მნიშვნელოვან მოვლენად უნდა ჩაითვალოს. მართალია, ამ გაზეთმა დაახლოებით ორი წელი იარსება მხოლოდ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, საზოგადოებაში პრესის მოთხოვნილება გააღვიძა და დიდ საქმეს დაუდო სათავე. შემდეგ მას სახელი შეუცვალეს და ეწოდა „ქართული გაზეთი“, პირველმა ქართულმა გაზეთმა 1821 წლის ბოლომდე იარსება. გაზეთის გამოცემის შეწყვეტა ხელმომწერთა სიმცირემ გამოიწვია.

„საქართველოს გაზეთმა“, როგორც ინფორმაციულ-პოლიტიკურმა გამოცემამ, თავისი სიტყვა თქვა აზროვნების ჩამოყალიბებაში და საკუთარი ადგილი დაიმკვიდრა ქართულ ჟურნალისტიკაში.

1828 წელს არსდება გაზეთი „ტფილისის უწყებანი“, დაახლოებით იმავე ფორმატის, ისიც ოთხგვერდიანი და კვირაში ერთხელ გამოდის. ოფიციალური ორგანოა, მაგრამ წინა გაზეთისგან იმით განსხვავდებოდა, რომ რედაქტორი ჰყავდა. მთავარი რედაქტორი პავლე სანკოვსკი იყო, რუსული ნაწილისა — გრ. გორდეევი, ქართულის — ს. დოდაშვილი, რომელიც ხანდახან ახერხებდა, თემისგან გადაეხვია. 1832 წლიდან გაუჩნდა დამატებად პირველი ქართული ჟურნალი „ტფილისის უწყების სალიტერატურონი ნაწილი“, რომელიც მარტო ქართულად გამოდიოდა თვეში ორჯერ. მისი გამოცემა მალევე შეწყდა, 1832 წლის შეთქმულებას იდეოლოგიურად ამზადებდაო. ოფიციალურ მიზეზად კი უსახსრობა დასახელდა.

ამ ჟურნალსაც დიდი სიღარიბის ბეჭედი აზის, თუმცა „საქართველოს გაზეთთან“ შედარებით, გაცილებით მაღლა დგას როგორც ლიტერატურულად, ისე საზოგადოებრივი როლის შეგნებით. მასში დაბეჭდილია ორიგინალური და თარგმნილი თხზულებანი.

ჟურნალი მკითხველთა მასის მოპოვებას ცდილობს და ამ მიზნით მსუბუქ და მიმზიდველ მასალასაც იყენებს. მაგალითად: „ერთმა მიიღო მკურნალისაგან ნება, რათა ღვინო დალიოს მხოლოდ მაშინ, როდესაც სადილად ზის. მან ჭეშმარიტებით აღასრულა სიტყვა მკურნალისა. დილით — საღამომდე იჯდა სადილად და სვამდა ღვინოსა“. ასეთი ხასიათის მასალა აცოცხლებს ჟურნალს, რომლის დანიშნულებასაც რომელიმე სპეციალური საკითხის რკვევა კი არ შეადგენს, არამედ ფართო მასის ესთეტიკური, გონებრივი თუ სხვა მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება. და ჩვენი პირველი ჟურნალიც ამ მომენტს კარგად უწევს ანგარიშს



და სერიოზული მასალის გვერდით, რომელიც ბევრისთვის შეიძლება მოსაწყენიც იყოს, ურთავს ისეთ მასალას, რომელსაც სერიოზული მკითხველიც სიამოვნებით წაიკითხავს და ნაკლებმომზადებულებსაც დააინტერესებთ, ჟურნალის კითხვას შეაჩვენებს. ეს კი იმ დროს განსაკუთრებით საჭირო იყო.

„სალიტერატურო ნაწილი“ ცხარე პოლემიკასაც არ ერიდება. ეს მით უფრო საინტერესოა, რომ ზოგჯერ აქ ჩნდება ეროვნული მოტივი და ჟურნალი ცდილობს ამ ეროვნულ სადარაჯოზე მტკიცედ დგომას. მაგალითად: გორდეევს დაუწერია საქართველოს მეფეთა დამარხვის შესახებ წერილი, რომელსაც ჩვენი ჟურნალი აღუშფოთებია და ს.დ...-ს პირით (სოლომონ დოდაშვილი) პასუხს აძლევს: „წესი დამარხვისა საქართველოს მეფეთა, რომელიც ფრიად საკმაოდ უწინარეს ცნობილ არს საზოგადოებისადმი, უსვინდისოდ გარდმოუწერია უფალს ღორდეევს, მეფის ძის — ვახტანგის ისტორიიდან, რომელიც დაბეჭდილ არს რუსულსა ენასა ზედა ს. პეტერბურღს, 1814-სა წელსა... ფრიად სასირცხვილო არს უ. ღორდეევისათვის დაბეჭდა...“ და სხვ. აქ სოლომონ დოდაშვილი მეცნიერულ ნიადაგზე დგას და გორდეევს პლაგიატს უმტკიცებს. ამ საკითხს პატრიოტული კუთხეც აღმოუჩინეს და თ. გურამიშვილი უგზავნის რედაქციას მღელვარე წერილს, სათაურით: „საყვარელო მამულო“.

წერილი იწყება აღფრთოვანებული მიმართვით:

„არსმან ყოველთა დამაარსმან მოგვეფინა შენი ნათელი, საყვარელო მამულო“... და განაგრძობს: „მესმა რომელთაგან მე ყოვლითურთ შენთა უცნობთა კაცთაგან შენზედა და ძეთა შენთა ზედა წერილობითნი ცრუ-მეტყველებანი, მოვისწრაფი შენდა წერილთა ამით, რათა ბოროტ-მეტყველთაცა ჰსცნან, რომელ არა ძალ-უძთ მათ არა რომელიმე სახითა განმართლება და დამტკიცება შენზედა ცრუ-მეტყველებისა თვისასა“. და ბოლოს წერილს ამთავრებს საგულისხმო ლექსით:

**ძენი შენია, ვითა გშვენია,
ყოვლინი გაქებენ
სიბრძნისა ლაპით,**

**შენთა მოშურნეთ
ჩვენ მივეშურნეთ,
სირცხვილეულშვეყოთ,
გავბანოთ ტლაპით,
ქება შენია, არ მარტო ვსთქვია,
მოსთქმენ იანგნი
ფრინველნიც ღლაპით,
ოსმალნი, სპარსნი,
ბერძენთა დასნი
და ევროპელნი მოხდილი
შლაპით.
თუ იტყვის ნაკლებს,
თავის თავს აკლებს,
იგი უფალი გ.
(გორდეევი)
ვისგან ქებაცა არის ვნებაცა,
არც ვისგან კარგად
შესამჩნევია,
ვერც იცნობს თავსა,
ამბობს სხვის ავსა,
ჰგონებს, რომ იყოს
შესაქცევია,
მას უბედურსა,
მალ პასუხუგებს,
ჩვენი ს. ია
(სოლომონ დოდაშვილი).**

როგორც ვხედავთ, აქ საკითხს პატრიოტული ხასიათი ეძლევა. ვილაც „უცხო“, რომლის ქებაც კი ვნებაა, ბედავს, რაღაც თქვას საქართველოს წინააღმდეგ. ჟურნალმა და მისმა თანამშრომლებმა იციან, რომ პრესა უნდა იდგეს ფხიზლად ქვეყნის სადარაჯოზე და, რაც ძალი შესწევს, ემსახუროს მის საქმეს. და თუ „საქართველოს გაზეთი“ მხოლოდ ოფიციალური ინფორმაციით კმაყოფილდებოდა, „სალიტერატურონი ნაწილი“ უფრო კულტურულ საქმეს აკეთებდა და ბელეტრისტიკას, პოეზიას თუ მეცნიერებას ეტანებოდა. იგი ცდილობდა მკითხველის შექმნას, ინტელიგენციის დაპყრობას და საერთოდ, საჟურნალო ნიადაგის მომზადებას.

ამის მერე საქართველოში დიდი ხნის განმავლობაში არაფერი გამოდიოდა, ქართული სტამბებიც გაანადგურეს. ხოლო 1838 წელს გამოვიდა რუსული გაზეთი „Закавказский весник“, მისი ქართული ვარიანტი — „კავკასიის მხარეთა უწყებანი“ კი 1840 წელს იხილა მკითხველმა.

„ცისკარი“, „საქართველოს მოამბე“, „დროება“, „ივერია“, „კვალი“... — დროისაგან გაყვითლებული მა-

თი ფურცლები სამარადისოდ ინახავს ერის სულიერ საგანძურს, წინაპართა უანგარო ნამოღვანარს.

* * *

დღეს საქართველოში, რომლის მოსახლეობა ხუთ მილიონს არ აღემატება, ათეულობით ტელე და რადიოსადგური მოქმედებს. გარდა ამისა, მოქალაქეებისთვის ინფორმაციის მიწოდებაზე ზრუნავს 100-მდე გაზეთი და ჟურნალი. საქართველოში მედია საშუალებების სიმრავლეს განაპირობებს სიტყვის თავისუფლების შესახებ და მაუწყებლობის სფეროში ერთ-ერთი ყველაზე ლიბერალური კანონმდებლობა. სამწუხაროდ, პრესა დღემდე ვერ ჩამოყალიბდა მდგრად და მყარ ბიზნესად. ამის ერთ-ერთი მიზეზი, ალბათ, ქვეყნის ზოგადი ეკონომიკური მდგომარეობაც არის. სარეკლამო ბაზარი საკმაოდ მწირია. მედიის სუბსიდირება ძირითადად სხვადასხვა ბიზნეს ჯგუფების მიერ ხდება. ფაქტი, რომ მსხვილი ელექტრონული მედიის მესაკუთრეები ამ ქვეყნის უმდიდრესი ადამიანები არიან და საკუთარი პოლიტიკური ინტერესები აქვთ, ერთ-ერთი საფრთხეა, რომელიც მედიის დამოუკიდებლობას ემუქრება.

მიუხედავად განვითარების ამკარა ტენდენციისა, სამწუხაროდ, ბეჭდვითი მედიის გავრცელების არეალი კვლავ საკმაოდ შეზღუდულია. აქედან გამომდინარე, საზოგადოებისათვის ინფორმაციის მიღების ძირითად საშუალებად კვლავ ელექტრონული მედია რჩება.

თავის დროზე ილია ჭავჭავაძე წუხდა, საქართველოს ისტორია მხოლოდ მეფეთა ისტორიაა და ხალხი არა ჩანსო. დღესაც საზოგადოების გარკვეულ ნაწილს სწორედ ის მიაჩნია ბეჭდური მედიის სისუსტის მიზეზად, რომ მათი სამიზნე აუდიტორია არა საზოგადოება, არამედ ცალკეული პოლიტიკური ჯგუფებია. არადა, ჟურნალისტიკის უპირველესი მიზანი იმ ინფორმაციით საზოგადოების უზრუნველყოფაა, რომელიც მოქალაქეებს თავისუფლებისთვის სჭირდებათ. ვინც ამას ახერხებს, სწორედ ისაა ჟურნალისტი და სწორედ მათ უწევს ანგარიშს პოლიტიკური კლასიც.



ილია ჭავჭავაძე:

დედობა, სოლობა და დობა დიდი საქმე არ არის. ეს ზოგი ბუნების საქმეა, ზოგი — ბარბოროტისა. საქმე კაი დედაქასობაა

გთავაზობთ ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწის — ილია ჭავჭავაძის (საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ წმინდანად შერაცხილის, წმ. ილია მართლის) ნააზრევს ქალთა უფლებების შესახებ. იგი ორმაგად საინტერესოა, რადგან, ერთის მხრივ, გვიჩვენებს, თუ როგორი იყო წინა საუკუნის ქართული პუბლიცისტიკა და, მეორე მხრივ, გვთავაზობს ამ დიდი მოაზროვნისა და წმინდანის დამოკიდებულებას ფემინიზმის საკითხთან დაკავშირებით.



ერთს დროს დიდი და გაცხარებული ლაპარაკი ჰქონდა ევროპის ლიტერატურას და ნამეტნავად რუსეთისას ეგრეთ წოდებულ „დედათა ემანსიპაციის“ თაობაზედ. მომხრენი ამ საქმისა ჰხედავდნენ, რომ ეხლანდელი ურთიერთობა მამათა და დედათა სქესისა ვერ არის სამართლიანად მონყობილი და აშენებულია უმართლო მოძღვრებაზედ, ვითომ დედაკაცი მამაკაცთა ტყვე და მონა არისო და ამის გამო ბევრში უფლებას თავისუფალის ადამიანისას მოკლებულიაო. ამის მიხედვით დაჩაგრულთა დედათა მომხრენი სწერდნენ და ჰქადაგობდნენ, რომ ქალებს უნდა მიენიჭოთ ყოველივე უფლება, რაც მამაკაცთა აქვთ მინიჭებული, ასე რომ ამ ორ სქესთა შორის ურთიერთობა სამართლიანის თანასწორობით დადგენილ იქმნას კაცთა ცხოვრებაში.

ბევრი კარგი რამ ითქვა ამაზედ, ბევრი საბუთიანი „ჰო“ და „არა“ გამომჟღავნდა და ბევრიც უქმი, წინდაუხედავი სიტყვა დაიხარჯა. მაინცდამაინც საბუთი აქვს კაცს სთქვას, რომ ეს საგანი საკმაოდ გამორკვეულია დღეს და თეორი-

ულად მრავალკეცად და გონებადასმით გარჩეული და გაჩხრეკილი. ჩვენ ეს ბუნება და ისტორია ამ ფრიად საყურადღებო საქმისა აქ დღეს ორიოდ სიტყვით მოვიხსენიეთ, იმიტომ რომ აზრად არა გვაქვს ამ საგნის ბუნება და ისტორია დაწვრილებით გამოვიკვლიოთ.

ჩვენ მარტოს გვინდა ვსთქვათ, რომ ამ თეორიულად საკმაოდ კარგად გარჩეულმა საქმემ საზოგადოების ყურამდე სრულის სავსებით ვერ მიაღწია. ბევრს კაცსა თუ ქალსა ჰგონია დღესაც, რომ აქ მარტო იმაზე ლაპარაკი, ვითომც ამ ემანსიპაციის საქმეში სხვა არა არის რა, გარდა იმისა, რომ ქალთა თუ დედათა მხოლოდ უფლება მიენიჭოთ და იმას კი აღარავინა ჰფიქრობს, რომ არ არის არც ერთი იმისთანა უფლება კაცთა ურთიერთობაში, რომელსაც არ მოსდევდეს მოვალეობაცა. მართალია, მამაკაცს ეხლანდელს ცხოვრებაში ბევრი იმისთანა უფლება აქვს, რომელიც სამართლიანად ქალსაც ეკუთვნის, მაგრამ მამაკაცი ამასთანავე მსახურია სახელმწიფოსი, ქვეყნისა, საზოგადოებისა,

ოჯახისა და ყოველგვარი მძიმე ტვირთი ადამიანთა რთულის ცხოვრებისა კისრად ადევს. დღეს ქალები რომ იძახიან, — მოგვეცით უფლებათა, ეს ძახილი თუმცა სამართლიანია, მაგრამ ჰრჩება ხმად მლაღადებლად უდაბნოსა შინა: იმიტომ რომ ყველანი ჰხედვენ, რომ ქალები ბევრწილად უქმი და უვარგისნი არიან იმ მოკლედ შემოხაზულ წრეშიაც კი, რომელშიაც დღეს იმყოფებიან, და იმ მცირეოდენს მოვალეობასაც ვერ უძღვებიან, რაც დღეს მიზომილი აქვთ საზოგადოებასა თუ ოჯახობაში.

ეს დღევანდელი უქმობა და უვარგისობა ქალებისა ხელზედ დახვეული აქვთ ყველას, ვინც კი დედათა ემანსიპაციას არ ემხრობა და ეწინააღმდეგება. თითო-ოროლა მაგალითი საქმითა და



გამჭრიახობით გამოჩენილ ქალე-
ბისა ამ წინააღმდეგობის საბუთს
ბევრს არას არღვევს. ამ მაგალი-
თებს მარტო ბედნიერ შემთხვე-
ვად სთვლიან და უფროს-ერთს
ქალზედ კი ისევ ის უვარგისობის
აზრი ჰრჩება.

ამერიკაში იგრძნეს ქალებმა,
რომ ეს ასეა და სამართლიანის
ემანსიპაციის მოსაპოვებლად
იმას აღარა სჯერდებიან, რომ
იძახონ: უფლება მოგვეცითო. იმ-
ათ უფრო უკეთესი სახსარი, უკე-
თესი გზა ამოურჩევიათ. იმათ
უფიქრნიათ, რომ ქვეყანას უნდა
დავანახვოთ, რომ ჩვენც შეგვიძ-
ლიან რადმე ყოფნა ქვეყანაზედ,
ჩვენც შეგვიძლიან ყველა მოვა-
ლეობას ადამიანისას გაუფლ-
ვეთ, ჩვენც შეგვიძლიან არამც
თუ ხელით გარჯა, შრომა, საქმის
კეთება, არამედ გონებითაც,
ჭკვითაც და არც ერთსა და არც
მეორეში მამაკაცს არ ჩამოვუ-
ვარდებითო. ამ პატიოსანს გაზ-
რახვას შესდგომიან და, როგორც
ჰნახავთ, საკვირველის ძლევამო-
სილობითაც შეუსრულებიათ.

ამის დასამტკიცებლად ჩვენ მო-
ვიყვანთ საოცარს ამბებს, ერთის
გერმანულის ჟურნალიდამ ამოკ-

რებილს. ამ ამბების მიხედვით,
უტყუარად გამოარკვევს კაცი,
თუ რის შემძლებელი არის ქალი
და რა მონაწილეობას ჰქვამს
ცხოვრების წარსამატებლად და
რარაგად ეცილება მამაკაცს
ცხოვრების მოედანზედ, სატეხნი-
კო სარბიელზედაც კი. ეს ამბები
მით უფრო საკვირველია, რომ ქა-
ლის გამჭრიახობასა და შემძლე-
ბელობას იმისთანა საქმეში გვიჩ-
ვენებს, რომელიც დღეს აქამომდე
ქალისათვის უფრო ხელმიუწვდო-
მელი ეგონა ადამიანს.

იგი გერმანული ჟურნალი ამ-
ბობს: ჩრდილო-ამერიკის არხივე-
ბიდამ ამოკრებილიაო ცნობანი,
რომ ქალებს ამერიკაში 1900 პა-
ტენტი მიუღიათ მათ მიერ მოგო-
ნილ სხვადასხვა მაშინების გამო.
ერთი ამ საქმის მცოდნე ამერიკე-
ლი უმატებს: ის კი ანგარიში არ
მოგვეყავს, რომ ბევრი ქალი დაჰხ-
მარებია მამაკაცს ამისთანა საქ-
მეშიო. ეს ხომ საოცარია და საო-
ცარი, უფრო საკვირველი ის არის,
რომ იქაურ ქალებს იმისთანა საქ-
მეშიც გამოუჩენიათ თავი, რომე-
ლიც ქალის ცხოვრებაზედ ერთობ
შორს არის და ქალის ბუნებას უნ-

და ეუცხოვებოდეს. მაგალითებრ,
ერთს ქალს, გვარად მატერს, ნი-
უიორკში მოუგონია ტელესკოპი
მინის ქვეშეთისათვის (არლ-
ზენსდლ იეოეყკრა), ქალს გვარად
მონტგომერს — ფოლადის ჯავშა-
ნი საომარ ხომალდისათვის, ქალს
გოშამს — ახალგვარი ზარბაზანი,
ქალს ბიზელს — წყლისაგან გადა-
სარჩენი ნავი, ქალს ტანნის —
მაშინა ზღვაში დაღუპულ ხომალ-
დების ამოსაღებად და სხვანი. სა-
ქალო საქმეშიაც გამოუჩენიათ
თავი. მაგალითებრ, ქალს როზენ-
ტალს უფრო უკეთესი საკერავი
მაშინა მოუგონია, ვიდრე აქამომ-
დე იყო.

ყოველივე ეს, რასაკვირველია,
ძლიერი საბუთია „დედათა ემან-
სიპაციის“ მომხრეთათვის და
ამისთანა საბუთს სიტყვას შეუბ-
რუნებს მხოლოდ კერპობა და ჯი-
უტობა ადამიანისა. არ იქნება
ურიგო, რომ ჩვენმა ქალებმაც ყუ-
რი ათხოვონ ამისთანა მაგალი-
თებს და ხალისი მოიპოვონ ამის-
თანა მოღვაწეობისა და მოქმედე-
ბისათვის.

**ილია ჭავჭავაძე,
თხზულებათა აკადემიური
გამოცემა, ტ. X, თბ. 1988**

დედათა საქმის გამო

**I
ტფილისი, 6 მარტი, 1889 წ.**

რაც გინდ დიდ გაჭირვებაში ჩა-
ვარდეს კაცი, ერთადერთი გზა
ხსნისა კაცის საკუთარი მხნეობა
და გამრჯელობაა. მართალია, შე-
საძლოა სხვა გარემოებამაც ხელი
შეუწყოს კაცს გაჭირვებისაგან
დახსნისათვის, მაგრამ თავიდა-
თავი მოქმედი ძალი მთა-კლდის
გასარღვევად მაინც კაცის საკუ-
თარი მხნეობაა, საკუთარი თვით-
მოქმედებაა. უამისოდ სხვისით
საქმის წარმართვა, სხვისით ხსნა,
სხვისაგან მოლოდინი შველისა და
ხსნისა უფრო მიძინებაა მხნეობი-
სა, თვითმოქმედებისა და თავის-
თავის შველისა, ვიდრე საქმის გა-
ჩარხვა, კეთება და წარმატება.

კაცი როცა მარტო სხვის

**ხელს შეჰყურებს, — აცა, რო-
დის რას მომანძოდისო, როცა
მარტო სხვის გულს შეჰკნა-
ვის, ღვთის გულისათვის
მიშველე რამეო, იგი მთხოვა-
რაა უში და არა მომძედი
და გამრჯელი.** ამისთანა კაცმა
დღეს რომ საქმე გაისწოროს,
ხვალ ისევ იმავე დღეში ჩავარდე-
ბა, რა დღეშიაც სამადლოდ გა-
მოსხნამდე იყო, იმიტომ რომ თი-
თონ უქმია და მოედანი ცხოვრე-
ბისა კი იმისია, ვინც თითონ მხნე-
ობს და ირჯება თავის-თავის საშ-
ველად. საზოგადოებას აიღებთ,
თუ ცალკე კაცს, ყველგან ერთს
და იმავე უცვალებელს ბედისწე-
რასა ჰხედავთ, რომ მარტო საკუ-
თარს თვითმოქმედებას, მხნეო-
ბას, გამრჯელობას წარუშარტნია

საქმე როგორც საზოგადოებისა,
ისეც ცალკე კაცისა. რომელი
საზოგადოებაც, თუ ცალკე
კაცი, სხვაზედ დანდობილა
და თითონ გულხელი დაუკ-
რავია, იმას ამ ძვეყანაში ვუ-
რი არსობისა ვერ გამოუცხ-
ვია დასაცა ებ უური არ არის,
იმ არც სიცოცხლეა, იმ მკვდ-
არი მკვდარზეა აკიდებული,
საფლავამდე წასალეზად.

ჩვენ ეს საუბარი ჩამოგვადები-
ნა ერთმა წერილმა, რომელიც 4-ს
მარტს ჩვენს გაზეთში იყო დაბეჭ-
დილი ამ სათაურით: „საზოგადო-
ების საყურადღებოდ“. ჩვენდა სა-
სიხარულოდ, ამ წერილში ის ვი-
პოვეთ, რასაც არაერთხელ ვნატ-
რულობდით ეგრეთწოდებულ
„დედაკაცთა საქმის“ ჭეშმარიტს



გზაზე დასაყენებლად და, მაშასადამე, წარსამატებლად. ამ წერილში არ არის ის უკბილო საყვედური და უქმი ჩივილი, რომ აი, თქვე გულქვაო კაცებო, რატომ თქვენს უფლებას ჩვენც არ გაგვიწინაწინებთ? რატომ იმისთანა თავისუფლებას ჩვენც არ გვაძლევთ, რომელიც თქვენ ასე ტკბილად გატარებინებთ თქვენს სიცოცხლესაო და სხვა ამისთანა? არც ის უთავბოლო ფრაზებია იმაზედ თუ, — დედაკაცს ქვეყანაზედ მარტო სამი „უნმინდაესი, უსამღვთოესი დანიშნულება“ აქვსო: დედობა, ცოლობა და დობა, თითქო ყველაზედ უწინარეს იგი იმავე ადამიანად არ იყოს გაჩენილი, როგორც მამაკაცი და, მაშასადამე, მინამ დედობას, ცოლობას, დობას იკისრებდეს, ყველაზედ უწინარეს იგივე ადამიანობა არ მოეთხოვებოდეს, როგორც მამაკაცს. **დედობა, ცოლობა და დობა დიდი საქმე არ არის. ეს ზოგი ბუნების საქმეა, ზოგი გარემოებისა. საქმე კი დედაკაცობაა, კი ადამიანობაა, ანუ, უკეთ ვსთქვათ, კი კაცობაა და მერე დედობა, მამობა, ქმრობა, ცოლობა და სხვ. კაცს დედობის, ქმრობის და სხვა ამისთანის გარდა კიდევ სხვა ბევრი მოვალეობა აწევს საზოგადოებისა და ქვეყნის წინაშე და ყველაზედ უწინარეს ამ მოვალეობას უნდა გაუძღვეს, მამაკაცია, თუ დედაკაცია. ამას მარტო კი-კაცობა შესძლებს. **ვინც კაცად არ ვარება, ის არც მამად ივარგებს, არც დედად და არც სხვად რადმოდ, იმიტომ, რომ მამობა და დედობა ადამიანური, მარტო შვილების გამ-****

რავლება და კუჟუს ნოება არ არის.

ჩვენ ეს, ამხანად მოკლედ გამოთქმული, აზრი იქნება ოდესმე უფრო ვრცლად გავარკვიოთ, ეხლა-კი ისევ ზემოხსენებულ წერილს დავუბრუნდეთ. პატივცემული ავტორი ქალი გვაუწყებს, რომ ჩვენს ქალებს უთავნიათ, ღონე მოიპოვონ და სკოლა გაჰმართონ ქალების გასაზრდელად და თვით გაზრდა შეუფერონ ჩვენის დღევანდელის დღის საჭიროებასა.

„უთუოდ მეტყვიოთ, მკითხველო, — ამბობს ავტორი, — რომ **ამბვარ სკოლას დიდკალი ფული მოუნდავა. მამრამ, ბატონებო, თქვენის დახმარებით და ჩვენის მცაღინეობით იქნება ეს აზრი საქმედ ვაძციოთ.**

უეჭველია, საქართველოს ყველა კუთხითგან გამოგვეხმაურებიან, ხელს მოგვანვდენენ, აღმოგვიჩენენ შემწეობას და ამითი გაგვამხნევენ და შეგვისუბუქებენ იმ ტვირთს, რომელიც ჩვენ ვიდეთ კისრად“.


ჩვენ ამ წერილისა ის მოგვწონს და ის გვიხარია, რომ **ჩვენს ქალებს თავის-თავის შველა მოუნდაღინებიათ და სათავედ დაუდვიათ საკუთარი მხნეობა, საკუთარი მცაღინეობა. უკეთესს სახსარს, უკეთესს ღონეს სხვას ვერას იპოვნიან, თუ მართლა ჰსურთ საქმის გაკეთება და არა ტყუილუბრალო ნივილ-კივილი.** ჩვენ ეს ამბავი სიხარულით შეგვაქვს ჩვენს მათიანეში და მივულოცავთ ჩვენს ქალებს, რომ ჭემმარიტს გზას დასდგომიან თავიანთ სვე-ბედის გასასწორებლად.

მაღე შეუსრულდებათ ეს კეთილი განზრახვა, თუ გვიან, — დღეს საქმე იმაში არ არის. საქმე იმაშია, რომ თავიანთი საკუთარი მხნეობა, საკუთარი გამრჯელობა და უდვიათ სათავედ თავიანთ მოქმედებისათვის და შესდგომიან, რომ თავის საკუთარის ხელითა და გარჯით გაიტანონ ცხოვრების მოედნიდამ თავიანთ სვე-ბედის ბურთი. **რაც ბინდ გვერი დაბრკოლება აღმოუჩნდეს პირველ ხანებში ამ ქალებისაგან განზრახულს საქმეს, ბოლო მაინც გამარჯვებაა და გამარჯვება, რადგანაც იშვიათი ამბავია, რომ დაულალავს მხნეობასა და საქმის ბოლომდე მედგრად მიყოლას თავი არ გაეტანოს.** ძალიან სასიამოვნოა, რომ ჩვენს ქალებს წესად მიუღიათ, რომ

„თუ თვით არ ვიღვნიოთ, ვერ ვპოვებთ კეთილსა შესაკრებელსა“.

**II
ტფილისი, 15 მარტი, 1889 წ.**

თქმა არ უნდა, რომ რუსულმა ლიტერატურამ დიდი ხელმძღვანელობა გაგვინია წარმატების გზაზედ და დიდი ზემოქმედება იქონია ყოველს მასზედ, რაც ჩვენს სულიერს ძალღონეს შეადგენს და ჩვენს გონებას, ჩვენს აზრს, ჩვენს გრძნობასა და ერთობ ჩვენს მიმართულებას ზედ დააჩნია მან თვისი ავკარგიანობა. არ არის დღეს ჩვენში არც ერთი მოღვანე და მოქმედი კაცი მწერლობაში, თუ საზოგადო საქმეთა სარბიელზედ, რომ თავისუფალი იყოს ხსენებულ ლიტერატურის ზეგავლენისაგან. საკვირველიც არ არის: რუსულმა სკოლამ — მეცნიერებამ გაგვილო კარი განათლებისა და რუსულმავე ლიტერატურამ მოაწოდა საზრდო ჩვენს გონებასა და გამოჰკვება ჩვენი აზრი მოძრაობის გზაზედ. თვითოეული ჩვენგანი, გინდა თუ არა, უნდა დასწავებოდა ამ ორს წყაროს თავის სულიერ წყურვილის მოსაკლავად. სხვა გზა არ იყო. ამიტომაც საბუთი გვაქვს ვსთქვათ, რომ თვითეული ჩვენგანი რუსულის ლიტერატურით





1917 წ. მარტი. ნიუიორკელი ქალების აქცია

გაზრდილა. თვითოეულს ჩვენ-განს მის გამონარკვევზედ აუგია თავისი რწმენა, თავისი მოძღვრება და თავისი საგანი ცხოვრებისა საზოგადო საქმისათვის ამ გამონარკვევის მიხედვით გამოურჩე-ვია.

რასაკვირველია, ამ ზედმოქმედებამ რუსულის ლიტერატურისამ მარტო იმას შესძინა სიკეთე, რომელმაც ყოველი გამონარკვევი ამ ლიტერატურისა თავის საკუთარ კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა, ბრმად არ იწამა, ბრმად არ მიიჩნეა და ამრიგად არ დაიხვია ხელზედ ცხოვრებაში იოლად წასვლისათვის. **ჟოზეფი აზრი მარტო ცარიელი ფრაზა იმის ხელთ, ვინაც კრიტიკის ცეცხლში არ გამოუფოლა და იმსა არ შეუთვისებია.**

ამნაირი კაცი კაჭკაჭია და არა ჭეშმარიტი წარმომადგენელი მის მიერ ქადებულის აზრისა, რომელიც თუ სხვისაგან დაუჩემებია. კრიტიკის ძალით უნდა უსათუოდ თავისად გარდაექცია. უამისოდ ზედმოქმედება უძლიერესისა უღონოზედ, უკეთესისა უარესზედ მარტო ცარიელი მაიმუნობაა, სხვის ფეხის ხმაზედ ბრმად აყოლა, ტყვეობა და არა თავისუფლება და თვითმოქმედება გონებისა, რომელიც ერთადერთი ნიშანია ჭეშმარიტის განათლებუ-

ლობისა და აღმატებულობისა, ამ სახით ყოველივე ზემოქმედება — ავია თუ კარგი — არაფრის კეთილის მომასწავებელი არ არის. პირიქით იგი აძინებს, ჰკლავს მსჯელობის უნარსა, ყოველს მჭრელობასა და გამჭრიახობას გონებისას სჩაგრავს და აბათილებს.

ჩვენდა საბედნიეროდ, ვიტყვით, რომ ზოგნი ჩვენში, რუსულ ლიტერატურის მეოხებით გაზრდილნი და განურთვნილნი, ასე ბრმად ტყვედ არ მისცემიან ამ ლიტერატურის აუცილებელს ზედმოქმედებას. ამათ ჯერ გამოუძიებიათ მისი გამონარკვევნი და მერე ისე ან შეუთვისებიათ, ან უარუყვიათ. ჩვენდა სანუგეშოდ, მარტო ამას არ დასჯერებიათ: იმავ კრიტიკით და გამოძიებით მხარდამხარ ასდევნებიან ამ ლიტერატურის წინსვლასა, წარმატებას და არ გაჩერებულან მის რომელსამე ხანაზედ. ლიტერატურა, რომელსაც მაღლი ცხოველმყოფელობისა სძრავს და ამოქმედებს, ერთი გაუწყვეტელი გრეხილია აზრთა ზედმიყოლებით განვითარებისა და წარმატებისა. ამისთანა რუსული ლიტერატურაცა. ხშირად მოხდება ხოლმე, რომ, რაც გუშინ სწამდა ლიტერატურას, რა მოძღვრებაც გუშინ ჰბატონობდა ლიტერატურაში, დღეს ყოველივე ის უარყო-

ფილია და დევნული იმავ ლიტერატურისაგან. ხშირად ერთს რომელსამე ხანაში აღძრული აზრი, თუ საგანი, მეორე ხანაში ისევ იმ საგანდა და აზრად რჩება, მხოლოდ სულ სხვა სახით, სხვა შუქით, სხვა სიგრძე სიგანით გამოდის. ამას ყოველსფერს თვალის დევნა უნდა და თუ არ კრიტიკითა და გამოძიებით გამორკვევა, შენიშვნა მაინც და ანგარიშის განევა. თორემ აქაო და ამ ოცისა და ოცდაათ წლის წინათ ამა და ამ საგანზედ ესა და ეს ითქვაო და დაიჟინონ, — ეს არის უკანასკნელი სიტყვა მეცნიერებისა და ლიტერატურისაო, მაშინ, როდესაც უკანასკნელი სიტყვა დღეს სულ სხვაა, უჯიათობა და ჭირვეულობა იქნება ერთხელ და ერთხელ შებორკილებულ და დატყვევებულ გონებისა.

სწორედ ამისთანა საქმე მოსდის დღეს ჩვენში, სხვათა შორის, ერთს მოძღვრებასაც, რომელიც ეგრეთწოდებულ „დედათა უფლების საქმეს“ შეეხება. ეს საქმე ჩვენში დღესაც იმ საბუთებზე ჰტრიალებს, რა საბუთებითაც ამ ოცისა თუ ოცდაათის წლის წინათ თავი იჩინა და მოედანზედ გამოვიდა. თითქო კაცობრიობას საზოგადოდ და რუსულ ლიტერატურას ცალკე მას აქეთ ეს საქმე წინ არ წაენიოს, უფრო ფართოდ არ გადემალოს, არ დაეყენებინოს



და უფრო საბუთიანს საფუძველზედ არ ამოეყვანოს.

თუმცა ეს საქმე დიდად შესანიშნავი რამ არის და ჩვენთვისაც ისე საჭიროა, როგორც სხვისთვის, მაგრამ ჩვენდა სამარცხვინოდ, უნდა ვსთქვათ, რომ იგი ჩვენის თაოსნობით არ არის დღეს ჩვენში ფეხზედ დამდგარი. ამ საქმეს და მის საჭიროებას კვლავ იმავ რუსულმა ლიტერატურამ მიგვახვედრა და დღეს-აქამომდე იმ საბუთებითა და იმ აზრებით იკვებება, რომელიც — როგორც ვთქვით — ხელზედ დახვეული ჰქონდათ ამ საქმის მომხრეთა ამ ოცისა და ოცდაათის წლის წინათ. აბა, გადასინჯეთ ყოველი, რაც ამ საგანზედ ჩვენში წერებულა და ინერება დღეს, თუ უწინდელბერ მარტო სახელითა „დედობისათა, ცოლობისათა და დობისათა“ არ ითხოვდნენ ამ საქმის ასე თუ ისე წარმართვას. ასე იყო დასაბუთებული ლაღადი დედათა უბედობის თაობაზედ ამ ოცისა თუ ოცდაათის წლის წინათ რუსულ ლიტერატურაში, თითქო დაავიწყდათ, რომ დედაც კაცია, ადამიანია და მარტო კაცისა და ადამიანის სახელით. დედათა უფლების საქმე უნდა ჰღალადებდეს და თხოულობდეს თვის წარმართვასა. ამ ფართო გზაზედ ჰდგას ეს საქმე ევროპაში დღეს და გვგონია, ვერაფერს სამსახურს უწევნ ქალებს ისინი, ვინც ამ საქმეს მოკლე ფარგალით უზომავენ ადგილს და დედაკაცი ადამიანობიდან ჩამოჰყავთ, რომ მარტო დედობისა, ცოლობისა და დობის უღელი გაანვიწიონ, ესე იგი ბევრისაგან ცოტა უწყალობონ.

ჩვენს მეთაურს, რომელმაც გამოიწვია „ქართველის ქალის“ წერილი, დღეს ჩვენს გაზეთში დაბეჭდილი, სხვა არა უთქვამს-რა ამის მეტი. დღეს ჩვენ ხელთა გვაქვს საბუთი ვსთქვათ, რომ რუსულმა ლიტერატურამაც ამრიგად დაუწყო ყურება ამ საქმეს. 7-ს მარტს პეტერბურგში დაბეჭდილ და 13-ს მარტს ქალაქში მოსულ გაზეთებიდან ამოვიკითხეთ, რომ სწორედ იმ დღეს, რა დღესაც ჩვენი მეთაური დაიბეჭდა, პეტერ-

ბურგში გამოსულა ყურნალი „წენკრე რქობრვთმე“. ამ ყურნალშია წერილი რუსეთში ცნობილ პედაგოგის ი. გ. გურევიჩისა, რომელიც სწორედ იმასვე ამბობს, რაც ჩვენის „ქართველის ქალის“ მიერ დანუნებულ მეთაურში ჩვენ ვსთქვით. გაზეთს მოჰყავს-რა ამ გურევიჩის სიტყვები, თავის მხრით ამისთანა წინასიტყვაობას უძღვნის:

„Шаблонные моралисты, говоря о женском образовании, любят часто повторять по адресу школы классическое требование: „дайте нам хороших жен, матерей и хозяйек...“ და მერე: Гуревич доказывает всю риторическую пустоту этого притязательного требования“.

აი თითონ გურევიჩის სიტყვებიცა:

„ამ კეკლუცმა ფრაზამ, — ამბობს სტაიუნინიო თავის-თავზედ, — მეც ერთხელ ამიყოლია. ხოლო მერმედ-კი სხვა მეორე საგანმა მიმიზიდა და ვკითხე ჩემს თავსა: რატომ მამაკაცის შესახებ-კი არავის წამოსცდენია სურვილი, რომ მოგვიზადეთ კარგი ქმრები, კარგი მამებიო? ეს ღირსებანი ხომ ისე საჭირონი არიან მამაკაცისათვისაც ოჯახში, როგორც დედაკაცისათვის კარგი ცოლობა და კარგი დედაობა. რატომ არავინ ჰფიქრობს, რომ ეს ღირსებანი დაუნერგონ და განუვითარონ მამაკაცებსა? იმიტომაო, — ამბობს ახლა თავისით გურევიჩი, — რომ მამაკაცთა სწავლა-განათლების თაობაზედ ჩვენ უფრო უკეთესი და მართალი აზრი გვაქვს, ვიდრე დედაკაცის სწავლა-განათლების თაობაზედაო. როცა მამაკაცი გვყავს სახეში, ჩვენ ვხედავთ, რომ ყველაზედ უწინარეს უნდა განვანათლოთ ადამიანი და რაკი ადამიანი განათლებულია, მალე გაიგებს თავისს მოვალეობას, რომელიც მან უნდა იკისროს იმ გარემოების მიხედვითა, რაშიაც ცხოვრება ჩააყენებს, და მალე შეიძენს იმ განსაკუთრებულ ცოდნასაც, რაც დასჭირდება ცხოვრების ამა თუ იმ გზაზედ.


ამის შემდეგ, რასაკვირველია, სასაცილოა ის სურვილი, რომ მა-

მაკაცი ვამზადოთ მარტო საკარგ-ქმროდ და საკარგ-მამოდ. განა ამავე აზრით არ უნდა მივმართოთ ქალების სწავლა-განათლების საქმეს? განა ქალიც არ უნდა გამოვზადოთ იმის შესაფერად, რასაც სიტყვა ადამიანი ჰნიშნავს მამაკაცის შესახებ? განა საჭირო არ არის ყოველი ჩვენი მეცადინეობა მივაქციოთ იმაზედ, რომ ქალს გონება გავუხსნათ ჭეშმარიტის აზრებისათვის, ალუფროთოვანოთ გულისტკივილი კაცობრიულის და მოქალაქეობრივის ინტერესებისათვის. გავაგებინოთ იგი ვალი, იგი თანამდებობა, რომელიც ამ ინტერესებს თან მოსდევს? ესეთის აზრებით, რწმენით და თვალთამხედველობით დედაკაცი გაუთანასწორდება მამაკაცსა და მისებრივ ადვილად გაიგებს, ადვილად მიხვდება მოვალეობას კაი ცოლობისას, კაი დედობისას, და უკვე განათლებული ჭკუითა და გულით ადვილად შეიძენს იმ განსაკუთრებულს ცოდნასაც, რომელიც ოჯახში ასე თუ ისე მისთვის საჭირო იქნება“.

აი დღეს დედათა საქმე რა გზაზედ და რა ფართოდ არის დაყენებული რუსულ ლიტერატურაში და ჩვენი პატივცემული ქალი-ავტორი ამოდა ჰცდილობს გამოვლილ გზაზედ უკანვე დაბრუნებას. ამ ახალს მოძღვრებას დედათა საქმის შესახებ ვერავინ გაემკლავება, რადგანაც დღევანდელი ბურთი და მოედანი უფრო მეტის ცნობიერებით, უფრო მეტის სიმართლით და საბუთით ამ მოძღვრებას დაუჭერია არამცთუ მარტო რუსეთში, სხვაგანაც. დღეის ამას იქით აგრე სამართლიანად განდიდებულს და გაფართოებულს საქმეს ვედარავინ გამოჰკვებავს წინანდელის ნამცეცებითა. ჩვენ ამასაც ვიტყვით, რომ მარტო ამ მოძღვრებას შეუძლიან თავი გაატანინოს დედათა საქმეს ყოველთა სასიხარულოდ და სასიქადულოდ და, ვისაც დედათა საქმის სიდიადე გულწრფელად და გაგებულად გულში სდებია, არა გვგონია, ამ გზაზედ საქმის დაყენება მიიჩნიოს გზის გამრუდებად და არა გასწორებად.

იღბა თუ არა «ორსაუკუნოვანი რუსული ჩაქმა» ქართველი ერის კისერზე?

თურქეთში ერთ-ერთი ვიზიტის დროს, ვადაგასულმა სააკაშვილმა განაცხადა: „საბჭოთა იდეოლოგია გვინერგავდა, რომ თურქეთი ისტორიული მტერია საქართველოსი, რაც სინამდვილეს არ შეეფერება. ისტორიულად იგი ჩვენი ძმა და მეგობარია, რასაც ვერ ვიტყვით რუსეთზე, რომელიც არის ოკუპანტი და ისტორიული მტერი“-ო. სააკაშვილისგან არაფერია არც გასაკვირი, არც სანყენი მისი მძიმე ფსიქიკური მდგომარეობის გამო. მითუმეტეს, იგი არაერთხელაა შემჩნეული ანტიქართულ გამოთქმებსა და ქმედებებში. აქ მთავარი ისაა, რომ „პრეზიდენტი“ მსგავსი ფრაზებით ამჟღავნებს საქართველოს და, საერთოდ, მსოფლიო ისტორიის სრულ უცოდინარობას. ოდნავ შევუსწორებ სააკაშვილს — XVIII საუკუნის თურქეთს „ძმად და მეგობრად“ მოიაზრებდნენ მხოლოდ იმდროინდელი ქართველი მოლალატეები, რა თქმა უნდა, პირადი კეთილდღეობის საკითხების მოსაგვარებლად, ისევე, როგორც დღეს, იმავე მიზნით, „აგვარებენ“ ე.წ. მერკანტილურ საქმეებს მათი სულიერი მემკვიდრეები — თანამედროვე „ისკარიოტელები“, რომელთათვის „ძმა და მეგობარი“ უკვე ამერიკის შეერთებული შტატებია!... მაშ, იღბა თუ არა „ორსაუკუნოვანი რუსული ჩაქმა“ ქართველი ერის კისერზე?



უპირველეს ყოვლისა, უზურპატორ სააკაშვილს ვურჩევ, ერთი წიგნი მაინც წაიკითხოს საქართველოს ისტორიიდან, თუნდაც, გასული წლის დეკემბერში, ჩვენი რედაქციის თაოსნობით, გამოსული წიგნი „ლეკიანობა“, რათა მომავალში სისულელეები არ იბუჟტუროს საქართველო-თურქეთის „ისტორიულ ძმობაზე“!

„ლეკიანობის სახელით ცნობილი ჩრდილო კავკასიელთა შემოსევები ისეთივე გამანადგურებელი მოვლენა იყო, როგორც „დიდი თურქობა“ და ყიზილბაშობა. ამ საბედისწერო თავდასხმებმა ათასობით სიცოცხლე შეინირა და ძირფესვიანად გააჩანაგა სამეურნეო ცხოვრება. ქართლ-კახეთის მოსახლეობა ორასი ათას სულამდე შემცირდა. ისტორიის დასასრული რეალობად იქცა.

ოსმალეთის მმართველებმა მაშინ შეგნებულად დაიწყეს მზადება საქართველოს განადგურების-

თვის — ქართველთა წინააღმდეგ ჩრდილოკავკასიელთა კომბინირებულად ამოქმედება“, — ვკითხულობთ ამ წიგნში. რა თქმა უნდა, სააკაშვილს არც ის ფაქტი მოეწონება, რომ „...დონის კაზაკთა ნაწილები ლეკთა თავდასხმებისაგან საქართველოს დასაცავად 1801-1804 წლებში შემოვიდნენ!“.

იმავე სააკაშვილმა 9 წლის განმავლობაში მრავალჯერ განაცხადა, თითქოს რუსეთმა არაერთხელ დაიპყრო საქართველო; რალაც კომისიაც შექმნა ამ საკითხთან დაკავშირებით, „დიდი ისტორიკოს“ სიმონ მასხარაშვილის მეთაურობით.

მოდით, ჩავიხედოთ ისტორიაში და აქედან გამომდინარე შევაფასოთ ანტიქართული ელემენტის — სააკაშვილის ლაყბობის ადეკვატურობა მის მიერვე აღძრულ საკითხებზე.

ჯერ კიდევ VIII საუკუნეში, კერძოდ, 781 წელს არაბებისაგან დე-

ნილმა ქართლის ერისთავმა 400-კაციანი ამალით თავი შეაფარა რუსეთს. 1652 წელს თეიმურაზ მეფე რუსეთის მეფეს ეწვია დახმარების თხოვნით სპარსელების წინააღმდეგ. 1685 წელს მეფე არჩილი ოჯახითა და მრავალრიცხოვანი ამალით შეიფარა პეტრე დიდმა, რომელმაც მეფეს და მის თანხლებ პირებს ადგილმამულები და სასახლეები უბოძა მოსკოვში. არჩილის შვილს — ალექსანდრეს პეტრე დიდმა უმაღლესი სამხედრო განათლება მიაღებინა და ძმადნაფიცად აღიარა.

1760 წელს თეიმურაზ მეორე პეტერბურგში ეწვია რუსეთის მეფეს დახმარების თხოვნით სპარსელებისა და თურქების წინააღმდეგ, რომლებიც ერთად და ცალცალკე სრულ განადგურებას უქადდნენ სრულიად საქართველოს.

ქართველ მეფეთა საუკუნოვანი ლტოლვა ერთმორწმუნე რუსეთისაკენ, ბოლოს და ბოლოს, და-



ავგირგვინა მეფე ერეკლე მეორემ 1783 წლის „გიორგიევსკის ტრაქტატით“.

აი, რას წერს ერეკლე მეორე რუსეთის იმპერატრიცა ეკატერინე მეორეს: „უმდაბლესად გთხოვთ და უნებებურესად მუხლდადგომით გვედრები, ყოვლად უმოწყალოსო ხელმწიფევ, გარდმოხედე სიმაღლისაგან ტახტისა თქვენისათა, და შეიწყალე თქვენს საფარველ ქვეშე მყოფი ქვეყანა ესე და ესოდენი ქრისტიანე მტერთა წარწყმედისაგან. გვიბოძეთ ისეთი მფარველობა, რომ ყველამ, როგორც ჩვენმა კეთილმსურველებმა, ისევე მტრებმაც, დაინახონ, რომ მე ვარ სრული ქვეშევრდომი რუსული სახელმწიფოსი და ჩემი სამეფო მიერთებულია რუსეთის იმპერიასთან“. ოკუპაცია?!...

მესმის აღშფოთებული შეძახილები: კი, მაგრამ, ეს ტრაქტატი რუსებმა ხომ თავად დაარღვიესო?! 1801 წელს ბაგრატიონთა დინასტია გააუქმესო!

ისევ „წყაროს“ მივმართოთ: „1799 წელსა, 23 ნოემბერსა, შედგა ახალი ტრაქტატი შორის პავლე იმპერატორისა და გიორგი მეფისა შემდეგი: 1. მისი დიდებულება იმპერატორი ყოვლისა რუსეთისა მიიღებს ტიტულსა „მეფე საქართველოსა და შემდეგნი მისნი და მემკვიდრენი“; 2. ქვეყნისა გიორგისა დავით ტიტულსა „განმგე საქართველოსა და გარდავალ ესე შთამომავლობითა პირმშოდან პირმშომდის“. ამ დოკუმეტს ხელს აწერს რუსეთის მხრიდან გრაფი როსტოპჩინი, საქართველოს მხრიდან თავადები: ავალიშვილი და ფალავანდიშვილი.

როგორც ვგებულობთ, მეფე გიორგი კი მოიხსენება მეფედ, მაგრამ მისი ძე — დავითი მომავალში უნდა მოიხსენიოს „განმგე საქართველოსა“, რუსეთის იმპერატორი პავლე კი იღებს ტიტულს „მეფე საქართველოსა“... ამისი ახსნა, ჩემი აზრით, შემდეგნაირია — სიცოცხლის ბოლო წელს მეფე ერეკლე მეორემ, დედოფლის — დარეჯანის ზენოლის შედეგად, ქართლ-კახეთი დაპყრო შვიდ ნაწილად და შვილებსა და შვილიშვილებს დაუნაწილა: კახეთი — გიორგის, ქართლი — იულონს და ასე შემდეგ. ფაქტობრივად, ეს სამეფო ტახტის გაუქმება იყო!.. მაგრამ, გიორგის ძე — დავითი არ გახდა „განმგე საქართველოსა“. რატომ?

პავლე პირველი 1801 წელს მოკლეს, სხვათა შორის, იგი მოახრჩო თავადმა ვლადიმერ იაშვილმა. რუსეთის ტახტი დაიკავა ალექსანდრე პირველმა, რომელმაც ოფიციალურად გააუქმა, ფაქტობრივად, ბაგრატიონების მიერვე გაუქმებული ქართლ-კახეთის სამეფო, მაგრამ ეს სრულიადაც არ ამართლებს ალექსანდრე პირველს! იმპერატორი უფრო წინდახედული უნდა ყოფილიყო. აგრეთვე, ალექსანდრეს მხრიდან დანაშაული იყო ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმება!..


რუსეთის ჯარი თბილისში შემოვიდა 1799 წლის 26 ნოემბერს. უნიგნურ სააკაშვილი, რომელსაც, უდავოდ, მოსაჩვენებლად უკიდია კაბინეტში ილია ჭავჭავაძის პორტრეტი, აზრზეც არაა, თუ როგორ შეაფასა ეს მოვლენა ასი წლის შემდეგ დიდმა ილიამ: „...ესე

შემოვიდა რუსის ჯარი ტფილისში. ამ დიდის ყოფით და ამბით დახვდა რუსეთის ჯარს მეფე და ერი. სასონარკვეთილმა მეფემ და ერმა ძლივს ნუგეშითა და იმედით გაიცოცხლა გული. მეფის დარიდან დაწყებული უკანასკნელ ქობამდე სიხარულმა გაშალა თავისი სანატრელი ფრთა, სიხარულმა ხსნისამ და ნუგეშისამ. დიდი ხანია, საქართველოს ამისთანა ბრწყინვალე დღე აღარ ენახა. ამ ღირსახსოვარ დღიდან საქართველომ მშვიდობიანობა მოიპოვა. შიში მტრისა ერთმორწმუნე ერის მფარველობამ გაუფანტა. დამშვიდდა დიდი ხნის დაუმშვიდებელი ქვეყანა, დაწყნარდა აკლებისა და აოხრებისაგან, დაცხრა ომისა და ბრძოლისაგან. დადუმდა ჟღერა ხმლისა და მახვილისა, მტრისა ხელით მოღერებულიისა ჩვენზე და ჩვენს ცოლშვილებზე.

...ის დღეა და ის დღე, ველარავინ გადმოლახა იგი საზღვარი ცეცხლითა და მახვილით ხელში და 26 ნოემბერს 1799 წელს კვლავ სასოება-გაღვიძებული მეფე და ერი გულწრფელად მიენდო თავის მომავალსა, დიდი რუსეთის მფარველობის იმედითა და ნუგეშით ფართაშესხმული.

დღეს 26 ნოემბერს 1899 წ. სწორედ ასი წელიწადია მას აქეთ“ („ასი წლის წინათ პირველად შემოსვლა რუსის ჯარისა ტფილისში“).

რუსის ჯარის შემოსვლის პირველივე დღიდან ქვეყანაში მშვიდობა დამკვიდრდა. ხალხი დაწყნარდა და შრომას დაუდო გული. გლეხკაცმა სატევარი ჩააგო; კავში ლეკ ქურდბაცაცებთან ნაბრძოლი ცხენი შეაბა და მიწას მიხედა, დარწმუნებულმა იმაში, რომ მის ნაოფლარს ვერავინ წაგლეჯდა. შედეგად, გაჩაღდა მიწათმოქმედება, აღორძინდა სოფელი და მისი მეურნეობა. ფიზიკურად გადარჩენილმა მოსახლეობამ გამრავლება იწყო. პირველად ქვეყნის ისტორიაში გაჩნდა ინტელიგენცია, რუსეთიდან დაბრუნებული ქართველი თერგდალეულების სახით, რომლებმაც განაპირობეს





კიდევ, განათლების აღმასვლა და კულტურის აღორძინება!

დიახაც, მოგვწონს თუ არა, რუსეთის დამსახურებაა, რომ XIX საუკუნე საქართველოსათვის „მეორე რენესანსად“ იქცა. რუსეთი, ნებით თუ უნებლიეთ, ყოველნაირად ცდილობდა, საქართველო უმოკლეს დროში ცივილიზებულ განათლებულ ევროპული ყაიდის ერად ექცია, რისთვისაც ყოველმხრივ უწყობდა ხელს ნიჭიერი ახალგაზრდა ქართველების რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში გამგზავრებას!

უტიფრობაა სააკაშვილის განცხადებაც, რომ თამარ მეფის გარდაცვალების შემდეგ საქართველოში არაფერი აშენებულაო და მხოლოდ ახლა განახლდაო მშენებლობები(?), სამწუხაროდ, ამ არსების მიძიმე ფსიქიკური პრობლემები მისით არ დაწყებულა. ეს სენი გენეტიკურად მოსდევს... უბედურება ისაა, რომ ამგვარი სულიერი ავადმყოფი, რომელსაც ზედმინევენიითი მკურნალობა ესაჭიროება, ქვეყნის პრეზიდენტი გახდა, თუმცა ჭკუანაღრძობთა სათავეში ყოფნა (გავიხსენოთ ბუში, სარკოზი, ბერლუსკონი და ა. შ.) არაა მხოლოდ ჩვენი თავსატეხი...

1795 წელს ალა მაჰმად ხანმა თბილისი მინასთან გაასწორა. არადა, ბევრი იმდროინდელი უცხოელი მოგზაური ჩვენს დედაქალაქს ლამაზ ქალაქად მოიხსენიებს. დღევანდელი თბილისი რუსული ორასწლიანი „ოკუპაციის“ დროსაა აშენებული! ამ მხრივ ქართველი ერის წინაშე განსაკუთრებული დამსახურება მეფისნაცვალს, პეტრე ბაგრატიონის

ნის ყოფილ ხელქვეითსა და მეგობარს მიხეილ ვორონცოვს მიენერება, რომლის მმართველობის 10-წლიან პერიოდში (1844-1854 წწ.) საქართველოში მრავალი ეროვნული მნიშვნელობის სასიკეთო საქმე გაკეთდა; უდავოდ დიდი იყო მისი წვლილი თბილისში ქართული და რუსული თეატრების, იტალიური ოპერის, საჯარო ბიბლიოთეკის, მუზეუმის, ბოტანიკური ბაღის, წმინდა ნინოს ქალთა სასწავლებლის, გაზეთი „კავკაზის“, ჟურნალ „ცისკრის“ გახსნაში; აშენდა მრავალი ხიდი (მათ შორის „მშრალი“), ქუჩა და ნაგებობა. ალბათ, დამეთანხმებით, XIX საუკუნეში არც ერთ სხვა პიროვნებას ასე მოკლე დროში თბილისში ასეთი აღმშენებლობა არ ჩაუტარებია! ხოლო იმის ჩამოთვლა, რაც აშენდა თბილისში და სრულიად საქართველოში საბჭოთა „ოკუპაციის“ დროს, ძალზე შორს წავიყვანს!

ისიც არ უნდა დავივიწყოთ, რომ რუსეთმა, ნებით თუ უნებლიეთ, დაგვიბრუნა ჩვენი „ძმების“ — თურქების მიერ წაგლეჯილი მიწები. 1810 წელს რუსმა ჯარმა ფიცხელი ბრძოლით სოხუმის ციხე აიღო, აფხაზეთიდან ოსმალები განდევნა და იგი, ფაქტობრივად, საქართველოს შემოუერთა.

1829 წლის სექტემბერში, ოსმალეთთან დადებული ზავის ძალით, რუსეთმა შემოიერთა ძველი ქართული ქალაქები: ფოთი, ახალციხე, ახალქალაქი და ძველი სამცხე-საათაბაგოს ათი რაიონი — ახალციხის, ახალქალაქის, ასპინძის, აწყურის, ხერთვისის, ქვაბლიანის, აბასთუმნის, ჭაჭა-

რაქის, ფოცხოვისა და ჩილდირის. მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ რუსეთის ხელისუფლებამ იმ პერიოდში ჯავახეთში დაასახლა თურქეთიდან ლალატისთვის გამოძევებული მრავალათასიანი სომხური მოსახლეობა, რომელიც გენერალ პასკევიჩის ნაქეზებითა და მხარდაჭერით ძალზე თავხედურად მოქმედებდა (აბა, ისე როგორ გაბედავდა!), კერძოდ, სახლებსა და საქონელს ართმევდა ადგილობრივ ქართველებს და ეს უკანასკნელნი იძულებულნი იყვნენ, დაეტოვებინათ მამპაპური მიწა და საქართველოს სხვა რეგიონებში გადასულიყვნენ!.. სავარაუდოა, რომ იმ სომეხთა შორეული შთამომავალია პრეზიდენტი სააკაშვილი.

ბერლინის 1878 წლის ივლისის ხელშეკრულებით, რუსეთმა, ასევე ფაქტობრივად, შემოგვიერთა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მიწა-წყლის ნაწილი, სახელდობრ: აჭარა-ქობულეთი, შავშეთი, კლარჯეთი, კოლა-არტაანი და ტაოს ჩრდილოეთი ნაწილი — ოლთისი. ამათგან აჭარა-ქობულეთს, შავშეთსა და კლარჯეთს ეწოდა ბათუმის ოლქი.

ასეთი შედეგებით დამთავრდა რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომი, რომელსაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოსთვის: მან ხელი შეუწყო ჩვენი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას და ქართველი ერის კონსოლიდაციას.

ამ ომის შედეგი უფრო შთამბეჭდავი იქნებოდა, რომ არა „განათლებული ევროპის“ ვერაგობა. რუსეთის ჯარს ხელს აღარაფერი უშლიდა, კონსტანტინეპოლის ალებაში, მაგრამ ჩვენი ახლანდელი „ძმებისა და მეგობრების“ — ინგლისის, საფრანგეთის, ავსტრიისა და გერმანიის (მაშინ პრუსიის) კატეგორიული მოთხოვნით, რუსის ჯარი შეჩერდა სტამბულის შემოგარენთან — სან-სტეფანოსთან (ევილკეისთან)... ჩვენ უნდა შევიგნოთ, რომ დასავლეთი მართლმადიდებლობის დაუძინებელი მტერია! სწორედ რომ ევროპამ მისცა უფლება ოსმალებს, 1453

ისიც არ უნდა დავივიწყოთ, რომ რუსეთმა, ნებით თუ უნებლიეთ, დაგვიბრუნა ჩვენი „ძმების“ — თურქების მიერ წაგლეჯილი მიწები. 1810 წელს რუსმა ჯარმა ფიცხელი ბრძოლით სოხუმის ციხე აიღო, აფხაზეთიდან ოსმალები განდევნა და იგი, ფაქტობრივად, საქართველოს შემოუერთა



ნელს აელოთ მართლმადიდებლობის ფორპოსტი — კონსტანტინეპოლი!..

როდესაც იმპერატორმა ალექსანდრე პირველმა იმერეთი დაიკავა, მისი ხელისუფლების პირველი ქმედება იმაში გამოიხატა, რომ მან, სიკვდილის დასჯის მუქარით, აკრძალა თურქებისთვის ტყვეთა მიყიდვა, რითაც ლაგამი ამოსდო ადგილობრივ მთავრებს. ასევე, ალექსანდრემ სასტიკად აუკრძალა ბატონებს ყმების სხეულის დამახინჯება და სიკვდილით დასჯა, ანუ მან შეძლო ის, რაც, სამწუხაროდ, ვერ მოახერხა იმერეთის მეფემ, დიდმა პატრიოტმა და მეომარმა სოლომონ პირველმა...

ამის დასტურად დავესესხები **ჟაკ ფრანსუა გამბას**, მისი წიგნიდან „მოგზაურობა კავკასიაში“: „სამართლიანობა მოითხოვს, ვალიაროთ, რომ ამჟამად, მას შემდეგ, რაც რუსეთის მმართველობამ აქ არსებული ბარბაროსული რეჟიმი შეცვალა, ამ ხალხის ყოფაში მნიშვნელოვანი დადებითი ძვრები შეინიშნება. ამ აზრის ფაქტებით განსამტკიცებლად შეიძლება ითქვას, რომ 20 წლის განმავლობაში, რაც ამ მხარეს რუსეთის მთავრობა მართავს, მკვლევლობის ორი თუ სამი ფაქტი აღნუსხულა. ხალხმა კიდევ უფრო სასიკეთოდ იცვალა ზნე“.

ის როგორ გავიგოთ?! „დაუძინებელი ისტორიული მტრის ოკუპაციის, რუსული ჩიქმის პირობებში“ 20 წლის განმავლობაში — 2-3 მკვლელობა?! სოლო სამართველოს „გულდამწვარი ჭირისუფლ-

ის“, სააკაშვილის, მმართველობის 9 წლის მანძილზე — 150-მდე ქუჩაში დახვრებილი ახალგაზრდა, ათასზე მეტი საპრობილეუმი გარდაცვლილი პატიმარი, ორმოც ათასზე მეტი ტუსადი, 350 ათასამდე პროპაციონერი და ყოველდღიურად 1-2 მკვლელობა და თვითმკვლელობა?!.. ახლა გაკითხვით: ვინაა ოკუპანტი — რუსეთი თუ „დემოკრატიის შუშურა“ სააკაშვილი?!

აი, რას ამბობს ყოფილი პატიმარი, ცხინვალის 2008 წლის ტრაგედიის მონაწილე, გენერალი ტრისტან ნითელაშვილი: „საკაშვილს უნდოდა, რაც შეიძლება მეტი ქართველი დახოცილიყო 2008 წლის აგვისტოს ომში და, მიცვალებულთა რაოდენობა ათი ათასს რომ გადააჭარბებდა, მერე ეკივლა — რუსებმა გენოციდი მოგვიწყვეს, არიქა, სასწრაფოდ მიგვიღეთ ნატოშიო!“... ფაქტია, სააკაშვილმა გენოციდი მოუწყო ცხინვალის რეგიონის ქართულ მოსახლეობას! მის მიერ გაჩაღებულ სასაკლავოზე 850 ადამიანი დაიღუპა! ამის მერე, უპრიანია თბილისში გაიხსნას „2004-2012 წლების ოკუპაციის, რეპრესიებისა და საქართველოს მოსახლეობის გენოციდის სახელმწიფო მუზეუმი“!

„გვიყვარდეს რუსეთი, ვიმეგობროთ მასთან და განუყრელად ვიაროთ ერთი გზით. ეს სიყვარული ოქროს ჯაჭვით უნდა იყოს შეკავშირებული. დიდი რუსეთის გარეშე არ არის ხსნა საქართველოსი და ქართველები-


სათვის“, — ამას ბრძანებდა **აპაკი წარეთელი**. აგერ, **ნიკო ნიკოლაძის** სიტყვები: „საქართველო რუსეთთან კავშირში უფრო მალე მიაღწევს თავისი მდგომარეობის საუკეთესოდ მოწყობას, ვინემ მას მოკავშირედ ეყოლება ევროპის რომელიმე ერი: ან ოსმალეთი, ან სპარსეთი. საქართველოს წინსვლა დამოკიდებულია რუსეთის პროგრესზე. ჩვენ ყოველთვის გაგვახარებს ამ გზაზე წინ გადადგმული ნაბიჯი“. ვფიქრობ, ზემოთქმული კომენტარს არ საჭიროებს.

დღეს ჩვენი საზოგადოების მთავარი თავსატეხი თვითმარქვია პრეზიდენტი სააკაშვილია. მე არასდროს მომწონდა საპროტესტო მიტინგები მისი გადადგომის მოთხოვნით, რომლებიც ტარდებოდა ბოლო წლების განმავლობაში ან პარლამენტთან, ან ავლაზრის რეზიდენციასთან! ასეთი ღონისძიება ჩასატარებელია მხოლოდ და მხოლოდ ამერიკის საელჩოსთან!

როდესაც საპროტესტო აქციები ტარდება ამ ქვეყნის წარმომადგენლობასთან, ის ამერიკის მოსახლეობის ყურადღების ცენტრშია. ამით ჩვენ ინფორმაციას მივანვდით ამერიკელ ხალხს იმაზე, თუ რაოდენ სამარცხვინოდ, „დემოკრატიის პრინციპებს“ ამოფარებული იქცევა მათი ადმინისტრაციის ზოგიერთი მაღალჩინოსანი. შესაძლოა, ამით ამერიკელები დავაფიქროთ. ასე რომ, თუ საქართველოს მოსახლეობა გადაწყვეტს, მოუწოდოს სააკაშვილს გადადგომისკენ, საუკეთესო ადგილი აშშ-ის საელჩოს მიდამოები იქნება და ლოზუნგიც შესაფერისი უნდა იყოს, მაგალითად: „მოგვაშორეთ თქვენი გომბიო!“

მე არავითარ შემთხვევაში არ ვაიდვალვებ ქართულ-რუსულ ორსაუკუნოვან ურთიერთობებს, მაგრამ ერთ რამეში ვარ დარწმუნებული — ფიზიკური გადაშენებისგან ჩვენ გვიხსნა ღმერთმა და ეს უტყუარი ფაქტია, რუსეთის სახელმწიფოს ხელით!

გიორგი კორაკაძე



მანანა ნიკოლეიშვილი:

ბოლო სხრა წლის განმავლობაში ყველაზე მეტი დანახვაზე ბრძანება შესრულდა განათლების სამინისტროში

წინა ხელისუფლების დროს განათლების სისტემაში გატარებულ რეფორმებსა და მის შედეგებზე გვესაუბრება განათლების ლიგის პრეზიდენტი მანანა ნიკოლეიშვილი.

— ქალბატონო მანანა, ამასწინათ განათლების ყოფილმა მინისტრმა დიმიტრი შაშკინმა ერთ-ერთ გადაცემაში განაცხადა, რომ ამაყობს მისი მინისტრობის დროს გატარებული რეფორმებით. სანამ კონკრეტულ საკითხზე გადავალთ, იქნებ მოკლედ შევაფასოთ, რა შედეგი მოუტანა მისმა რეფორმებმა განათლების სისტემას.

— რალა შაშკინიდან ვინყებთ? მანამდე დააქციეს და გაანადგურეს განათლება. გააჩნია, კონკრეტულად რომელ რეფორმებს ავიღებთ, ზოგი რამ მეტ-ნაკლებად დადებითად შეიძლება შეფასდეს, ზოგი რამ კი პირდაპირ დამანგრეველი იყო. მაგალითად, საკადრო პოლიტიკა და მანდატურის ინსტიტუტის შემოღება იმ ფორმით, რა ფორმითაც შემოიღეს, იმთავითვე სპობდა ამ სისტემას. რაც შეეხება პირადად შაშკინს, ჯერ ერთი, ის არ უნდა დანიშნულიყო განათლების მინისტრად, იმიტომ, რომ იურისტია და სასჯელაღსრულების სამინისტროშია ნამუშევარი; მეორეც, ეს ადამიანი ცენტრალურმა ხელისუფლებამ, კერძოდ სააკაშვილმა, მიუშვა თავის ნებაზე. შედეგად მივიღეთ რა, — მან წამოიყვანა თავისი ხალხი: ციხის ბადრაგები, ვიღაც მოსადისტო ელემენტები და სკოლა, ფაქტობრივად, დაამსგავსა ციხეს. მერე შემოიღეს მანდატურის ინსტიტუტი და ამან საერ-

თოდ კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა პედაგოგის როლი სკოლაში. პროფესიონალი კადრების კუთხითაც კატასტროფული მდგომარეობა შეიქმნა. უვიცი, არაკვალიფიციური ხალხის ბრიგადები შეიყვანეს ყველგან, რესურსცენტრებში, ტერიტორიული მმართველობის ორგანოებში და ა.შ. ეს ყველაფერი, რა თქმა უნდა, რეალობაზე აისახა, მალე დაიწყო ძალიან ცუდი ტენდენცია, რომელსაც ყველა ვხედავდით, — მკვლევრობები, სისხლიანი გარჩევები, სროლები, დაჭრები და ათასი უბედურება; მოზარდები ასე სადისტურად უსწორდებოდნენ ერთმანეთს...

— შაშკინმა სწორედ მანდატურის ინსტიტუტის შემოღება დაასახელა რეფორმის ყველაზე დიდ წარმატებად.

— გააჩნია, რა კუთხით შევხედავთ. მკვლევრობები, დაჭრები და გარჩევები რომ ხდებოდა, ნარკოტიკების მოხმარებასა და ლოთობაზე არაფერს ვამბობ, ეს მნიშვნელოვნად შეიზღუდა, მაგრამ მცინიარება, რომელსაც ეფუძნება სკოლათმცოდნეობა, გვეუბნება, რომ სასწავლო დანახვაზე უნდა იყოს შეზღუდული დისციპლინა. ამ შეზღუდულ დისციპლინას ვერანაირი პოლიციის ფორმაში გამოწყობილი, ჯალათის გამომატყველების მძონადამიანი ვერ შემიძნის. მარ-



ტივი ჭეშმარიტებაა, — პოლიციის ადგილი სკოლაში არ არის და ეს პატრიარქმატადნიზმა არაერთხელ. ახლა ჩვენ შაშკინსა და ვილაცებს ცოტა ხანი უნდა დავანებოთ თავი და ვიფიქროთ მომავალზე. ხელისუფლების შეცვლიდან უკვე გავიდა საკმაოდ დრო, ასე რომ, კონკრეტული ქმედებებია საჭირო. მე, მაგალითად, მანდატურის ინსტიტუტს ასე არ დავტოვებდი. ბავშვების უსაფრთხოება, ცხადია, უნდა იყოს დაცული, მაგრამ, ვიმეორებ, არა პოლიციის ძველანაყოფის მიერ.

— აბა, ვინ უნდა დაიცვას?

— შეგნებული დისციპლინა, აღმზრდელობითი და სასწავლო პროცესი უნდა წარმართოს დირექტორმა, რა თქმა უნდა, პედკოლექტივთან ერთად; ის უნდა იყოს ყველაფერზე პასუხისმგებელი. სააკაშვილის დროს ეს იმი-



ტომ დაინგრა, რომ სკოლებში შეყარეს „ნაციონალური მოძრაობის“ მხარდამჭერთა უფიცი ბანდა, არაპროფესიონალებით გაავსეს ყველა დანესებულება. **ახალმა ხელისუფლებამ ამის გამოსწორებაზე თუ არ იფიქრა, ძალიან მალე სკოლა აღარ იარსებებს. პირველ რიგში გადასახდია მანდატურის ინსტიტუტი და მერა, რა თქმა უნდა, საკადრო პოლიტიკა.**

— გიორგი მარგველაშვილმა მინისტრად დანიშვნის პირველივე ხანებში სწორედ მანდატურის ინსტიტუტზე გაამახვილა ყურადღება და განაცხადა, რომ მათი უნიფორმა შესაცვლელია. მისი თქმით, მანდატურის სადამსჯელო რაზმის ასოციაციას არ უნდა იწვევდეს. რა გაკეთდა ამ კუთხით?

— აბსრლუტურად არაფერი, ფორმა არ შეცვლილა. რატომ არ შეიცვალა, მას ჰკითხეთ.

— თქვენი აზრით, ჰქონდა ამას არსებითი მნიშვნელობა?

— რალაც მნიშვნელობა, ალბათ, ჰქონდა, მაგრამ რაც უნდა ფორმა შეუცვალო, მანდატურის ადგილი სკოლაში არაა, ის უნდა იყოს სკოლის გარეთ. არ შეიძლება, სასწავლო დანესებულება მართონ არაპროფესიონალებმა; ამას მოსდევს განათლების მოსპობა და დეგრადირება, რაც ჩვენ განვიცადეთ.

— დასაწყისში თქვით, რომ რეფორმას დადებითი მხარეებიც ჰქონდა. მოდი, ამაზეც ვისაუბროთ.

— კარგი რაც იყო, თავისთავად კარგია, მაგრამ მე მაინტერესებს ის, რამაც დალუპა მთლიანად ეს სისტემა. ესაა პრობლემა და ამაზე უნდა ვისაუბროთ. სრული პასუხისმგებლობით ვამბობ: **რაც დაკანონებულია და რასაც უღვეს მეცნიერული საფუძვლები სკოლათმცოდნეობაში, დღეს ეს პრინციპები დარღვეულია.**

ისეთი კანონი მიიღეს, რომ პირდაპირ ეწინააღმდეგება მეცნიერულ მიდგომას, ვგულისხმობ კანონს ზოგადი განათლების შესახებ.

— მთავარი პრობლემა ეს კანონია?

— ცხადია, არა. ვერც მარტო დირექტორი გახდება ვერაფერს. ობიექტურობისთვის უნდა ვთქვათ, რომ სკოლა არის ისეთი, როგორც საზოგადოებაა და საზოგადოებაში გვაქვს ჩვენ დიდი პრობლემა. ოჯახი დაკნინდა, ის საერთოდ ვერაფერს აძლევს ბავშვს. მე ვლაპარაკობ უმეტეს შემთხვევაში. ერთეული გამოჩენილი კი, მაშინ, როცა საქმე გვაქვს ასიათასობით მოსწავლესთან, არაფერს ნიშნავს.

— ოჯახის დაკნინებაში კონკრეტულად რას გულისხმობთ?

— საერთოდ, ყველაფერი მოდის ოჯახიდან, დაწყებული დასვენებისა და კვების რეჟიმით, დამთავრებული ძილით. ეს დღესდღეობით დარღვეულია. ბავშვების უმეტესობა მთლიანად გართობაზეა გადასული, უყურებენ დიდი დოზით ტელევიზორს, მთე-


ლი დღე მიჯაჭვულები არიან კომპიუტერს და ასევე სხვადასხვა ტექნიკურ საშუალებას; არაფერს ვამბობ თანამედროვე თაობის ტელეფონებზე. ცოტა უფრო მოზრდილები დადიან გასართობ კლუბებში, თამაშობენ აზარტულ თამაშებს... ერთი სიტყვით, ჩვენი ახალგაზრდობა არანაირად დაცული არ არის მანვე ზემოქმედებისგან.

— ამის გამოსასწორებლად რა შეიძლება გაკეთდეს?

— უნდა იყოს ისეთი კანონი, რომლითაც ეს მნიშვნელოვნად შეიზღუდება. დღეს ახალგაზრდების უმეტესობა სიგარეტს ეწევა და ნარკოტიკს მოიხმარს, მაშინ, როცა ევროპაში ტენდენცია პირიქითაა. იქ ამაზე მთელი რიგი ინსტიტუტები მუშაობს და, რაც მთავარია, მთავრობა ამით დაინტერესებული. აქაც, თუ ხელისუფლება არ ჩაერევა, პრობლემის მოგვარება იქნება შეუძლებელი.

— ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას, ალბათ, დიდი მნიშვნელობა აქვს. საინტერესოა, სკოლებში რამდენად ექცევა ამას ყურადღება?

— სააკაშვილმა გაატარა ისეთი პოლიტიკა, რომ ბავშვთა მასობრივი გამაჯანსაღებელი ფიზკულტურა მთლიანად შეიზღუდა. სკოლიდან საერთოდ ამოაგდეს ეს გაკვეთილები და შემოიღეს რალაც გაურკვეველი საგნები. პლიუს ამას კომპლექსური სპორტული სკოლები გააუქმეს. თბილისში იყო რამდენიმე ათეული ძალიან მაღალი დონის ბაზა, ყველა მოშალეს. შემდეგ სააკაშვილმა თავის ჯიბის ბიზნესმენებს გადასცა ეს ბაზები. მაგალითად, დიღმის მასივში მდებარე კომპლექსი დილარ ხაბულიანმა შეისყიდა, მეორე კომპლექსი კი, რომელიც ასევე დიღომში იყო 147-ე სკოლასთან, კომპანია „ვისოლს“ გადაეცა (იციტ, რომ ეს კომპანია სააკაშვილის ძმისაა). რამდენიმე ბაზა და საკმაოდ დიდი ფართობი მინის ნაკვეთი „ცენტრონტრამაც“ შეისყიდა. ასე რომ, დაანგრიეს და მოშალეს ყველაფერი.



— ამ რეფორმებს ანალოგი თუ აქვს მსოფლიოში?

— ასეთი რამ არ იცის ისტორიაში, რომ ყველაფერი განაკერძოვო, ყველაფერი გაყიდო. საბავშვო ბაღებიც კი გაასხვისეს. ესენი მგლური კანონებით მოქმედებდნენ და საზოგადოებაც ჩააყენეს მგლების პოზიციაში — ვინც ძლიერია, გადარჩება; და ვინაა ძლიერი, მაშინ, როდესაც შენი შრომისუნარიანი მოსახლეობის 90% უმუშევარია?!

— ახალი მთავრობის დამტკიცებიდან ას დღეზე მეტი გავიდა. საინტერესოა, რა გაკეთდა ამ ხნის განმავლობაში იმისთვის, რომ არსებული მდგომარეობა ნაწილობრივ მაინც გამოსწორდეს?

— ჯერჯერობით არაფერი და, სამწუხაროდ, მე ნიშნებსაც ვერ ვხედავ, რომ რამეს აპირებენ. გააფთრებული ინარჩუნებენ ძველ კადრებს, იმ ადამიანებს, რომლებმაც დაანგრეს თავის დროზე

ქართული განათლება. სხვათა შორის, ეს პრემიერ-მინისტრიგან მოდის, ვინაიდან ის ამბობდა, არავისთან არ გვაქვს პრეტენზია, სააკაშვილის გარდაო. ვინ ვინ და ძალიან კარგად იცოდა ბატონმა ივანიშვილმა, რომ სააკაშვილი კიდევ წელიწადზე მეტი ხანი უნდა ყოფილიყო პრეზიდენტი. ესე იგი რა გამოდის? ის ერთი კაციც არ იცვლება, ვის მიმართაც პრეტენზია არსებობდა. ასეთი მიდგომით არაფერი გამოვა. არაერთხელ ვთქვი და კიდევ ვიმეორებ, დანაშაულებრივი ბრძანებები სრულდებოდა არა მარტო თავდაცვის სამინისტროში, არა მარტო შინაგან საქმეთა სამინისტროში, არამედ ყველაზე მეტი დანაშაულებრივი ბრძანება შესრულდა მეცნიერებისა და განათლების სამინისტროში. ამას უნდა მიექცეს ყურადღება. პატრიარქმა კარგად შენიშნა საკვირაო ქადაგებაში, რომ, თუ დაეცა განათლება, დაეცემა საქართვე-

ლო. ჰოდა, ეს ყურად უნდა იღოს ახალმა ხელისუფლებამ...

— კონკრეტულად რა შეიძლება გაკეთდეს?

— პირველ რიგში, უნდა აღდგეს ის ყველაფერი, რაც წინა ხელისუფლებამ დაანგრია. ამას ძალიან დიდი ფინანსური და ინტელექტუალური რესურსი სჭირდება. საქმე პროფესიონალებს უნდა ჩაბარდეთ. რაც შეეხება იმ ნარეუმატებელ რეფორმებს, რომლებმაც აქამდე მოგვიყვანა, მათზე გამოძიება უნდა ჩატარდეს. არ შეიძლება ბურუსით იყოს მოცული ასეთი საქმე. აქ საზოგადოების ფული იხარჯებოდა, ხალხის სახსრებით კეთდებოდა, რაც კეთდებოდა; ერთხელ და სამუდამოდ ფარდა უნდა აეხადოს, ვინ ხელმძღვანელობდა ამ ყველაფერს, ვინ გეგმავდა. თუ ვინმეს პასუხისმგებლობა გამოიკვეთება, ამაზე შემდეგ სასამართლომ იმსჯელოს.

ესაუბრა ჯაბა ჟვანიანი



სტოქჰოლმის მოგზაურობის საქართველოს შესახებ

მარკო პოლო: „ქართველები ლამაზი, მამაცი, ბრწყინვალე მოისრეები და ბრძოლებში ქებული მეომრები არიან. მათი სარწმუნოება ბერძნულ-ქრისტიანულია. თმას მოკლედ იკრეჭენ. ეს ის ქვეყანაა, რომლის გავლითაც ალექსანდრე უნდა გაბრუნებულიყო დასავლეთში, მაგრამ მისი ალება ვერ შეძლო. ამისი მიზეზია არა მარტო გზათა სივიწროვე, არამედ მთასა და ბარს შორის განოლილი ქვეყნის მცხოვრებთა სიმამაცე. ამიტომაც ალექსანდრემ ვერ შეძლო მისი ალება და ააგო სიმაგრე, რომელსაც რკინის კარები ეწოდება (დარუბანდი). საქართველოში ბევრია აბრეშუმი, ოქროქსოვილი, რომლის სადარსაც ვერსად ნახავ“.

იბანუელ კანტი: „საქართველო მზეთუნახავთა ორანჟერეა გახლავთ. ყველა ევროპელი, რომელიც საქართველოში მოხვედრილა, ერთხმად ლაპარაკობს ქართველი ქალიშვილების სრულიად გამორჩეულ მშვენიერებაზე“.

პიეტრო დელა ვალე: „ქართველები არიან მამაცნი, მაგრამ მოქმედებაში ნაკლებად ერთიანნი. ცდილობენ შიგნით შულის ჩამოგდებით ერთმანეთი დაღუპონ... საერთოდ, წყნარი, გამგონი, კეთილი გულის, ურთიერთობაში უბრალონი არიან. მოლაპარაკების დროს არ არიან ჯუიტი, მატყუარანი, ორპირნი, მათთან ყოველი კეთილი საქმის მოგვარება შეიძლება“.

ალ. დიუმა: „ერთი სიმართლით განთქმული რუსი მეუბნებოდა: ქართველები ბრძოლაში უნდა ნახო, მაშინ ისინი ჩვეულებრივი ადამიანები კი არ არიან, არამედ ტიტანები, რომელთაც ძალუძთ, ზეცა იერიშით აილონ“.

პარლ კონი: „საქართველო ძველთაგანვე ცნობილი კლასიკური მინა-წყალია... ჯერ კიდევ სამი ათასზე მეტი წლის წინათ იყო მაღალი კულტურის ქვეყანა, შემდეგ მტერთა სათარეშოდ ქცეული, არაერთხელ გაპარტახებული და კვლავ გამოცოცხლებული, აყვავებული“.



გივი ბერძენიშვილი:

საქართველოს ხსნა მხოლოდ დსთ-ევრაზიულ ბაზრთანაა გაწევაზეა!

ბოლო დროს პოლიტიკურ წრეებში ცხარედ მსჯელობენ საქართველოს დსთ-ში შესვლა-არშესვლის თაობაზე. უმრავლესობა იმ აზრისაა, თითქოს დსთ-ს წევრობა დამღუპველი იქნება ქვეყნის სუვერენიტეტისთვის, ზოგი კი პირიქით ფიქრობს. ამ მწვავე თემაზე ვესაუბრებით ცნობილ მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს, დავით აღმაშენებლის პრემიის ლაურეატს, რესპუბლიკის დამსახურებულ ინჟინერს — ბიძი ბერძენიშვილს.



— ბატონო გივი, დსთ-ში გაერთიანება საქართველოსთვის დამღუპველი იქნება?

— ასე ფიქრობენ ან გიჟები, ან მოლაღატები! დავინწყით თუნდაც საქართველოს პირველი პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას, ტრაგედიით, ის რომ დსთ-ში შესულიყო, დანამდვილებით შეიძლება ითქვას, ბატონი ზვიადი თავის პრეზიდენტობას მშვიდობიანად დაამთავრებდა კონსტიტუციით განსაზღვრულ ვადებში!

აქედან გამომდინარე, არ მოხდება სოხუმის ომი, ველარ მოვიდოდა ედუარდ შევარდნაძე სახელმწიფოს სათავეში, ქვეყანა გადაურჩებოდა „ნაცმოძრაობის“ მმართველობის შავ ჭირს; დიახ, იმ შავ ჭირს, რომელიც, მიუხედავად 1 ოქტომბრისა, მაინც მძვინვარებს ქვეყანაში. ყავლგასული ფსევდოპრეზიდენტი ძველებურად განაგრძობს ვოიაჟს ქვეყნის მასშტაბით: აწყობს საბოტაჟს, ხლართავს ინტრიგებს, ავრცელებს ბინძურ ჭორებს ქვეყნის შიგნით და ქვეყნის გარეთ. ძველებურად ფეხქვეშ თელავს უდანაშაულო ადამიანების ღირსებას და უდანაშაულობის პრეზუმპციას. ჩვენს ქვეყანაში კი პრეზიდენტყოფილს პარლამენტი და ხელისუფლება კონსტიტუციის დარღვევით, 10 თვით უკანონოდ უგრძელებს ძალაუფლებას იმ პიროვნებას, რომელიც, თვით ხელისუფლების განცხადებით, ქვეყანას თვეში 10

მილიონი უჯდება. რა გამოდის? 10 თვეში გადასახადის გადამხდელმა მშრომელმა ამ პარაზიტის ზღაპრული განცხრომის უზრუნველსაყოფად 100 მილიონი უნდა გადაიხადოს?! ამ თანხით 10 ათასი ოჯახი გაიუმჯობესებდა საცხოვრებელ პირობებს!

მაგრამ საინტერესო ყველაზე მეტად ისაა, რა აიძულებს პარლამენტს, ჩაიღინოს ანტიკონსტიტუციური ქმედება, რითაც საკანონმდებლო ორგანო მოქალაქე სააკაშვილის მიერ ჩადენილი დანაშაულის თანამზრახველი ხდება! საქართველოს გენერალური პროკურორი ვალდებულია, დაინტერესდეს აღნიშნული საკითხით და გაატაროს სათანადო ღონისძიებები!

საქართველოს საზოგადოებას აინტერესებს: საქართველოს იუსტიციის მინისტრი, ქ-ნი თეა წულუკიანი, როცა სრულიად ლეგიტიმურად აცხადებს, რომ მხოლოდ მას შეუძლია პრეზიდენტის დაკავება, რატომ არ იყენებს თავის უფლებამოსილებას და არ იხმობს სააკაშვილს თავისთან დაკითხვაზე თუნდაც ექვმიტანილის სახით. გინდ გირგვლიანის საქმეზე, რომელშიც ევროსასამართლო იგი კანონდარღვევად აღიარა; გინდ ჟვანიას საქმეზე, რომელშიც მოწმეები სააკაშვილის თანამონაწილეობაზე საუბრობენ; გინდ ასანიძეების საქმეზე, რომელშიც ყოფილ პრეზიდენტს აქვს თვითაღიარება, რომ მან პირა-

დად გასცა ბრძანება აფრასიძეების საცხოვრებლების დაბომბვაზე; გინდ აგვისტოს ომის გაჩაღებაზე, რომელშიც 850 ადამიანი დაიღუპა! ეუთოს კომისიამ სააკაშვილს ხომ ბრალი დასდო დანაშაულის ჩადენაში „ადამიანურობის წინააღმდეგ“! ან კიდევ, 26 მაისის „ბართლომეს ღამეზე“, რომელიც სააკაშვილმა თავის ხალხს მოუწყო; ან კიდევ, მთავარი პროკურატურა რატომ ვერ უზრუნველყოფს დანაშაულში ექვმიტანილი პარლამენტარების გამოძახებას დაკითხვაზე — გიორგი ბარამიძის, დავით საყვარელიძის, როლანდ ახალაიას და ა.შ. საზოგადოებას აინტერესებს, ნუთუ მთავარი პროკურორი უხერხულობას არ გრძნობს, რომ დანაშაულში ექვმიტანილი პარლამენტარი გივია თარგამაძე საქვეყნოდ აცხადებს: „ფეხებზე მკიდია ამირიძის გამონათქვამები, დაკითხვაზე მაინც არ მივალო“.

ასეთი სასწაულები მხოლოდ საქართველოში შეიძლება ხდებოდეს. რატომ არ ბაძავენ, მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებს, სადაც პრეზიდენტი კლინტონი, შე-



სადღოა, სრულიად უმნიშვნელო გადაცდომისთვის 7 საათის განმავლობაში იდგა პროკურორის წინაშე და ჩვენებას იძლეოდა?!

— მონიკა ლევისკის ეპიზოდთან დაკავშირებით?

— დიახ! ან სამხრეთ კორეაში არც თუ მძიმე დანაშაულისთვის სამი პრეზიდენტი იხდის სასჯელს! ასევე, ეგვიპტის პრეზიდენტი მუბარაკი და ეს იმიტომ, რომ სამართლიან, დემოკრატიულ სახელმწიფოებში კანონების დარღვევისთვის ქვეყნის პრეზიდენტებს უფრო მკაცრად მოეთხოვებათ, ვიდრე რიგით მოქალაქეებს!

სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს, როცა ქვეყნის დამაქცევარი „ნაცვები“ პრემიერ ივანიშვილს ლამის ქვეყნის მოლაღატედ აცხადებენ იმიტომ, რომ სომხეთის პოლიტიკა მოიწონა რუსეთთან ურთიერთობის საკითხში. ასევე მხარი დაუჭირა რკინიგზის გახსნას რუსეთისკენ აფხაზეთის გავლით.

ბავშვმაც კი უნდა იცოდეს, რომ, **თუ გვინდა აფხაზეთთან და ოსეთთან მეგობრობის დამყარება და ტერიტორიის მთლიანობის აღდგენა, რკინიგზის გახსნა აუცილებელზე აუცილებელია!** რკინიგზა ასევე უნდა აღსდგეს ცხინვალშიც, ასევე უნდა აღსდგეს ერგნეთის ბაზრობა!

ყველა ეს ღონისძიება ხელს შეუწყობს აღნიშნულ რეგიონების ხალხების დაახლოებას და მეგობრობას. ეს აქსიომაა და მტკიცებას არ საჭიროებს!

— რა სიკეთეს მოგვიტანს საქართველოს დსთ-ევროაზიულ თანამეგობრობაში გაერთიანება?

— მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებთ, რომ, თუ ეს საკითხი უახლოეს დროში დადებითად არ გადაწყდება, სამუდამოდ უნდა გამოვემშვიდობოთ აფხაზეთს და ე. წ. სამხრეთ ოსეთს. რუსეთის, დსთ-ს ნების გარეშე ეს საკითხი საქართველოს სასარგებლოდ არ გადაწყდება. საქართველოს დსთ-ს წევრობის პირობებში კი ეს საკითხი უმოკლეს დროში, შეიძლება 2-3 წელიწადში მოგვარდეს, ვინაიდან დსთ-ს წევრი ყველა სახელმწიფო, თვით რუსეთიც კი, ძალ-ღონეს არ დაიშურებს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისთვის!

— რატომ ფიქრობთ ასე ოპტიმისტურად?

— გავიხსენოთ, ისეთი ქალაქები, როგორცაა სოხუმი, ფოთი, ბათუმი, ახალციხე, ახალქალაქი... რუსეთმა ოსმალეთს გამოგლიჯა და შემოიერთა, ანუ ფაქტობრივად, საქართველოს დაუბრუნა!

უნდა აღინიშნოს, რომ რუსეთმა საქართველო ჩაიბარა პოლიტიკურად, ეკონომიკურად, სოციალურად სრულიად განადგურებული, დაჩაჩანაკებული, სადაც სულ რაღაც ნახევარ მილიონამდე ადამიანი სახლობდა, ერთ-ნახევარი საუკუნის შემდეგ კი გამსახურდია-შევარდნაძეს ჩააბარა 5,5 მილიონიანი, აყვავებული, გამრავლებული, გამდიდრებული (ქუჩაში მათხოვარი სანთლით უნდა გეძებნა) ქვეყანა! შევარდნაძემ კი საქართველო ამერიკას გადააბარა და ოცი წლის შემდეგ მივიღეთ დაშლილ-გავერანებული, გაღატაკებული, ტერიტორიულდაკარგული ქვეყანა 3,5 მილიონი მოსახლით.

XX საუკუნის 50-იან წლებში, საქართველო ერთ სულ მოსახლეზე მთლიანი ეროვნული პროდუქტისა და ცხოვრების დონის მიხედვით, მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნების პირველ ათეულში მოხვდა.

ახლა, რაც შეეხება პუტინის დამოკიდებულებას საქართველოსადმი: გახდა რა პრეზიდენტი, პუტინმა აქტიურად დაიწყო თანამშრომლობა შევარდნაძესთან ჩვენი ქვეყნის სასიკეთოდ.

— ზოღში, პუტინი და სასიკეთო?

— დიახ, უკვე 2002-03 წლებში გალში დაბრუნდა 60 ათასი დევნილი, პროცესი უნდა გაგრძელებულიყო ოჩამჩირეში და ა. შ. სააკაშვილმა, მოსვლისთანავე, ჩაშალა ეს პროცესი. საინტერესოა, ან განსვენებულ ბ-ნ პატარკაციშვილის ნათქვამი: „ვიყიდი აფხაზეთს, მივმართე სააკაშვილს, სააკაშვილმა უარი მითხრა, მიპასუხა, მაშინ მე რაღაზე ვილაპარაკოო. მაშინ იმ საქმეს ნახევარი მილიარდი უნდოდა, ახლა 4 მილიარდი დასჭირდებაო“. ეს არის რეალური სახე ქვეყნის მოღალატე სააკაშვილისა!

— რას იტყვით საქართველოს ნატოში განწევრიანების პერსპექტივაზე?

— მინდა ვუთხრა პარლამენტს და მთავრობას: მოეშვით ნატოს! ნატოს არც ერთი სახელმწიფოსთვის სიკეთე არ მოუტანია. საქართველოს ნატოში შესვლა ფუჭი ილუზიაა, ამას თვით რასმუსენიც აცხადებს თავის ვინრო წრეში.

რაც შეეხება ავღანეთის საოკუპაციო ჯარებში ქართველი ჯარისკაცების მონაწილეობას და მათ დაღუპვას უცხო მიწაზე, ეს დიდი ცოდვაა და დანაშაული ჩადენილი იმ პირების მიერ, რომლებიც ძალით მიერეკებიან ჩვენს საჯიშე ახალგაზრდებს სასაკლაოზე — ოკუპანტების ჯარში!

ნატო უახლოეს წლებში განწირულია დასაშლელად. მისი წევრები უარს ამბობენ ავღანეთის ოკუპაციაში მონაწილეობაზე. საფრანგეთმა 2012 წელს გამოიყვანა თავისი ჯარი ავღანეთიდან, 2013 წელს ინგლისს გამოჰყავს, 2014 წელს — ამერიკას. ჩვენები კი, ივანიშვილის მთავრობის ინიციატივით, 2015 წელსაც აპირებენ იქ დარჩენას(?). უახლოეს მომავალში ევროკავშირსაც დაშლა ელოდება. ინგლისმა უკვე განაცხადა ევროკავშირიდან გასვლის თაობაზე, მას სხვა სახელმწიფოებიც მიბაძავენ!

ასე რომ, ჩვენი დღევანდელი ხელისუფლება, რომელიც ნელ-ნელა ემსგავსება წინამორბედს — „ნაცბანდას“, სააკაშვილივით ნუ ასულელებს ერს ნატოში და ევროკავშირში განწევრიანების ილუზიით!

და კიდევ, ამერიკა როგორ შეიძლება საქართველოს მოკატი და მოკავშირე იყოს, როცა მისი მთავარი იდეოლოგი გუაშინსკი აცხადებს, რომ ამერიკის მთავარი მიზანი მართლმადიდებლობის განადგურებაა! რა, ქართველები მართლმადიდებლები არ არიან?!

გვახსოვდეს, ასევე 300-თა კომიტეტის, სიონისტ-მასონ-გლობალისტების მზაკვრული გეგმა — საქართველოს მოსახლეობის ერთ მილიონამდე დაყვანა!!!

ამჟამინდელმა ხელისუფლებამ უნდა გაიგოს, საქართველოს ხსნა მხოლოდ და მხოლოდ დსთ-ევროაზიულ გაერთიანებაში განწევრიანება!

ესაუბრა ბიორბი კორაკაძე



მფრინავობიდან გაპოჩენილ პალეონტოლოგობაზე

საქართველოს მემბტიანეები არასოდეს აკლდა, არც ქართველი და არც უცხოელი. ეს უფლისგან დალოცვილი ქართული მინა-წყალი მუდამ მსოფლიოს დიდი მეცნიერების ყურადღების ცენტრშია და საქართველოც მოლოდინს ყოველთვის ამართლებს. რამდენიმე წლის წინ დმანისის აღმოჩენებმა მსოფლიო კიდევ ერთხელ გააოცა. ჟურნალ „ისტორიული მემკვიდრეობის“ ამ ნომერში ჩვენი დროის ერთ-ერთი უდიდესი მეცნიერისა და მკვლევარის, ბატონ აბესალომ ვეკუას ცხოვრებისა და მოღვაწეობის დეტალებზე გიამბობთ. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს თერიოლოგიური საზოგადოების პრეზიდენტი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, ღირსების ორდენის კავალერი

ა. ვეკუა მსოფლიოში კიდევ იმით არის ცნობილი, რომ უდიდეს აღმოჩენებს მისი სახელი დაერქვა.

მეცნიერი საკუთარი შრომისა და ღვაწლის დაგვირგვინებად დმანისის უდიდეს აღმოჩენას მიიჩნევს, თუმცა, როგორც თავად ამბობს, „ქუდბედიანია“ და გაუმართლა. შესაძლოა, ეს გამართლებაც იყო, მაგრამ მთლად ასე არა მგონია, რადგან ოთხმოც წელს გადაცილებული მეცნიერი დღემდე საოცრად ენერგიულია, არასოდეს აგვიანებს სამსახურში და თაროზე ყველა წიგნის მდებარეობა თანაშემწე გოგონებზე უკეთ ახსოვს.


ბატონი აბესალომი თავის ყველა აღმოჩენას უდიდესი სიყვარულით იხსენებს, მაგრამ ტრაბახი არ უყვარს, როგორც გითხარით, საკუთარ თავს „ქუდბედიანს“ უწოდებს და ყველაფერს ამას მიანერს.

სწავლა გვიან დაუწყია, რასაც ძალიან გულდანყვევით იხსენებს. თურმე ჯარში მსახურობდა, მფრინავი ყოფილა და საკმაოდ დიდ მომავალსაც უწინასწარმეტყველებდნენ. ერთხელ შვეტლებით შინ გამოუშვიათ, როდესაც თავისი თანატოლები უნახავს, ძალიან დანალღიანებულა, რადგან ყველანი სტუდენტები ყოფილან, თავადაც უნდოდა, რომ სტუდენტი გამხდარიყო და სასურველ პროფესიას დაუფლებოდა. ჯარში დაბრუნებულს ავადმყოფობა მოუმიზეზებია, მაგრამ ექიმებს ეჭვი შეპარვით მის ავადმყოფობაში. მერე გადაუწყვეტია,

რომ ერთ-ერთი ექიმისთვის თავისი სურვილი და ოცნება გაემხილა და გაუმართლა კიდევც. „არ ვიცი, ასეთი რა ჩამინერა იმ ექიმმა დასკვნაში, მაგრამ შემონმების გარეშე დამითხოვეს, ოღონდ შინ კი ვერ დავბრუნდი, ექვსი თვე ვენახებს ვდარაჯობდი,“ — იხსენებს ბატონი აბესალომი.

ჯარიდან შემოდგომაზე დაბრუნებულა და, რადგან უმაღლეს სასწავლებლებში გამოცდები დასრულებული იყო და მას კი სწავლა ძალიან სწყუროდა, გადანყვიტა, ჩაებარებინა მოსკოვის იურიდიული ინსტიტუტის თბილისის ფილიალში. იქ სამი წელი ისწავლა და შემდეგ ეს ინსტიტუტი დახურულა, მაგრამ იმის გამო, რომ წარმატებული სტუდენტი იყო, სწავლის გაგრძელება მოსკოვში შეუთავაზებიათ, მაგრამ, საბედნიეროდ, დედას არ გაუშვია და უნივერსიტეტში გეოლოგია-გეოგრაფიის ფაკულტეტზე ჩარიცხულა, რომელიც 1956 წელს დაუსრულებია.

პირველად ექსპედიციაში მეცნიერებს რომ გაჰყვა, მეორე კურსზე ყოფილა. იქიდან დიდი შთაბეჭდილებებით დაბრუნებულს აკადემიკოსი ლეო გაბუნია დახვედრია და შეუთავაზებია, რომ ჩრდილოეთ კავკასიაში, სტავროპოლის მხარეში, ერთ-ერთ ადგილსაპოვებელში, რომლის ასაკიც 17 მილიონი წელია, ექსპედიციაში გაჰყოლოდა. ახალ-



აბესალომ ვეკუა თავის მიერ აღმოჩენილ მესპონატთან

გაზრდა კაცს ასეთი შეთავაზება ძალიან გახარებია. გზად მიმავალთ სასაუბროდ ბევრი დრო ჰქონიათ, ლეო გაბუნიას ბევრი უსაუბრია პალეონტოლოგიურ საოცრებებზე და პლანეტის ისტორიაში მის მნიშვნელობაზე. „ლეო გაბუნია ისეთი პიროვნება იყო, რომ არ შეიძლებოდა მისი ზეგავლენის ქვეშ არ მოქცეულიყავი...“, — ამბობს ბატონი აბესალომი და დიდი სიყვარულით იხსენებს ან გარდაცვლილ პედაგოგსა და მეგობარს. სწორედ აკადემიკოს ლეო გაბუნიას დამსახურებად მიაჩნია ის, რომ დღეს თავადაა პალეონტოლოგი და თანაც ასეთი წარმატებული, რადგან როგორც ამბობს, მას მანამდე პალეონტოლოგობაზე არასოდეს უოცნებია.

„ჩემი პალეონტოლოგობა იბლ-იანი აღმოჩნდა, სადაც კი მივდი, ყველგან ისეთი რამ აღმოვაჩინე, რისი გამოქვეყნებაც ღირდა და ფასეული იყო. სტავროპოლში ჩასვლისთანავე, სულ რაღაც ორ დღეში

მტაცებლის ყბას წავანყდი, ლეომ ყბა რომ ნახა, ძალიან გაუხარდა, ეს აღმოჩნდა ისეთი მტაცებელი ცხოველის ყბა, რომლის მსგავსიც ჯერ აღმოჩენილი არ ყოფილა. აკადემიკოსმა გამოკვლევა ჩაატარა და ამ ყბას „**კროკუტა აბესალომი**“ დაარქვა („კროკუტა“ აფთარს ნიშნავს). ასე შევედი პალეონტოლოგიის ისტორიაში. მე გავხდი აფთარის მოსახელე. ამის შემდეგ ძალიან ბევრი გათხრები ჩავატარე.

საქართველოს სინამდვილეში არ არსებობს არც ერთი ადგილ-საპოვნებელი არც ერთ გეოლოგიურ პერიოდში, რომელშიც მე არ მიმუშავია და ახალი აღმოჩენა არ გამიკეთებია, ყველა მათგანზე ნაშრომი მაქვს გამოქვეყნებული. პირველი დამოუკიდებელი გათხრა ახალქალაქში ჩავატარე, რომელიც შემდეგ ჩემი სადისერტაციო ნაშრომის საფუძველი გახდა. ამირანის გორის მახლობლად ვიპოვე ბეჭემოთის მთელი მაჯა და კოჭის ძვალი. აღმოჩნდა, რომ მთელს საბჭოთა კავშირში ბეჭემოთის ნაშთი აქამდე არ ყოფილა აღმოჩენილი, შემდეგ ვიპოვე ცხენის ზედა და ქვედა კბილები, ცხენი გეოლოგიურ პერიოდებში გასაკვირი ნამდვილად არ არის, ცხენის ყველაზე გავრცელებული სახე არის „ჰიპარიონი,“ ანუ სამთითა ცხენი. ჩემ მიერ აღმოჩენილი ყბები ცხენისას ჰგავდა, მაგრამ ზუსტად ვერ დადგინდა, რა იყო. მოსკოვში თათბირზე მოგვინია წასვლა, ყო-



ველ წელიწადს იმართებოდა თათბირები, რუსეთს ძალიან ძლიერი პალეონტოლოგიური სკოლა აქვს, მაგრამ იქაც ჩემს აღმოჩენას თავი ვერ გართევს, უძლიერესი პალეონტოლოგი იყო ვერა გრომოვა, ცხენებს შეისწავლიდა, მაგრამ მანაც ვერ გაიგო, ეს რა იყო. წლების შემდეგ კი აღმოჩენას „**ვეკუს იპერონიდეს აბესალომ ვეკუა**“ დაერქვა და დღეს პალეონტოლოგიაში სწორედ ამ სახელით არის ცნობილი. ერთ-ერთმა ლენინგრადელმა მეცნიერმა რაღაც პერიოდის შემდეგ მთელი ცხენების ჯგუფს „**ვეკუა ჰიპუს იპერონიდეს**“, ანუ ვეკუას ცხენები უწოდა. ამასაც ჩემს ილბლიანობას მივანერ. ჩემი მოღვაწეობის პერიოდში ასეთი უნიკალური შემთხვევე-

ბი ძალიან ბევრი მქონდა, მაგრამ მანაც ყველაზე დიდი და მნიშვნელოვანი ჩემი და (არა მარტო ჩემი) მთელი ქართველი მეცნიერების შრომის დიდება და გვირგვინი დმანისის გათხრები იყო.

დმანისის გათხრები 1982 წელს დაიწყო, იმ პერიოდში ხერხემლიანთა პალეონტოლოგიის განყოფილების უფროსი ვიყავი. ამ დროს დმანისიდან მოვიდა ცნობა, რომ აღმოჩენილი იყო ადამიანის ძვლები. ძვლები არქეოლოგებისთვის გასაკვირი არ არის, მაგრამ ეს სულ სხვა ძვლები იყო — ჩვეულებრივს არ ჰგავს. შეგვატყობინეს აღმოჩენების შესახებ, მივხვდი, რომ ეს ჩემი საქმე იყო და მეორე დღესვე გავემგზავრე დმანისში. ჩასვლისთანავე დაიწყო საინტერესო აღმოჩენები. ორმოს ფუძეში აღმოვაჩინე ფრჩხილის ოდენა კბილის ნატეხი, რომელიც თავდაპირველად ვერ განვსაზღვრე, რა იყო. როდესაც თბილისში ჩამოვიტანე და მიკროსკოპით დავათვალიერე, აღმოჩნდა, რომ ეს იყო მარტორქის კბილის ფრაგმენტი. საინტერესო ის იყო, რომ მარტორქა ისტორიულ ხანაში არ ცხოვრობდა. ამის შემდეგ დავწერე დასკვნა, რომ დმანისი იყო უნიკალური ადგილ-საპოვნებელი, რომლის გათხრა და შესწავლა გადაუდებელი და საშური საქმე იყო. ასე დაიწყო დმანისის დიდი გათხრები. თავდაპირველად მას პალეონტოლოგიური გათხრები ერქვა, მაგრამ შემდეგ აღმოჩნდა იარაღები და მივხვდით, რომ იქ ადამიანიც აღმოჩნდებოდა და არქეოლოგიაც ჩაერთო.




აბესალომ ვეკუა მუშაობის პროცესში



საბოლოოდ, დმანისის გათხრებს არქეოლოგიურ-პალინტოლოგიური ძეგლი დაერქვა.

პირველივე წლებში არაჩვეულებრივად მდიდარი აღმოჩენები მოხდა. აღმოვაჩინეთ **გიგანტური სირაქლემას ბარძაყის ძვალი**. შემდეგ ნამოვიდა **ქვის იარაღები**, მეცნიერებმა უკვე დაამტკიცეს, რომ ასეთი ადრეული, პრიმიტიული ქვის იარაღები მთელ ევრაზიაში არ არსებობს. აქედან გამოვიტანეთ დასკვნა, რომ იქ უნდა ყოფილიყო უძველესი ადამიანი, მაგრამ ადამიანი არ ჩანდა. დმანისის გათხრებში პალინტოლოგები ოფიციალურად 1983 წელს ჩავერთეთ, მაგრამ მხოლოდ **1991 წელს აღმოვაჩინეთ პირველი ადამიანის ნაშთი, ვიპოვეთ ადამიანის ქვედა ყბა, ჩანიკნიკებული 16 კბილი**. მაშინვე ჩავრთეთ სამუშაოებში აკადემიკოსი ლეო გაბუნია, რადგან ჩვენთვის ეს ადვილი საქმე აღარ იყო. ადამიანის ნაშთების აღმოჩენა იშვიათი შემთხვევაა. უკანასკნელად ადამიანის ნაშთი უფრო ზუსტად კი, მაიმუნის მსგავსი ადამიანის ორი კბილი 1938 წელს უდაბნოში იყო აღმოჩენილი. **გამოვაქვეყნეთ, რომ ევრაზიაში ერთ-ერთი უძველესი ადამიანის ნაშტი აღმოვაჩინეთ, რომელსაც კავშირი აქვს იმ ადამიანთან, რომელიც მეცნიერებაში ცნობილია აფრიკიდან „ჰომოაბილისი“**. მათ ერთ-ერთ შტოს „ერგასტერი“, ანუ მშრომელი ადამიანი ერქვა და ჩვენც ჩვენი აღმოჩენა მას დავუკავშირეთ. ამ ამბავმა მსოფლიო მორა და ხმაურიც ატყდა. ეს ბუნებრივიც იყო, რადგან **მიცნობაში ცნობილი იყო, რომ ადამიანი აფრიკაში წარმოიშვა 2 მილიონ-ნახევარი წლის წინ და იქვე განვითარდა, იქვე შექმნა თავისი შთამომავლები და მხოლოდ ერთი მილიონი წლის წინ გადავიდა ევრაზიაში და ამ დროს ქართველები აცხადებენ, რომ 1 მილიონ რვაასი წლის წინანდელი ადამიანი ჰყავთ საქართველოში**. ეს ინფორმაცია არც ერთ კარში არ შეეცია. გვედავებოდნენ გეოლოგიურ ასაკს, გვედავებოდნენ იმასაც, მართლა იმ ადამიანის შთამომავალი და მსგავსი თუ იყო. 1991 წელს ფრანკოურტში შედგა საერთაშო-



აბესალომ ვეკუას შვილიშვილები

რისო მსოფლიო ანტროპოლოგების სამეცნიერო სიმპოზიუმი. სწორედ ამ სიმპოზიუმზე ლეო გაბუნია წაიღო ჩვენი აღმოჩენის ნიმუში, იქ უკვე ყველას გაოცება გამოიწვია, ნიმუში ისეთი იყო, რომ დავა აღარ შეიძლებოდა იმაზე, მართლა იყო თუ არა აფრიკაში აღმოჩენილი ადამიანის შტოს წარმომადგენელი. სადავო დარჩა მეორე საკითხი — **ნაშთის ასაკი**. აღნიშნული სიმპოზიუმის შემდეგ გერმანელებმა მეცნიერთა ჯგუფი გამოაგზავნეს საქართველოში და ნიმუშები წაიღეს. გერმანიაში არსებობს გეოფიზიკური მეთოდებით კვლევა. იქ განსაზღვრეს, რომ ეს ნაშთი 1 მილიონ რვაასი წლის არის და შესაძლებელია — უფრო მეტიც. 1995 წელს კი ლეო გაბუნია და მე ესპანეთში თათბირზე მიგვიწვიეს. ესპანეთში შევხვდი ადამიანს, რომელსაც „პალინტოლოგიის პაპას“ უწოდებდნენ. ეს იყო ამერიკელი **კლარკ ჰოუელი**. ველზე, გათხრებზე ვიყავით, ის ჩემთან მოვიდა, მხარზე ხელი დამარტყა და მითხრა: არ გააამყდე, შესანიშნავი მონაპოვარის გამო, მაგრამ მაინც მინდა მისი ასაკის დადგენაო. კლარკ ჰოუელმა ამერიკაში კვლევა ჩაატარა და გამოგვიგზავნა წერილი: **„მოგვილოცავს, მილიონ რვაასი ათასი წელი ნამდვილად დამტკიცდა და შესაძლებელია, რომ 2 მილიონიც იყოს“**. ასე დაიწყო ჩვენმა დმანისელმა ადამიანმა მთელ მსოფლიოში სიარული. 1995 წლიდან 1997 წლამდე ინტენ-

სიურ გათხრებს ვანარმოებდით, მაგრამ არაფერი გვიპოვია. 1997 წლის ბოლოს სრულიად შემთხვევით გადასაყრელ ძვლებში აღმოვაჩინე ტერფის ძვალი, 1999 წლიდან კი დაიწყო აღმოჩენები — ხან თავის ქალა აღმოჩნდა, ხან ყბები და დღეს, დმანისიდან ჰომინიდის ასამდე ნიმუში გვაქვს. ჩვენ ამ ადამიანებს მეცნიერული სახელები შევურჩიეთ, მაგრამ შემდეგ ხალხს მივანდეთ მათთვის სახელის დარქმევა და გამოვაცხადეთ კონკურსი, კონკურსის საფუძველზე უძველეს დმანისელებს „მზია და ზეზვა“ უწოდეს“. ბატონი აბესალომი სიმამრით საუბრობს იმაზე, რომ საქართველოს უდიდესი მეცნიერები ჰყავს და მომავალი თაობებიც ძალიან ნიჭიერები მოდიან. ის, ისეთი დიდი სიმოვნებით იხსენებდა მუშაობის პერიოდს, რომ, ცოტა არ იყოს, გული დამწყდა, ამ დიდი აღმოჩენებით მანამდე რომ არ დავინტერესდი და მხოლოდ შორიდან ვისმენდი სენსაციურ ამბებს. არადა, დმანისი დედაქალაქიდან სულ რაღაც 150 კილომეტრშია, იქ ჩასვლა და მკვლევარებისთვის, თუნდაც ხელსაწყო მინოდება, მხოლოდ შენს სურვილსა და კეთილ ნებაზეა დამოკიდებული. ამას კი პატარა, მაგრამ დიდი წარსულის მქონე საქართველოს შვილები სიზარმაცისა და გულგრილობის გამო არ ვაკეთებთ.

პაპ ნასყიდაშვილი



სოფელი, ჩვენი სოფელი

ბატონი ნაპოლეონ ქარქაშაძე ჩვენი ჟურნალის თებერვლის ნომერში (იხ. „ისტორიული მემკვიდრეობა“ №2, „ძლიერი სოფელი — ძლიერი საქართველო“) დაგვპირდა, რომ მოგვითხრობდა იმ ვითარებაზე, რომელიც ქართულ სოფელში 1990 წლის შემდეგ შეიქმნა, როგორი იყო სასოფლო-სამეურნეო წარმოების დინამიკა იმ პერიოდთან მოყოლებული დღემდე. აქვე გაცნობებთ, რომ საქართველოს სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა აკადემიაში ახლახან განხორციელებული რეორგანიზაციის შედეგად ბატონი ნაპოლეონ ქარქაშაძე აღნიშნული აკადემიის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარედაა არჩეული.

— საქართველოს დამოუკიდებლობამ, — ამბობს ნაპოლეონ ქარქაშაძე, — დღის წესრიგში დააყენა ქვეყნის ეკონომიკის არა მარტო შიდა, არამედ მსოფლიო ეკონომიკის ჭრილში განვითარების აუცილებლობა, რაც იმას ნიშნავს, რომ ქვეყნის სოფლის მეურნეობა ჩართული უნდა იყოს მსოფლიო სისტემაში და უნდა ვიბრძოლოთ მისი იქ დამკვიდრებისთვის.

სამწუხაროდ, იმ კარდინალურ ცვლილებებს, რომლებიც საქართველოში გასული საუკუნის 90-იან წლებში მოხდა, მოუშადადებელი შეეხვდით, გაუაზრებლად დავანგრეთ ის რეალობა, რომელშიც ვცხოვრობდით, მაშინ არ ვიცოდით, რა უნდა გაგვეკეთებინა და როგორ.

ცხადია საქართველო კომუნისტური სისტემის ნაწილი იყო და სისტემის ყველა მანკიერება ჩვენზეც ვრცელდებოდა, თუმცა ის პერიოდი, წარმოებული პროდუქციის რაოდენობისა და ხარისხის მიხედვით დღევანდელზე ბევრად წარმატებული იყო, რის შესახებაც ვილაპარაკე წინა ინტერვიუში.


ამჯერად გავიმეორებ მხოლოდ იმას, რომ საქართველო მცირე მიწიანი ქვეყანაა და სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის მოუხერხებელია: სახნავი მიწა 1990 წლისათვის ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით 0,13 ჰექტარი, ხოლო აქტიური სასოფლო-სამეურნეო სავარგულები წარმოადგენილი იყო 28 ათას ნაკვეთად, რომელთა შორის სამექანიზაციო რელიეფისა და სიდიდის მქონე მხო-

ლოდ 12-14 პროცენტი იყო. სწორედ ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ენერგომეიარაღების მაჩვენებლით, საქართველო ბოლო ადგილზე იმყოფებოდა მოკავშირე რესპუბლიკებს შორის. ეს მაჩვენებელი ჩვენთან 14-16 ცხენისძალას შორის მერყეობდა, მაშინ როდესაც სსრ კავშირის საშუალო მაჩვენებელი 28.0 ცხენისძალა იყო, ხოლო ბალტიისპირეთის რესპუბლიკებში — 54,0.

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ საქართველოს ეკონომიკის დინამიკა შეუქცევადად დაღმავალი გახდა, იგივე მდგომარეობაა სოფლის მეურნეობაშიც. სასოფლო-სამეურნეო წარმოების მაჩვენებლები ქვეყნის შიდა პროდუქტში კლებადია. **თუ 2000 წელს ქვეყნის შიდა პროდუქტში სოფლის მეურნეობა წარმოადგენილი იყო 20,6 პროცენტით, 2003 წელს — 19,3 პროცენტით, 2008 წელს 8,9 პროცენტამდე შემცირდა. ეს ტენდენცია დღემდეა შენარჩუნებული.**

ინფორმაციისათვის: 1990 წლისათვის სოფლის მეურნეობის წილად მოდიოდა რესპუბლიკის შიდა პროდუქტის 35-37 პროცენტი.

არასასურველი მიმართულებით მოხდა სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ტრანსფორმაციაც. **თუ 1990 წელს დაუშუშავებელი რჩებოდა სახნავი ფართობის 1-დან 2 პროცენტამდე!.. 2008 წლისათვის ამ მაჩვენებელმა 38-40 პროცენტი**



შეადგინა, რაც ახსოვლთურ მარჯვენაელში 130 ათას ჰექტარს აჭარბებს.

ადამიანის სიცოცხლისათვის ისეთი აუცილებელი პროდუქტის წარმოება, რომელიც მარცვლულია, შემცირდა 18-20 პროცენტამდე.

ინფორმაციისათვის: საქართველოს ჭირდება 1,7-1,8 მლნ ტონა მარცვალი, რეალურად კი, ისიც საუკეთესო შემთხვევაში, შეგვიძლია ვანარმოთ 650-680 ათასი ტონა. აქედან გამომდინარე, **მცდარია შეხედულება, რომ შეგვიძლია ქვეყნის მოთხოვნილების საკუთარი შესაძლებლობებით დაკმაყოფილება.** გამოსავალი უნდა ვეძებოთ იმ ქვეყნებში, რომლებიც აწარმოებენ საიმპორტო მარცვლულს და დაინტერესებულნი არიან ჩვენი საექსპორტო პროდუქტით. ცხადია, არ უნდა გამოვრიცხოთ მარცვლეულის იმპორტის სხვა საშუალებებიც.

— საექსპორტო პროდუქტია ახსენეთ. ვანარმოებთ კი დღეს ასეთ პროდუქტს?

— აქაც პრობლემებია. მოდით, მემცენარეობის კუთხით მიმოვიხილოთ იმ პროდუქტის წარმოების დინამიკა, რომელიც საბჭოთა პერიოდში გაგვეკონდა სხვა რესპუბლიკებში და რომელიც დამო-



უკიდებლობის პირობებშიც საექსპორტო პროდუქციად უნდა განვიხილოთ. ასეთებია: ჩაისა და ღვინის პროდუქცია, ციტრუსები, ეთერზეთები და მეაბრეშუმეობა.

1990 წლამდე, ამ კულტურების საერთო ფართობი 360 ათას ჰექტარს აღემატებოდა, რომელთაგან 113 ათასი ჰექტარი ვენახს ეკავა. ყურძნის რეკორდული წარმოება დაფიქსირდა 1988 წელს 800 ათასი ტონა. აქვე დავძენ, რომ ვიზიარებ ეჭვს იმის შესახებ, რომ ეს „რეკორდი“ მიღწეული იყო მინერებით, მოსავლის ოდენობის ქალაქდზე გაზრდით. რეალურად იმ პერიოდში სახელმწიფო და კერძო სექტორში საქართველო, შეედლო ენარმოებია 550-580 ათასი ტონა ყურძენი.

— სიტყვამ მოიტანა, და ისიც ვთქვათ, რომ ილია ჭავჭავაძეს საქართველო პურისა და ღვინის ქვეყნად წარმოედგინა: „თუ ერმა, — წერდა იგი, — პურისა და ქერის ხვნა-თესვის გარდა ვაზის მოვლა მაინც იცის და კარგად თუ ავად იცის ღვინის დაყენება, ჰქმნის ამ ერს სხვასთან შედარებით, თუ სხვა ყოველი გარემოება ერთნაირია, უფრო წინ წასულად ქონებითად და აქედან ზნეობითადაც“.

— სააკაშვილის ანტიქართულმა პოლიტიკამ დიდი მოძღვრის ეს შეგონება არად ჩააგდო. არადა, ქვეყანაში არსებობდა რეალური ბაზა, გამოცდილება, მეცნიერუ-



ლი კვლევები, რაზეც დაყრდნობით მზადდებოდა 35 სახის ელიტარული ღვინო, 11 სახის კონიაკი, მსოფლიოს 10 საუკეთესო ღვინოებს შორის აღიარებული იყო „ხვანჭკარა“, „ქინძმარაული“ და „ხიხვი“.

ქართული ღვინისა და ღვინობროდუქტების წარმოებას ემსახურებოდა ღვინის პირველადი გადამუშავების 112 და 10 ჩამომსხმელი ქარხანა. ხოლო თბილისის შამპანურისა და კონიაკის ქარხნები ამ დარგის საწარმოთა ელიტაში მოიხსენიებოდა.

— ჩაის რა ეშველება, ბატონო ნაპოლეონ, გატყინებული ან უარესი — ამოძირკვეულ პლანტაციებს? აქაც მხოლოდ წარსულის მაგალითებით უნდა ვიცხოვროთ?

— ეს უდიდესი პრობლემაა, რა

არ გაკეთდა 90-იანი წლების შემდეგ, ეს კულტურა რომ მთლიანად მოგვესპო, ყველა უბედურება მივანერეთ, მათ შორის, დემოგრაფიული მაჩვენებლების ვარდნაც. იგნორირებული იქნა ისეთი უნიკალური ფაქტიც კი, რომ მსოფლიოში პირველად სწორედ საქართველოში შეიქმნა ჩაის მოვლამოყვანის კომპლექსური მექანიზაციის საშუალებები, როცა ყველა აგროტექნიკური პროცესი სრულად იყო მექანიზებული.

საუკეთესო წლებში საქართველოში იკრიფებოდა 520-530 ათასი ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, რაც მზა პროდუქციის სახით 140 ათას ტონა შეადგენდა.

მეჩაიეობა ქვეყნის ბიუჯეტის შევსების მნიშვნელოვანი წყარო იყო. მაგალითად, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის შიდა ექსპორტიდან (საბჭოთა კავშირის საზღვრებში) მიღებულ ფულად შემოსავალში 40 პროცენტი მის წილად მოდიოდა.

ეს დარგიც მოკლეს.

— სამაგიეროდ შევინარჩუნეთ კარტოფილის წარმოება.

— ვერ დაგეთანხმებით. თავად განსაჯეთ:

1990 წელს რესპუბლიკამ აწარმოა 468,0 ათას ტონა კარტოფილი, აქედან 45 პროცენტი იყო ადრეული, რომელიც სხვა რესპუბლიკებში გაგვქონდა და შემოსავლის მნიშვნელოვანი წყაროც იყო. 2008 წლის მონაცემებით, კარტოფილის მოსავალმა 190,0 ათასი

«საუკეთესო წლებში საქართველოში იკრიფებოდა 520-530 ათასი ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, რაც მზა პროდუქციის სახით 140 ათას ტონა შეადგენდა. მეჩაიეობა ქვეყნის ბიუჯეტის შევსების მნიშვნელოვანი წყარო იყო»



ტონა შეადგინა და, ვეჭვობ, რომ ეს მაჩვენებელიც შელამაზებული იყო. სამწუხაროდ, ქართულ ბაზარზე წლის ყოველ დროს დომინირებს შემოტანილი, უხარისხო პროდუქტი, — იგივე კარტოფილი. ქვეყნის კარტოფილით უზრუნველყოფის კოეფიციენტი, მისი წარმოებისთვის მაქსიმალურ წლებშიც კი არ აღემატებოდა 55-60 პროცენტს. თუმცა, კარტოფილის წარმოების ზრდის რეზერვები საქართველოში არის — მოსავლიანობის ზრდა, მთიან რეგიონებში ახალი ფართობების ათვისება და ა.შ.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულება ბოსტნეულ-ბალჩეული კულტურების წარმოებაა, ქართული ბოსტნეული ყოველთვის ძვირად ფასობდა სსრ კავშირის სივრცეში, ამჟამად ამ პროდუქტით შეგვიძლია მსოფლიო ბაზარზე გასვლა, მაგრამ, სამწუხაროდ, ამ დარგის განვითარება ჯერ კიდევ ახალი ხელისუფლების ყურადღების მიღმაა დარჩენილი. თუ 1990 წელს ვანარმოეთ 460,0 ათასი ტონა ბოსტნეულ-ბალჩეული, 2008 წლისათვის მოსავალი 160,0 ათას ტონამდე შემცირდა. იგივე მდგომარეობაა ტექნიკურ კულტურებშიც, არადა, მათი წარმოებისთვის ჩვენს ქვეყანაში ყველაზე ოპტიმალური პირობებია.

ასეთი სურათი იხატება ქვეყნის

სასოფლო-სამეურნეო წარმოების ერთი სეგმენტის — მემცენარეობის დარგის სახელდახელო განხილვით.

— **მაგრამ რეალობა გაცილებით მძიმეა, რასაც ქვეყნის მოსახლეობა ყოველდღიურად გრძნობს...**

— ეს ალოგიკური ვითარება კონტრასტულად არ ესადაგება იმ ვირტუალურ კეთილდღეობას, რომელსაც ტელემქადაგებელი მიხეილ სააკაშვილი გვიხატავდა.

პირდაპირ ვთქვათ: სოფლის მეურნეობის სიტუაციური ანალიზიდან დასტურდება უკანასკნელ წლებში ამ დარგის არასწორი გზით და დაუსაბუთებელი განვითარება. შედეგად მივიღეთ დიდი დისპროპორციები და არსებული სანარმოო რესურსების უყიარათო გამოყენება. ექსპერტები დაბეჯითებით გვიმტკიცებენ, რომ სანარმოო-რესურსულ პოტენციალს მხოლოდ სანახევროდ ვიყენებთ. აქედან გამომდინარე, აუცილებელი ხდება მეცნიერული რეკომენდაციების დამუშავება თითოეული რეგიონის ეკონომიკურ-ტექნოლოგიური სისტემის მკაცრად მიზნობრივი გამოყენების თვალსაზრისით.

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა აკადემია ამჟამად ამ საქმიანობით არის დაკავებული.

— **აქამდე რატომ დუმდით მეცნიერები?**

— არ ვდუმდით. ვმუშაობდით, მაგრამ ჩვენი შრომები ხელისუფლებას არ აინტერესებდა. ჩვენს რეკომენდაციებს არ ითვალისწინებდნენ.

თუმცა ისიც სათქმელია, რომ საბაზრო ეკონომიკაზე ქვეყნის გადასვლამ შეაფერხა არამარტო მეცნიერული მიღწევების წარმოებაში დანერგვა, არამედ, სოფლად ახალი ტიპის სასოფლო-სამეურნეო სანარმოების, მათ შორის მანამდე სრულიად უცხო ფერმერული მეურნეობების დასაბუთებული ფორმირება და ფუნქციონირება, ადგილობრივი რესურსული (სანარმოო) პოტენციალის უდანაკარგო და ეფექტიანი გამოყენება, გაძნელდა სწორი სანარმოო მიმართულების მიცემა, რაც უზრუნველყოფდა მდგრად განვითარებას.

ყოველივე ამან შექმნა დიდი წინააღმდეგობები და შეფერხებები სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში და ქვეყნის, განსაკუთრებით სოფლის ღარიბი ფენის მოსახლეობის სასურსათო პროდუქტებით თვითუზრუნველყოფისთვის, გააუარესა მათი სოციალური მდგომარეობა, გამოიწვია უარყოფითი მიგრაციული პროცესები სოფელი-ქალაქის და რაც ყველაზე სამწუხაროა, საზღვარგარეთის მიმართულებით.

სწორედ ამ მიმართულებით მუშაობის გააქტიურებაზე აკეთებს აქცენტებს ჩვენი აკადემიის სამეცნიერო კოლექტივი. ამის ერთ-ერთი დადასტურებაა ახლახან გამოცემული სამეცნიერო-გამოყენებითი ნაშრომი („საქართველოს სოფლის მეურნეობა. მისი განვითარებისა და ტექნიკური უზრუნველყოფის პერსპექტივა“. ნაპოლეონ ქარქაშაძე, ომარ ბედიანი), რომელიც აკადემიის ეკონომიკის საკოორდინაციო დარგობრივი სამეცნიერო განყოფილების მიერ არის რეკომენდებული და, ვიმედოვნებ, გამოადგება პრაქტიკოს მეურნეებს და დარგის ორგანიზატორებს.

ესაუბრა არმაზ სანუბლიძე





წინ ნაკვეთით, თუ უკან

ქვემოთ წარმოდგენილი პუბლიკაციები, რომლებიც გასული საუკუნის 80-იანი წლებში გაზეთ „სოფლის ცხოვრებაში“ დაიბეჭდა, ცხადყოფს, თუ რა მნიშვნელოვან როლს ასრულებდა სოფლის მეურნეობის ცალკეული დარგების განვითარებაში პროფესიონალი სპეციალისტების რჩევები და კონსულტაციები. თეორიული და პრაქტიკული ცოდნის ერთობლიობა — აი, რა არის წარმატების საწინდარი.

სკკპ XXVII ყრილობას — ეკონომიკის ინტენსიფიკაცია

**მეცნიერება – სოფელს
გაუმართ ინტენსიური ბაღები
უს მოსაგლიანობის ბაღიღების რეზერვია**

ინტენსიური და მაღალი ინტენსიური ბაღების გაშენება უნდა მოხდეს მეცნიერებისა და ტექნიკის თანამედროვე მიღწევების, ხეხილის ახალი კონსტრუქციების, ნარგაობის პროგრესული ტიპების, საუკეთესო ჯიშებისა და საძირეების ნიადაგობრივი და კლიმატური პირობების გათვალისწინებით. ამიტომ ხეხილის ნარგაობის ძველი სქემების ახლით შეცვლა ამ ეტაპზე ძირითადი ამოცანაა. ხეხილის ბაღების გაშენების კვადრატული სქემა უნდა შეიცვალოს უფრო პროგრესულით.

ცდებითა და გამოკვლევებით დადგინდა, რომ უფრო რაციონალურია ვაკე ადგილებისთვის კვადრატული წესის სწორკუთხურით შეცვლა. ბაღების ამ წესით გაშენებისას ნიადაგი მუშავდება მხოლოდ ერთი მიმართულებით, რიგში მცენარეთა მანძილი შემცირებულია და ფართობის ერთეულზე გაცილებით მეტი ხეხილი თავსდება. შახელდობრ, სუსტ საძირეზე კვადრატულად ხეხილის გაშენებისას საშუალოდ 1 ჰექტარზე ირგვებოდა 500-625 ძირი, საშუალო სიძლიერისა — 156-285 ძირი და ძლიერ საძირეზე — 100-

125 ძირი. სწორკუთხური სქემით გაშენებისას სუსტ საძირეზე დამყნეილი ხეხილი ირგვება 800-1200 ძირი, საშუალო საძირეზე — 500-700, ხოლო ძლიერ საძირეზე — 250-350 ძირი. ისე, რომ ფართობის ერთეულზე ხეხილის ძირთა დგომა საკმაოდ გაზრდილია, რაც მოსავლიანობის გაზრდის ერთ-ერთი მძლავრი ფაქტორია.

სათანადო ყურადღება უნდა დაეთმოს პალმეტურ ბაღებს. ამგვარი ბაღების გაშენებისას ფართობის ერთეული რაციონალურად არის გამოყენებული და კაპიტალური დაბანდების ანაზღაურება გაცილებით ადრე ხდება. დაბალია პროდუქციის თვითღირებულება. საჭიროა მხოლოდ ამ ტიპის ბაღების გაშენებისას ერთმანეთს მიზანშეწონილად შევუხამოთ საძირისა და მასზედ დამყნეილი ჯიშის ზრდის ხასიათი და ნიადაგური პირობები — მაღალ ნაყოფიერ ნიადაგებზე უნდა გაშენდეს ვეგეტატიურ საძირეზე დამყნეილი ძლიერ მოზარდი ჯიშები, ხოლო შედარებით ნაკლებ ნაყოფიერ ნიადაგებზე — ძლიერ საძირეზე დამყნეილი სუსტად მოზარდი ჯიშები.

ჩვენს ინსტიტუტთან არსებული საპროექტო ბიურო „საქბალვენახპროექტი“ გარდა აღნიშნული ფაქტორებისა წინასწარ, ბალის გაშენებამდე, სწავლობს საბაღედ გამოსაყენებელი ფართობების ნიადაგობრივ და კლიმატურ პირობებს, სარწყავი წყლით მომარაგების საშუალებას, მუშახელით უზრუნველყოფისა და სხვა საკითხებს.

მეხილეობის ძირითად სამრეწველო რაიონებში უნდა დაპროექტდეს და გაშენდეს ჩახშირებული ბაღები ფართობის 80 პროცენტით, მათ შორის ნაგალები — 10 პროცენტზე. ასეთი ტიპის ვაშლის ბაღებიდან ერთ ჰექტარზე საშუალოდ შეიძლება მიღებული იქნეს 250-300 ცენტნერი და მეტი ხილი. სათანადო ადგილი უნდა დაეთმოს ისეთ მნიშვნელოვან კულტურებს, როგორც არის მსხალი, კომში, ბალი, ალუბალი, ატამი და სხვ.

გამოყენებული უნდა იქნეს ზონის მიხედვით დარაიონებული (კულტურა, ჯიში, საძირე) წმინდა ჯიშიანი სარგავი მასალა, რომელთაც აქვთ მაღალი სამეურნეო და ბიოლოგიური თვისებები.

არ უნდა დაირგოს ისეთი ნამყენი, რომელიც არ არის შესაბამისად ტიპიური. სანერგეებიდან ნამყენი უნდა გაიცეს მხოლოდ ფოთოლმეცვლილ მდგომარეობაში, ნამყენი ნიადაგიდან ამოღების შემდეგ რეალიზაციამდე უნდა ინახებოდეს ტენიან ნიადაგში ან დაფარული უნდა იყოს ტენიანი ფხვიერი მასალით. არ უნდა გაიცეს ფუმიგაციის გარეშე, სათანადო ეტიკეტის უქონლად. ნამყენი ნერგი ჯიშების მიხედვით უნდა შეიკრას კონებად — მსხვილ ვარჯიანი ნერგი 10 ცალის რაოდენობით, წვრილ ვარჯიანი 20-25 ცალი. ნამყენის წარმოებისა და გაცემის ტექნიკური პირობების ზუსტად დაცვას ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს მეხილეობის დარგის ინტენსიფიკაციის საქმეში.



ხეხილის ბაღი, უმჯობესია, პირველ რიგში გავაშენოთ სამხრეთისა და სამხრეთ დასავლეთის 4-5 გრადუსის დაქანების ფერდობებზე, დასაშვებია 10 გრადუსით დაქანების ფერდობებიც.

ნიადაგი უნდა იყოს ნოყიერი, ნორმალური ტენის შემცველობის, წყალგამტარი, კარგი ჰაერაციის მქონე. დიდი მნიშვნელობა აქვს გრუნტის წყლის დგომის დონეს.

ხეხილის ბაღის გაშენება ქარებისგან დაუცველ ადგილზე იწვევს გადახრას, ვარჯის არათანაბარ განვითარებას, ყვავილების შეჭკნობას, ამცირებს განაყოფიერებას, ხელს უშლის ფუტკრის მოქმედებას, იწვევს ნაყოფცვენას, რომელიც ხშირად 50 პროცენტს და მეტსაც აღწევს.

ბაღის გაშენების წინ ნიადაგი წინასწარ უნდა მომზადდეს, გაუკეთდეს პლანტაჟი 60-70 სანტიმეტრ სიმაღლეზე, მოშანდაკდეს, დაითესოს სათოხნი კულტურები, რათა ნაკვეთი გაფხვიერდეს და გაინმინდოს სხვადასხვა სარეველებისაგან.

ბაღის გასაშენებლად ნიადაგის მომზადების შემდეგ საჭიროა ჩა-

ტარდეს ნაკვეთის დაგეგმვა. ორმოები ამოღებული უნდა იქნეს ერთი თვით ადრე დარგვამდე. ორმოს ადრე ამოღება ხელს უწყობს ნიადაგის გაფხვიერებას, რასაც ბაღის გაშენებისას მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს.

ორმო უნდა იყოს 100X50 სმ-ისა, დამოკიდებულია ნიადაგობრივ პირობებზე. ორმოს ამოღების დროს ნიადაგის ზედა ფენა ერთ მხარეს უნდა დაიყაროს, ხოლო ქვედა — მეორე მხარეს, ორმო უნდა შეივსოს დარგვის წინ 5-7 დღით ადრე. ისე, რომ ნიადაგის ზედა ფენა, რომელიც ჰუმუსოვანი ფენით მდიდარია, მოექცეს ორმოს ქვედა მხარეს. ორმო უნდა შეივსოს მისი სიმაღლის 3-4-ზე, დანარჩენი შეივსება ნამყენის დარგვის დროს სასუქისა და მიწის ნარევით. თითოეულ ძირში უნდა შევიტანოთ ორგანული სასუქი 12-15 კილოგრამი, შუაში აზოტი — 15 გრამი, ფოსფორი — 15 გრამი, კალიუმი — 8 გრამი. მოქმედი ნივთიერება). ნამყენის დარგვის წინ დაზიანებული და გახლეჩილი ნაწილები უნდა შეიკვეცოს. დაზიანებული ადგილების ნაჭრით ხელი ეწყობა ჭრილობის შეხორცებას და ბუსუსოვანი ფესვთა

სისტემის განვითარებას. არავითარ შემთხვევაში არ უნდა იქნეს დაშვებული ფესვთა სისტემის ძლიერი შემოკლება.

ნამყენი დარგვისთანავე საჭიროა აიკრას სარზე, რომლის სიმაღლე 90-120 სანტიმეტრი უნდა იყოს, იმის მიხედვით, თუ ნამყენს რა სიმაღლის შტამბს უტოვებთ.

სარი ორმოში უნდა დამაგრდეს იმგვარად, რომ ქარში არ ქანაობდეს და ორმოში ნაპრალები არ გააჩინოს.

ნამყენი სარზე უნდა აიკრას კანაფით ან წნელით 8 რიცხვის მსგავსად ისე, რომ ნამყენი და სარი ერთმანეთს არ ეხებოდეს.

დარგვის შემდეგ საჭიროა ნამყენის გასხვლა და სათანადო ფორმის მიცემა ჯურისა და ჯიშის თავისებურებათა მიხედვით.

დარგვის შემდეგ ახალგაზრდა ნამყენი აუცილებლად უნდა მოირწყოს, წინააღმდეგ შემთხვევაში მისი გახარების პროცენტი საგრძობლად მცირდება.

ბ. ჯომარლიკი,
მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მეხილეობის აგროტექნიკის განყოფილების გამგე

1985 წლის მოსავალს — გტკიცე საფუძველი!

გაწაფსულის ყოველი დღე — დამკვრელური! დიდი და კატარა ზმრებში ბავილა

საქართველოს კბ თელავის რაიონის პლენუმზე თავის გამოსვლაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა, ე. ა. შევარდნაძემ კრიტიკული შეფასება მისცა რაიონში ვენახებისა და ხეხილის ბაღების მოვლა-პატრონობას, არსებულ ნაკლოვანებებს. საზოგადოებრივ მეურნეობაში ვენახების სიმეჩხერე 23 პრო-

ცენტს აღემატება, რის შედეგადაც ყოველწლიურად ცდება 2.300 ჰექტარი ვენახი, იკარგება 10-15 ათასი ტონა ყურძენი, წინანდლის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობაში მეჩხერიანობა 35 პროცენტია, ნაფარეულის — 29 პროცენტი, ხოლო კონდოლის კოლმეურნეობაში — 37 პროცენტი, მეჩხერიანობის პროცენტი დიდია, აგრეთვე, კისისხევის, ბუშეტის, ყარაჯალის და სხვა მეურნეობებში. პლენუმზე გამოთქმული კრიტი-



კა გულთან მიიტანეს რაიონის საზოგადოებრივი მეურნეობების მშრომელებმა და მთელი ძალით გააჩაღეს ბრძოლა ამ მიმართულებით. შეიმუშავეს მეჩხერიანობის წინააღმდეგ ბრძოლის გეგმა, რომელშიც გათვალისწინებულია სიმეჩხრის მინიმუმამდე შემცირება და ყურძნის საჰექტარო მოსავლიანობის გადიდება, ამ მიზნის მიღწევისათვის ჭირვეულ ამინდებსაც არ ეპუებიან და გულმოდგინედ შრომობენ. უკვე გაახვივნეს



1.550.000 ვაზი, გამორგეს 114.000 და გადაანვინეს 29.000 ძირი.

იმისათვის, რომ ვენახების მეჩხერიანობის საწინააღმდეგო ღონისძიებების დროს ადგილი არ ჰქონდეს სამუშაოების უხარისხოდ შესრულებას, კონდოლის კოლმეურნეობამ შეიმუშავა წამახალისებელი ღონისძიებების კარგი სისტემა. მაგალითად, მხრის გაგრძელებისას ყოველ გაგრძელებულ ყლორტზე მსხვლელს დამატებით ეძლევა 30 კაპიკი, ხოლო ახალგაზრდა ვენახებში გამორგული თითოეული ვაზის გახარებაზე — 40 კაპიკი. ასეთივე ღონისძიებები აქვთ შემოღებული, აგრეთვე, ნაფარეულის, წინანდლის, კისისხევის საბჭოთა მეურნეობებს, ვარდისუბნის, რუისპირის და სხვა კოლმეურნეობებს. ამიტომაც არის, რომ მევენახეები ხალისით გადიან ვენახებში, კონდოლელებმა მხარი გაუგრძელეს 198.000 ძირ ვაზს, წინანდლებმა — 108.000, კისისხეველებმა — 103.000, ხოლო



ნაფარეულებმა — 61.000 ვაზს. ბევრია, აგრეთვე, გამორგული და გადაწვენილი.

თელაველი მევენახეების მიერ აღებული ტემპი იმის საწინდარია, რომ ისინი ყველაფერს გააკეთებენ, რათა მცხეთელ და სიღნა-

ღელ მევენახეთა პასუხად წელს მეჩხერიანობა 5 პროცენტით შემცირონ.

უ. კირვალია,
„სოფლის ცხოვრების“
კორესპონდენტი,
თელავის რაიონი.

საესიალისტი აყენებს წინადადებას წინადადების გაკულტურებას სოფლს სჭირდება

რატომ იზიფყებან ამ ჭეშმარიტებას?

ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ნებისმიერი დარგის დაფინანსებას მაშინ აქვს აზრი და შინაარსი, როდესაც იგი იძლევა გარკვეულ უკუგებას, სხვა დანარჩენ შემთხვევაში მასზე განუვლი დანახარჯები წყალში გადაყრილი აღმოჩნდება. ამ წერილში მინდა მკითხველის ყურადღება გავამახვილო სოფლის მეურნეობის ისეთ დარგზე, რომელსაც ნიადაგმცოდნეობა ჰქვია. ამას იმიტომ მოგახსენებთ, რომ ნიადაგმცოდნეობა ეს არის ერთ-ერთი ძირითადი მეცნიერება, საყრდენი ჩვენი სოფლის მეურნეობისა, რომლის სწორ და ყაირათიან გამოყენებაზე დამოკიდებული იმ სახალხო დოვლათის შექმნა, რომე-

ლიც ასე საჭიროა ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ეკონომიკური ძლიერებისათვის. ნიადაგმცოდნე სპეციალისტისათვის (არაფერს ვლაპარაკობ ამ დარგში მომუშავე არასპეციალისტ პრაქტიკოსებზე) არასაკმარისია ის თეორიული და პრაქტიკული ცოდნა, რომელიც მას ინსტიტუტის აუდიტორიებიდან მოჰყვება. **დადგა დრო, როდესაც საჭიროა ვიფიქროთ იმაზე, რომ უმაღლეს სასწავლებლებში ნიადაგმცოდნეობის სპეციალობაზე იკითხებოდეს ტოპოგრაფიის სპეციალური კურსი, რაც მომავალ ნიადაგმცოდნე სპეციალისტებს საშუალებას მისცემდა მყარად დაეუფლონ ტოპოგრაფიული საკითხე-**

ბის ელემენტარულ ცოდნას, მითუმეტეს რომ ამის აუცილებლობას პრაქტიკაც ადასტურებს. მართალია, ჩვენს რესპუბლიკაში ისეთი საპროექტო ინსტიტუტიცაა (მაგ. საქართველოს სსრ მინათმონყობის სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტი), სადაც ნიადაგების კვლევის დროს ნიადაგმცოდნეებთან ერთად ინჟინერ-მინათმომწყობებიც არიან ხოლმე ჩართულნი, მაგრამ ამ დარგში მომუშავე სხვა კვლევითი ინსტიტუტები და ორგანიზაციები მოკლებულნი არიან ასეთ საშუალებას. დამეთანხმებით, რომ ის ნიადაგმცოდნე, რომელიც ვერ ერკვევა მინათსარგებლობის ჰორიზონტალურ გეგმებში, ამ გეგმების მასშტაბებში, გეგმაში და ობიექტზე ამათუ იმ წერტილის მონახვაში, ნიადაგურ კვლევას ფაქტიურად უვარგისს ხდის პრაქტიკისათვის და ამგვარად, ასე ჩატარებულ კვლევაზე



განუვლი ხარჯები წყალში გადაყრილად ითვლება.

საკვლევ ობიექტზე არავითარ შემთხვევაში არ უნდა ავიღოთ ნიადაგის შერეული ნიმუშები მიმდევრობით ან პარალელურად, საკვლევ ობიექტზე ნიადაგის შერეული ნიმუშები უნდა ავიღოთ დიაგონალური წესით. ამასთან, აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ მისი მიკრონიადგური და მიკროკლიმატური პირობები, რათა მინიმუმამდე დავიყვანოთ ცდომილება, რომელსაც ადგილი აქვს ასეთი სახის სამუშაოების შესრულების დროს. მიკრონიადგურ პირობებს იმისათვის უნდა მივაქციოთ განსაკუთრებული ყურადღება, რომ საქართველოს ნიადაგები ხასიათდებიან დიდი სიჭრელით, ეს კი, უპირველეს ყოვლისა, მოითხოვს დიდ პრაქტიკულ გამოცდილებას და პროფესიულ ცოდნას.

ცალკე მინდა შევჩერდე ნიადაგის ქიმიურ ანალიზზე, კერძოდ, ნიადაგის ტენტივადობის განსაზღვრის მეთოდებზე. ცნობილია, რომ არსებობს ნიადაგის ტენტივადობის განსაზღვრის მრავალი მეთოდი. ამ მე-

თოდებიდან ამჟამად პრაქტიკაში გავრცელებულია ნიადაგის ტენტივადობის განსაზღვრა ხელსაწყო „დენტრის“ საშუალებით, თუმცა იშვიათად, მაგრამ ვხვდებით სხვა მეთოდების გამოყენებასაც. მე, როგორც ამ დარგის სპეციალისტს, მიმაჩნია, რომ დღეისათვის არსებული ყველა მეთოდიდან, უფრო ზუსტია ნიადაგის ტენტივადობის განსაზღვრა ნიადაგის გამოშრობის მეთოდით, ვინაიდან ამ მეთოდით სარგებლობისას ნიადაგის ტენიანობის განსაზღვრის პროცენტი ემთხვევა ნიადაგში ფაქტიურად არსებულ ტენიანობის პროცენტს. მართალია, ამ მეთოდით ნიადაგის ტენიანობის პროცენტის დადგენა უფრო შრომატევადია, ვიდრე ხელსაწყო „დენტრით“ სარგებლობისას, მაგრამ სამაგიეროდ მისგან მიღებული შედეგები თვალსაჩინოა და ხელს უწყობს ამა თუ იმ კულტურის ნორმალურ ზრდა-განვითარებას, რაც თავის მხრივ თავს იჩენს ამ კულტურების მოსავლიანობის ზრდაში. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ რაც უფრო მაღალხარისხოვანია ნიადაგმცოდნის მიერ ნიადაგური კვლევის ჩატარების სფერო, მით

უფრო ხარისხიანია კულტურის მოსავალი და მაღალი ყუათიანობით ხასიათდება.

იმის ნათელსაყოფად, თუ რა სავალალო შედეგები მოსდევს არაკვალიფიციურ ნიადაგურ კვლევასა და ნიადაგის ტენიანობის განსაზღვრას, ნათლად ჩანს სიღნაღის რაიონის წნორის მეცხოველეობის კომპლექსის ალაზნისპირა ნიადაგების მაგალითიდან. ცნობილია, რომ ეს ნიადაგები წარმოადგენენ დამლაშებულ მძიმე თიხიან ნიადაგებს. 40 სანტიმეტრი სიღრმიდან ეს ნიადაგები ფაქტიურად გალებებულია და ამდენად გამოსადეგია მხოლოდ ერთწლიანი და მრავალწლიანი საკვები ბალახებისა და სასილოსე სიმინდის მოსაყვანად, მაგრამ, თუ ამას კიდევ დაემატება ისიც, რომ არასწორად განისაზღვრა ნიადაგის ტენიანობა, ეს კიდევ უფრო გააუარესებს ამ ნიადაგების ფიზიკურ-ქიმიურ თვისებებს და შედეგად ხელთ შეგვრჩება ყოვლად გამოუსადეგარი ჭარბტენიანი ნიადაგები.

ბ. თოფურია,
ნიადაგმცოდნე

შეჯიბრების ღეჳიზი: 100 ნერბზე — 100 ბატკანი

**ცხვარ-მეცხვარის ახლა სჭირდება
განსაკუთრებული ზრუნვა!
ორგანიზაციული დაუპირისპირის**

წლევანდელმა ჭირვეულმა ზამთარმა დიდი სიძნელეები შეუქმნა სოფლის მეურნეობის მუშაკებს და მათ შორის მეცხვარეებს, რომელთაც ახლა ყველაზე პასუხსაგები პერიოდი — დოლი აქვთ. იგრისა და ალაზნის პირებში ახლა სიღნაღელთა 85.000 სული ცხვარი იზამთრებს, აქედან 49.906 ნერბია.

მუხლჩაუხრელად შრომობენ მეცხვარეები. ერთმანეთს გადაეხა უძილო ღამეები, ფარეხებში ცხვარი ბლავის, საბატკნეებში ბატკნები დაკუნტრუშობენ. ყოველდღიურად იზრდება სიღნაღელთა ცხვრის ფარები. ამ დღეებში ჩვენ დაუკავშირ-

დით სიღნაღის აგროსამრეწველო გაერთიანებას, საიდანაც გვაცნობეს, რომ უკვე დადოლებულია 35.912 ნერბი, მიღებული და შენარჩუნებულია ამდენივე ბატკანი.

დოლში განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ბოდბის ორჯონიკიძის, მაღაროს, ქვემო მაჩხაანის, ძველი ანაგის კოლმეურნეობის მეცხვარეებმა, რომლებიც წარმატებით ატარებენ დოლს — ყოველ 100 ნერბზე 100 და მეტ ბატკანს ღებულობენ.

დოლს მომზადებული შეხვდა სიღნაღის რაიონი. შარშან ზაფხულს დიდი რაოდენობით დაამზადეს და მიზიდეს ფარეხებთან საკ-



ვები. კომბინირებული საკვებითაც უზრუნველყოფილია ცხვარი. ფარეხები დროულად შეკეთდა და დაითბილა. დროულად გამოიყო დოლისათვის დამხმარე მუშახელი. ყოველივე ამან კი უზრუნველყო ის წარმატებები, რომლებიც ჯერჯერობით სიღნაღელ მეცხვარეებს აქვთ მოპოვებული.



— ყოველ 100 ნერბზე 100 ბატკანი — ამ დღეივით ახლა ბევრი მეცხვარე იბრძვის ივრისა და ალაზნისპირების ზამთრის საძოვრებზე და, მიუხედავად იმისა, რომ თოვლი და

მაღალი ყინვები უქმნიან მეცხვარეებს შრომაში სიძნელეებს, ისინი მაინც არ უშინდებიან ბუნების კაპრიზებს, მონდომებულ შრომას უპირისპირებენ და შედეგიც კარგი

აქვთ, ყოველდღიურად მრავლდება ფარა, საფუძველი ეყრება მეთერთმეტე ხუთწლედის დამამთავრებელი წლის წარმატებას.

მ. ბალაგაძე

სხვარს ემატება ბატკანი

წითელწყაროს რაიონის ცხვრის თითქმის ნახევარი სულადობა ტარიბანასა და ივრისპირეთში იზამთრებს. აქ ყველაზე პირველად დოლი გამარჯვების კოლმეურნეობის ფერმას ესტუმრა, ფერმის მწყემსები ახალ წელს ახალშობილი ბატკნებით შეხვდნენ, მას შემდეგ კი მასობრივად მიმდინარეობს დოლი და სადაცაა დამთავრდება კიდევ ფერმაში უკვე მიღებულია 4.500 ბატკანი, წლიური გეგმა კი 4.850 სულს ითვალისწინებს.



ივრისპირეთისა და ქვიშიანწყლის საძოვრებზე დოლი აქვთ გაჩაღებული წითელწყაროს ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის მეცხვარეებს. გამარჯვებულ მეცხვარეებთან ერთად, ათიოდე წლის წინათ ამ კოლმეურნეობის მეცხვარეობის ფერმის მუშაკებმა რაიონში პირველებმა დანერგეს ადრეული დოლი და ახლა საუკეთესო შედეგებს აღწევენ.

ნაცვლად 87 ბატკანი მიიღო, მაგრამ გეგმის შესრულებას როდი სჯერდებიან, განაგრძობენ ვალდებულების განაღებისათვის ბრძოლას. ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობაში უკვე მიღებულია 6.200 ბატკანი.

საც სახელგანთქმული თავგზობნები ილია მამულაშვილი, იოსებ ფოცხვერაშვილი, ამირან ალადაშვილი, დავით ბატიაშვილი ხელმძღვანელობენ. ამ კოლმეურნეობათა ფერმებში დოლი გადამწყვეტ ფაზაშია და შეჯიბრება კიდევ ბევრ მონიავს და გამარჯვებულს გამოავლენს.

ფერმაში ერთ-ერთი მოწინავეა მესამე ბრიგადა, რომელსაც აგერ უკვე ოცი წელია ხელმძღვანელობს შალვა კუპატაძე. მის ბრიგადაში მალე დამთავრდება დოლი. მაგრამ მან უკვე შეასრულა ნამატის მიღების გეგმა, ყოველ 100 ნერბზე 84-ის

წელს კარგი დოლი აქვთ ზემო მაჩხანის და არბოშის კოლმეურნეობათა მეცხვარეებს. ამ კოლმეურნეობებში შეჯიბრების ავანგარდში არიან ის ბრიგადები, რომლებ-

შოთა პიკაშვილი,
„სოფლის ცხოვრების“
კორესპონდენტი,
წითელწყაროს რაიონი

ქართული ჩაი

ჩაი ერთ-ერთი ყველაზე სასიამოვნო და პოპულარული სასმელია მთელს მსოფლიოში. იგი შესანიშნავად კლავს წყურვილს, აღადგენს ენერჯიას, აწყნარებს და ამშვიდებს ნერვულ სისტემას, უნარჩუნებს ორგანიზმს მხნეობასა და შრომისუნარიანობას.

ტამინები და სხვა, რომლებიც კეთილმყოფელ გავლენას ახდენს ადამიანის ორგანიზმზე.

ადამიანი, რომელიც სისტემატურად და რეგულარულად სვამს ჩაის, ყოველთვის უკეთესად ინარჩუნებს თავის ჯანმრთელობას, იხანგრძლივებს სიცოცხლეს.

კარგად მომზადებული ჩაი ამშვენებს ნებისმიერ საუბარსა თუ შეხვედრას. ჩაი შეიცავს ისეთ მნიშვნელოვან ნივთიერებებს, როგორიცაა: ტანინი, თეობრომი, თეოფილინი, ეთერზეთები, სხვადასხვა ვი-

ჩაი ამაგრებს და ამტკიცებს კაპილარებსა და სისხლძარღვთა სისტემის კედლებს, არეგულირებს მაღალ სისხლის წნევას, აუმჯობესებს სისხლის მიმოქცევას, ამაღლებს ორგანიზმის სასიცოცხლო ტონუსს, სასარგებლოა, აგრეთვე, გულ-სისხლძარღვთა, ნერვული და ჰიპერტონული დაავადებებისას, არუგელირებს ორგანიზმის ქოლესტერინულ ცვლას.

„თუ დაიღალა — მოითხოვეთ ჩაი“, „თუ გცხელა — მიირთვიეთ ჩაი“, „თუ გინდათ ბათობა — მიირთვიეთ ჩაი“.

ნუ დაივიწყებთ კარგ ტრადიციას — მიიპატიჟეთ სტუმარი ჩაიზე! იგემეთ ქართული ჩაი!

„საქპროკრაქლავა“

გაბვასნრო თუ არა მატარებელმა?

ისევე, როგორც ზოგადად ყველაფერს, ეკონომიკასაც აქვს აღმავლობისა და დაცემის პერიოდები. გეოპოლიტიკურად ხელსაყრელ ადგილზე მდებარე საქართველო ყოველთვის საინტერესო იყო საერთაშორისო ვაჭრობისთვის, აქ იკვეთებოდა ცნობილი აბრეშუმის და სხვა საქარავნო გზები. უამის ბორბალმა დღეს კი ყველაფერი ისევე თავდაყირა დააყენა...



კომუნისტების მიერ შემოღებულ გეგმიურ ეკონომიკას თავისი, როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი მხარეები ჰქონდა. გეგმის მიხედვით უშვებდნენ ბევრ არასაჭირო ნივთს და საგანს, მაშინ, როდესაც ბევრი საჭირო ნივთი დეფიციტი იყო. მაგრამ ეს უფრო არასწორი მიდგომით იყო განპირობებული, რადგან საბჭოეთში ზოგიერთი სახეობის ნივთს ფუფუნების საგნად თვლიდნენ, რაც საბჭოთა ადამიანს „არ ეკადრებოდა“ და არ სჭირდებოდა. **გეგმიური ეკონომიკის დადებითი და უარყოფითი მხარეები კარგად გაითავისეს ჩინეთში, შეისწავლეს საბაზრო ეკონომიკა და ერთგვარი ნაზავი შექმნეს. შედეგი სახეზეა — დღეს ათასი წვრილმანით, ტექნიკით და სხვა საქონლით მსოფლიო ბაზარს სწორედ ჩინეთი ამარაგებს.** სოციალისტური გეგმით ერთგულად მომუშავე კუბამ დღემდე ვერ მოიშორა ტალღების სისტემა. თუმცა პოსტსაბჭოთა ქვეყნებს, ისევე, როგორც საქართველოს, არც კაპიტალისტურ რელსებზე გადასვლამ უშველა. მიუხედავად იმისა, რომ ეკონომისტები აყვავებას გვპირდებოდნენ, აყვავებასა და აღდგენას ვერ ვეღირსეთ. შესაძლოა, ბევრი რამ ჩვენც არასწორად გავაკეთეთ. სოციალური პრობლემებისა და ომის ქარცეცხლმა თავისებურად შეანელა ეკონომიკური განვითარების პროცესი, სადღაც არასწორი ნაბიჯები გადაგვადგმევინა. მაგალითისთვის გამოდგება ბელარუსი, რომელიც კეთილგონივრულად მოიქცა და საბჭოთა

კავშირისგან მემკვიდრეობით მიღებული მრეწველობა და მეურნეობა შეინარჩუნა, განავითარა და დღემდე წარმატებით ამუშავებს. ამასთანავე გეგმიური ეკონომიკაც დატოვა გარკვეული კორექტივებით, რის შედეგადაც წარმოებული პროდუქციის 75%-ს ექსპორტზე აგზავნიან. ქვეყანა საკუთარი წარმოების ყველა საქონლითაა უზრუნველყოფილი. ასევე ვთქვათ, პატარა ჩინეთია უფრო ხარისხიანი პროდუქციით. ჩვენ კი ის დაგვრჩენია, ვიფიქროთ და გავიაზროთ, თუ **საით მივდივართ, რას ვკარგავთ და როგორ გამოვასწოროთ შეცდომები.**

მრეწველობა

ეკონომიკის ერთ-ერთი წამყვანი დარგი მრეწველობა იყო. 1970 წლისთვის საქართველოში მუშაობდა 1 მილიონ 490 ათასი ადამიანი, საიდანაც 385 ათასი მრეწველობაში იყო დასაქმებული. აწარმოებდნენ მინერალურ სასუქს, ქიმიურ ბოჭკოს; იზრდებოდა მანქანათმშენებლობის დარგი: დაზგების, ელმავლების, ავტომობილების, სასოფლო ტექნიკისა და აპარატების წარმოება. სამშენებლო მასალებიდან იწარმოებოდა შიფერი, ცემენტი, აგური, რკინაბეტონი და სხვა. განვითარებული იყო მსუბუქი მრეწველობა — აბრეშუმის, შალის, ჩითის, ტყავის დამუშავება, ფეხსაცმლის წარმოება და ა. შ. მსოფლიოში წარმოებულ მანგანუმის ნახევარს საქართველო აწარმოებდა ჭიათურის საბადოში. 1990 წელს დასაქმებულთა 27% მრეწველობაში იყო

დაკავებული. აწარმოებდნენ ღვინოს, ჩაის, კონიაკს, ზეთს, კონსერვებს, მინერალურ წყალს და თხილს. 2008 წელს ამ სფეროში 18,9 ათასი კაცი იყო დასაქმებული. მრეწველობაში კი — 85,7 ათასი ადამიანი, აქედან საბადოებში — 4,3 ათასი, გადამამუშავებელ მრეწველობაში — 58,8 ათასი, ელექტრო, გაზისა და წყლის მომარაგებაში — 22,6 ათასი ადამიანი. 2005 წელს ლითონის წარმოება 9,8 % იყო, ლითონის მადნის — 4,06 პროცენტი. 2004 წელს ჭიათურაში 50 ათასი ტონა მანგანუმი მოიპოვეს. ფეროშენადნობი ქარხნის ნაწარმი საქართველოს ექსპორტის ძირითადი საქონელია, მისი წილი ექსპორტში 17%-მდეა. მადნეულის მოპოვებაში 1,6 ათასი ადამიანია დასაქმებული, ლითონის საწარმოში — 9,7 ათასი. საქართველოში დღესდღეობით იწარმოება სილიკატის აგური, ცემენტი და სხვა სამშენებლო მასალები.

სოსო არჩვაძე, ეკონომიკის ექსპერტი:

— 90-იან წლებში მრეწველობამ გამანადგურებელი დარტყმა განიცადა. დაახლოებით 6-7 წელიწადში სამრეწველო პროდუქციის წარმოება 100 პროცენტიდან 17 პროცენტამდე შემცირდა. ასეთი ვარდნა რამდენიმე მიზეზმა განაპირობა: პირველი ის არის, რომ **ჩვენ დავკარგეთ გასაღების ბაზარი და შრომის ე. წ. დანაწილების ხარჯზე მოხდა კავშირების შეწყვეტა.** მეორე იყო რთული პოლიტიკური მდგომარეობა, მხედველობაში მაქვს **სამხედრო დაპირისპირება და კონფლიქტები,**



რომლებიც 90-იანი წლების დასაწყისში მოხდა ჩვენს ქვეყანაში. სწორედ ეს პროცესები გახდა სამრეწველო მუხტის დაცემის მიზეზი. სამრეწველო მასშტაბების, სოფლის მეურნეობისა და სხვა დარგების შემცირებამ გამოიწვია ის, რომ დღეს საქართველომ ჯერ კიდევ ვერ მიაღწია იმ ეპიკურ დონეს, რაც მთლიანი შიდა პროდუქციის წარმოების მხრივ 1988 წელს ჰქონდა. ცხადია, ისეთი დაცემა განვიცადეთ, რომ Eიმის შემდეგ თითქმის 20 წელიწადი გავიდა და, განხორციელებული ქმედებების მიუხედავად, რეალურ შედეგს ვერ მივაღწიეთ. რა თქმა უნდა, სიტუაცია შეიცვალა, მთელი ჩვენი სამომხმარებლო პროფილი აბსოლუტურად განსხვავდება 80-იანი წლების სამომხმარებლო პროდუქციისგან, მაგრამ, რომ მოვიშველიოთ ჯაჭვური ინდექსები, ჩვენ ვართ 80-იანი წლების 2/3 დონეზე.

— ამჟამად საქართველოში სამრეწველო დარგების განვითარება შესაძლებელია?

— პოტენციალი, რა თქმა უნდა, არსებობს. ჩვენ გვქონდა საკმაოდ მაღალი სამეწარმეო კულტურა: მსუბუქი მრეწველობის, კვების, გადამამუშავებელი მრეწველობის და ა. შ. რა თქმა უნდა, საჭირი არაა იმ სანარმოების და დაზგების განვითარება, რომლებიც ხელოვნურად იყო მიბმული ერთიან საკავშირო კომპლექსზე. საქართ-

ველოში იყო რამდენიმე სანარმო, რომელიც ახორციელებდა საბჭოთა კავშირის სამხედრო-საზღვაო წყალქვეშა ფლოტისთვის საგნების წარმოებას, ცხადია, ამის საჭიროება არ არსებობს, მაგრამ ის, რომ ჩვენ შევძლოთ მცირე მექანიზაციის წარმოება, მთიანი რეგიონებისთვის გადამამუშავებელი საკონსერვო სანარმოს შექმნა ადგილობრივი სპეციფიკის გათვალისწინებით, ხალხური რეწვის ელემენტების გამოყენება და ა. შ., ამის პოტენციალი არსებობს.

ჩვენ უნდა ავიღოთ ორიენტაცია, რომ მაქსიმალურად მოვახდინოთ იმპორტის ჩანაცვლით საკუთარი პროდუქციით. მაგალითად, კიტრისა და პომიდვრის კონსერვების შემოტანა ირანიდან და სხვა ქვეყნებიდან, ასევე საზღვარგარეთ წასული მოქალაქეების მიერ ოჯახის წევრებისთვის პროდუქტის გამოგზავნა არ არის სწორი. ეს ნიშნავს იმას, რომ ჩვენი ეკონომიკური პოტენციალი შესაბამისად არ არის გამოყენებული. მრეწველობა, სოფლის მეურნეობა და მერე შრომის სანარმოების გახსნა ერთმანეთზეა გადაბმული.

დასაქმებიდან სიღარიბედე

საბჭოთა კავშირში „ოქროს ხანად“ წოდებულ პერიოდში (70-80 წწ) პენსია – 120 მანეთამდე იყო,

პედაგოგის ხელფასი კი 132 მანეთს შეადგენდა. სხადასხვა პროდუქტისა და მომსახურების ფასი კი შემდეგნაირი იყო: ასპირინი 10 აბი — 5 კაპიკი, ბენზინი — 7-10 კაპ; ბორჯომი 1ლ — 20 კაპ; შაქარი — 78-84 კაპ; კვერცხი 10 ცალი — 0, 90-დან 1, 20 მანეთამდე; პური — 15-25 კაპიკი; მეტროთი და ავტობუსით მგზავრობა კი 5 კაპიკს არ აღემატებოდა. შევარდნაძის პრეზიდენტობის დროს პენსია 14 ლარს შეადგენდა. 2012 წლის სექტემბერში კი საპენსიო პაკეტმა 140 ლარი შეადგინა, საიდანაც 15 ლარი სადაზღვევო კომპანიის ანგარიშზე ირიცხება. უშუალოდ ასაკის საფუძვლით სახელმწიფო პენსიის ოდენობა 2011 წლიდან 100 ლარს შეადგენს. დღესდღეობით პედაგოგის ხელფასი 243 ლარია; ასპირინი 20-40 თეთრი ღირს; ბენზინი — 2, 25; B1 ლ ბორჯომი — 1,20; შაქარი — 1, 50; პურის ფასი 50 თეთრიდან 1, 50 ლარამდე მერყეობს, მუნიციპალური ტრანსპორტის ტარიფი კი 50 თეთრია.

ეკონომიკური პოლიტიკის შედეგები მნიშვნელოვნად აისახება შრომის ბაზარსა და დასაქმებაზე. სტატისტიკური მონაცემებით ირკვევა, რომ „ვარდების რევოლუციის“ შემდგომ მასობრივი უმუშევრობის პრობლემა, ეკონომიკური ზრდის მიუხედავად, არათუ დაიძლია, არამედ გაიზარდა. ოჯახების სიღარიბის ზღვარს ქვემოთ ჩავარდნის რისკი გაიზარდა უმუშევარი წევრების რაოდენობის მიხედვით.

ოფიციალურად საქართველოში უმუშევრობის დონე 2003-2010 წლებში 12,6%-დან 16,3%-მდე გაიზარდა. ამ მაჩვენებელში არ შედის სოფლად მცხოვრები მოსახლეობის უმრავლესობა, რომელთაც საკუთრებაში არანაკლებ 1 ჰექტარი მიწა აქვთ. მხოლოდ დედაქალაქში უმუშევრობის დონე ოფიციალურად 16%-ია. თუ პოსტსაბჭოთა ქვეყნების მონაცემებს შევადარებთ, საქართველოში უმუშევრობის დონე ერთ-ერთი ყველაზე მაღალია. **2011 წელს სომხეთში მან 7%, აზერბაი-**





ჯანში 6%, ბელარუსში კი 0,7% შეადგინა. თუ გავითვალისწინებთ, რომ საქართველოში უდიდეს ნაწილს შეადგენს საკუთარ შინამეურნეობაში დაბალი პროდუქციის მფლობელები, ფაქტობრივად, არასრული დასაქმებით, რეალური სურათი კიდევ უფრო უმეორესეული იქნება. აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველო თვითდასაქმებულთა წილითაც პირველ ადგილზეა პოსტსაბჭოთა სივრცეში.



ოფიციალური მონაცემებით, უმუშევართა დიდი ნაწილი შეადგენს 15-50 წლამდე ასაკის მოსახლეობას და კონცენტრირებულია ქალაქებში. უმუშევრობის დონე ქალაქებში დაახლოებით ოთხჯერ აღემატება სოფლის მაჩვენებელს. რაიონებში ცხოვრობს მოსახლეობის 47% (2010 წელი), ხოლო უმუშევართა 4/5 კონცენტრირებულია ქალაქში. ბოლო წლების განმავლობაში ეს მაჩვენებელი რეალურად არ შემცირებულა. ბაზარზე ვერ იქმნება სამუშაო ადგილები და არ ხდება გარკვეული კვალიფიკაციისა და პროფესიის ადამიანთა დასაქმების უზრუნველყოფა. შედეგად, უმუშევარ მოქალაქეთა რაოდენობა იზრდება, ხოლო ნაწილი ტოვებს საქართველოს და ცდილობს იპოვოს ნებისმიერი სამუშაო საზღვარგარეთ. მსოფლიო ბანკის მონაცემებზე დაყრდნობით, წმინდა მიგრაცია პერიოდების მიხედვით 1992 წლიდან მუდმივად მკვეთრად უარყოფითია.

2006 წლიდან სახელმწიფომ გააუქმა უმუშევართა ყველანაირი დახმარება. არსებობს სიღარიბის დონის რამდენიმე მაჩვენებელი. 2004 წლამდე სახელმწიფო სიღარიბის დონის განსაზღვრისათვის განსხვავებულ კრიტერიუმებს იყენებდა, ვიდრე შემდგომ. **2002 წელს სიღარიბის ზღვარს ქვემოთ, საარსებო მინიმუმის მიხედვით, მოსახლეობის 52% იყო. 1994 წელს ეს მაჩვენებელი შეადგინდა 80%-ს, 1995 წელს 60%-ს. სიღარიბის დონე ყველაზე დაბალი იყო 1996-97 წლებში – დაახლოებით 46%.**

ირაკლი ლეჟინაძე, ეკონომიკის ექსპერტი:

„საქართველოში სიღარიბის ზღვარს მიღმა ითვლებიან ადამიანები, რომლებსაც საარსებო მინიმუმზე დაბალი შემოსავალი აქვთ. ჩვენ რომ ვნახოთ ოფიცია-

ლური სტატისტიკა და ამ მეთოდით დათვლილი სიღარიბე, გამოვა სადღაც 10%-ის ფარგლებში. რეალურად ეს მაჩვენებელი გაცილებით მეტია, იმიტომ, რომ ეს არ არის ზუსტი საზომი. საარსებო მინიმუმი სწორად ვერ ზომავს იმ თანხას, რომელიც რეალურად სჭირდება ადამიანს. ერთი ადამიანის საშუალო მოხმარება არსებული საარსებო მინიმუმით 132 ლარია. **თქვამი 132 ლარით როგორ უნდა იცხოვროს ადამიანი?** ამიტომ სიღარიბის მაჩვენებელი გაცილებით მაღალია. ამ პროცესის რეალურ შეფასებას თუ გავაკეთებთ, დაახლოებით შეიძლება იყოს 40%-ის ფარგლებში. საარსებო მინიმუმში მინიმალურ დონეზეც კი თუ შევიტანთ ყველა საარსებო პროდუქტსა და სერვისს, რომელიც ადამიანს ცხოვრებისთვის სჭირდება, ეს რიცხვი საკმაოდ გაიზრდება. მინდა აღვნიშნო, რომ **რეგიონებში დასაქმების უფრო დაბალი მაჩვენებელია, რის გამოც უფრო მეტია სიღარიბე.** ცენტრალურ ქალაქებში ეკონომიკური აქტივობა უფრო მაღალია. ჩვენთან სიღარიბე მწვედ არ ჩანს, რადგან ემიგრანტები ოჯახის წევრებსა და ნათესავებს ფულს უგზავნიან.

სენტრალურ ქალაქებში ეკონომიკური აქტივობა უფრო მაღალია. ჩვენთან სიღარიბე მწვედ არ ჩანს, რადგან ემიგრანტები ოჯახის წევრებსა და ნათესავებს ფულს უგზავნიან

ესაუბრნენ
ანა ქვიციანიძე,
საგარეო ურთიერთობების
სახელმძღვანელი



შენ ისე ღრმად ხარ, ისე ფაქიზი...

ანა კალანდაძის გარდაცვალებიდან 5 წელი გავიდა, მაგრამ ამ საყოველთაო თაყვანით მოსილი პოეტის ლექსის ყოველი წაკითხვისას, ყოველი მისი მთრთოლვარე ფრაზის გახმინებისას უთუოდ შეგიპყრობთ სურვილი, კდემით დახაროთ თავი და ასე მიეახლოთ ქართული პოეზიის ღირსეულ დედოფალს — მშვენიერ ანას!

განუმეორებელი მშვენიერებით ბრწყინავს მისი პოეტური სამყარო, სადაც სრულიად განსხვავებული, ორიგინალური ფერებით ყვავის სულჩადგმული ბუნება ჩვენი ქედებისა და ველ-მინდვრებისა...

ნოდარ დუმბაძე იგონებდა, გაგვიკვირდებოდა, მაგრამ პირველი სიტყვა, რომელიც ანას მისამართით გავიგონე, ბოროტი და გამქირდავი იყო. „უნივერსიტეტის წინ, ჭადრის ჩრდილში, ერთ ვილაცას გაზეთი „ლიტერატურა და ხელოვნება“ გაეშალა და მეორეს უკითხავდა.

— ნახე რას წერს: „ყაყაჩოს ღვინო სალხინოვო“. ყაყაჩოს ღვინო თუ გაგიგია შენ?

— არ გამიგიაო, — ეუბნებოდა მეორე და იცინოდა.

1946 წლის 14 ივნისი იყო. შევედი სტუდენტთა სამკითხველოში — გაზეთი არ ჰქონდათ, შევედი პროფესორთა და ასპირანტთა ბიბლიოთეკაში — გაზეთი არ ჰქონდათ. კიოსკს მივადექი — გაზეთი აღარ იყო. იმ დღეს თბილისში გაზეთი „ლიტერატურა და ხელოვნება“ განყდა.

ჩათვლა გვქონდა ეკონომისტებს „ფულსა და კრედიტში“, 27 კაცი ველოდით ლექტორს. აუდიტორიაში პროფესორი ნიკოლოზ ქოიავა შემოვიდა, მაგიდას მიუჯდა, ერთხანს ჩუმად იჯდა, მერე დაფასთან გამომიძახა, გაზეთი „ლიტერატურა და ხელოვნება“ გამომიწინოდა და მითხრა: „читай Думбадзе, вслух читай!“ ვკითხულობდი:

...და რა ქალი?!

ხელის გულით სატარები,

რა თვალები?

ელვის ცეცხლის დამჭერი,

ბოშა ქალი,

ვარსკვლავების სადარები,

შეხედეს და...

შეუკურობეს გამჩენი....

რომ დავამთავრე, არავის უკითხავს, შეიძლებოდა თუ არა ხელისგულით ქალის ტარება, თვალებით ელვის ცეცხლის დამჭერა, ქალისთვის გამჩენის შეუკურობება, სანაპიროზე სტვენა და ფეხშიშველა სიარული და სხვა ამგვარი.

ყველა მე მიცქეროდა და მე კი — ყველას, ასეთი საყოველთაო განცვიფრება და დუმილი პირველად მოვისმინე.

და ანიკოს ოჯახს ააშენებს ღმერთი, პროფესორმა გაზეთი სათუთად დაკეცა, ჯიბეში ჩაიღო, ადგა და წავიდა. იმ დღეს ჩათვლა ყველამ მიიღო“.

უდიდესი სითბოთი იხსენებს ანა კალანდაძესთან და მის პოეზიასთან პირველ შეხვედრას **ბელა ახმადულინაც**: „70-იანი წლების დასაწყისში თბილისში სტუმრობისას ჩემი მასპინძლები ქართველი მწერლები და პოეტები იყვნენ. როდესაც პოეზიაზე ჩამოვარდებოდა საუბარი, ყველა ანა კალანდაძეს ახსენებდა. მისი რამდენიმე ლექსის რუსული თარგმანი წაკითხული მქონდა, რამაც ამ პოეტის შესახებ ძალიან თბილი შთაბეჭდილება დამიტოვა. ერთ-ერთ შეკრებაზე კი თავადაც მობრძანდა და რამდენიმე ლექსი წაკითხა. ეს იყო დაუფინყარი სიტყვები, ფრაზები, რითმები. თითოეული ლექსი ჩემს წარმოსახვაში ულამაზეს ნახატებად იშლებოდა. მოგვიანებით მომეცა საშუალება



ანას ლექსები რუსულად მეთარგმნა, კრებული გამოიცა და უდიდესი წარმატებით სარგებლობდა. თარგმნისას კი ჩემს სამუშაო ოთახში საქართველოს მშვენიერი ბუნება იშლებოდა და თითქოს იმ ისტორიულ ადამიანებსაც ვხედავდი, რომლებზეც ანა კალანდაძე წერდა“.

ანა კალანდაძე 1924 წლის 15 დეკემბერს ჩოხატაურის რაიონის სოფელ ხიდისთავში დაიბადა. „სოფელში უბედნიერესი წუთები მაქვს გატარებული, — იგონებდა პოეტი, — მიუხედავად იმისა, რომ იქ არ ვცხოვრობდით. ჩვენი ოჯახი ქუთაისში სახლობდა, იქ მივიღე პირველდანიწყებითი განათლება და საშუალო სკოლაც იქ დავამთავრე. მერე წამოვედი თბილისში. ბავშვობაში კი ყოველ ზაფხულს ჩოხატაურის რაიონის სოფელ ხიდისთავში ვატარებდით.

მე და ჩემი ძმები მოუთმენლად ველოდით არდადეგების დადგომას. ხიდისთავი მამის სოფელია. დედა მეგრელი იყო, სულავას ქალი, მაგრამ ქუთაისში ცხოვრობდა. მე მხოლოდ ერთ ბაბუას, დედის მამას მოვესწარი. მამის მხრიდან ბებია და ბაბუა ცოცხლები აღარ იყვნენ. ბებიას ანა ერქვა და სწორედ მისი სახელი დამარქვეს.



...სოფელში დავწერე პირველი ლექსი. მაშინ მეხუთე კლასში ვიყავი. იმ ზაფხულს ოჯახის ბევრმა წევრმა მოვიყარეთ სოფელში თავი. ჩვენთან ერთად იყვნენ ნათესავის ბავშვებიც. ერთ საღამოს ერთ-ერთი მამიდა რაღაცას გვიყვებოდა. ამ დროს ცაზე მთვარე ამოვიდა, გაანათა მთის წვერები და ჩვენი ყურადღება მიიპყრო. ფოცია მამიდა პედაგოგი იყო, თბილისის ერთ-ერთ სკოლაში ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად მუშაობდა, პედაგოგიურად მოგვიდგა და გვკითხა: „ბავშვებო, მოგწონთ ეს სურათი?“, როცა ვუპასუხეთ, რომ მოგვეწონა, გვითხრა, იფიქრეთ, დაწერეთ რამე და დილას მაჩვენეთო.... იმ ღამით ყველას ტკბილად ეძინა, მე კი თვალი არ მომიხუჭავს, დავალებს შევასრულე და ლექსი მამიდას ვუჩვენე....

სოფელში სახლთან იდგა ის თუთაც, რომელსაც მერე ვუძღვენი „ლამის სახლში შემოიჭრას თუთა“.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე სწავლობდა, რომელიც კავკასიური ენების სპეციალობით 1946 წელს დაამთავრა.

1952 წლიდან მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიისა. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ლექსიკოლოგიის განყოფილებაში უფროს მეცნიერ თანამშრომლად — ეს ნოდება სამეცნიერო ხარისხის დაუცველად მიენიჭა მას 1973 წელს, ინსტიტუტის გადაწყვეტილებით.

1993 წელს აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსად. წლების განმავლობაში მუშაობდა საქართველოს სახელმწიფო ენის მუდმივი კომისიის წევრად, მწერალთა გამგეობის პრეზიდიუმისა და ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს წევრად. დაჯილდოებული იყო „საპატიო ნიშნის“ ორი ორდენითა და ღირსების ორდენით.

1983 წელს მიენიჭა თბილისის საპატიო მოქალაქის ნოდება.

სრულიად საქართველომ ციკლისთვის „თავანუელი ქართული დროშები“ 1985 წელს უმშვენიერესი გვირგვინი — რუსთაველის პრემია უბოძა პოეტ ქალს, იმავე წელს მიენიჭა გალაქტიონ ტაბიძის სახელობის პრემიაც, 1997 წელს — საქართველოს სახელმწიფო პრემია პუბლიცისტიკის

დარგში თხზულებათა მეორე ტომში შესული პუბლიცისტიურ-ესეისტური წერილებისთვის.

2006 წელს 82 წლის ანა კალანდაძე კიდევ ერთი ლიტერატურული პრემიის — „საბას“ ლაურეატი გახდა, რომელიც ლიტერატურაში შეტანილი წვლილისთვის გადასცეს. „დღეს ბედნიერი ვარ, რადგან თანამედროვე ქართული ლიტერატურის ჯილდო გადომეცა. ეს ნიშნავს, რომ ჩემი ლექსები ჯერ კიდევ აინტერესებს ახალგაზრდა მკითხველს“, — ასეთი იყო მსცოვანი პოეტის მცირე კომენტარი.

ანა კალანდაძე გარდაიცვალა 2008 წლის 11 მარტს, ხანგრძლივი ავადმყოფობის შედეგად. გარდაცვალებამდე 3 თვით ადრე პოეტმა ინსულტი გადაიტანა, რაც მისი ჯანმრთელობის გაუარესების მიზეზად იქცა. პოეტი სამების საკათედრო ტაძრიდან გამოასვენეს და მთაწმინდის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში დაკრძალეს.

საქართველო დღეს მას მისივე სიტყვებით ეფერება:

„უცხოდ დგას შენი შარავანდელის მეფური ბრწყინვა...“

მოდიოდა ნინო მთებში

ლურჯ მწვერვალებს
ქარი რძისფერ ნისლში ხვევდა...
და, როდესაც ბარში ვარდნი ყვაოდნენ,
თოვლი იდო ჯავახეთის მთათა ზედა
და ტყეებში ქარიშხლები ბლაოდნენ...
მოჰკიოდა, ქარი ღრუბლებს მოჰკიოდა
და ფარავანს ტბასა ზედა ძრწოდა ქარი...
მოდიოდა, ნინო მთებით მოდიოდა
და მოჰქონდა სანატრელი ვაზის ჯვარი...
თოვლის მთებით ჰკვირდებოდა უცხო მგზავრი, —
ვის უნახავს ვარდობისას თოვლი მთებზე?
მწყემსსა ჰკითხა: რომელია ქართლის გზაი?
მწყემსმა უთხრა: საქართველო არის ესე...
მიეძინა... ერთ წალკოტში მიეძინა
და ფშატებმა მზისგან მოუჩრდილეო;
ეს ვინ არი, გამოცხადდა მგზავრის ნინა?
„ნუ გეშინინ!“ — ეუბნება იესო...
გაელვიდა... ნუთით იგრძნო მშობლის სევდა,
მაგრამ რწმენა ავალეზდა რაოდენს?
თოვლი იდო ჯავახეთის მთათა ზედა
და ტყეებში ქარიშხლები ბლაოდნენ...

შენ ისე ღრმა ხარ, ქართულო ცაო

შენ ისე ღრმა ხარ, ქართულო ცაო,
შენ ისე ღრმა ხარ...
სამკვიდრო შენს ქვეშ მტრად შემოსულმა
ვერაგინ ნახა:
ვერცა ოსმალომ, ვერცა მონღოლმა
და ვერცა სპარსმა,...
შენი დიდების მომღერალია
ოშკი და ზარზმა,
ბებერი ტაო...
შენ ისე ღრმა ხარ, ისე ფაქიზი,
ქართულო ცაო!...

თუთა

ლამის სახლში შემოიჭრას თუთა,
ლამის თავზე გადამისვას ხელი...
დამიძახებს, თვალს ჩამიკრავს მუდამ
ხე მაღალი, ხე ზურმუხტისფერი...
რა ჩურჩული ესმით ჩემთა ყურთა!
რა ჩურჩული!.. დამდაგველი, მწველი...
ლამის სახლში შემოვიდეს თუთა.
ლამის ნელზე შემომხვიოს ხელი.



მანანა ანდრიაძის ნათელ ხსოვნას

სიკვდილი არ არის ყველაფრის დასასრული, მით უფრო მაშინ, როცა მთელი ცხოვრება კეთილ და მნიშვნელოვან საქმეს აკეთებ, შენს ქვეყანასა და ხალხს რომ წაადგება, ისეთს. არა, ასეთი ადამიანები მართლა არ კვდებიან! ისინი, უბრალოდ, მიდიან. მიდიან, რათა შორიდან უფრო ნათლად დაგვანახონ, რომ შორეულნიც კი ძალიან ახლობელნი და ძვირფასნი არიან.

ამ დღეებში თბილისის კონსერვატორიაში მძიმე განწყობა სუფევდა. გარდაიცვალა შესანიშნავი მუსიკატომცოდნე და პედაგოგი, ნიჭიერი მკვლევარი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, პროფესორი მანანა ანდრიაძე.

ქალბატონი მანანა გახლდათ ერთ-ერთი პირველი ქართველი ქალი მუსიკისმცოდნე, რომელმაც მოიპოვა ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორის ხარისხი. მის სახელს უკავშირდება ასევე თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის კონსერვატორიაში საეკლესიო მუსიკის კათედრის დაარსება. იგი წლების მანძილზე გახლდათ კონსერვატორიაში მუსიკისმცოდნეობა-საკომპოზიტორო ფაკულტეტის დეკანი, პრორექტორი სასწავლო დარგში, რექტორის მოადგილე, სამეცნიერო-კვლევითი სამსახურის უფროსი, საქართველოს კომპოზიტორთა და მუსიკისმცოდნეთა კავშირის გამგეობის წევრი, საქართველოს პედაგოგიურ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, საქართველოს საპატრიარქოს სამგალობლო ცენტრის კონსულტანტი.

გასაკვირია, როგორ ახერხებდა ეს გარეგნულად მშვიდი, განონასწორებული, ლამაზი, ელეგანტური ქალბატონი უამრავი ვალდებულებების ფონზე, მოვალეობისადმი დიდი პასუხისმგებლობით სერიოზული მეცნიერული და პედაგოგიური საქმიანობის პირნათლად წარმართვას.



„ეს იყო უდიდესი ადამიანი, ამ სიტყვის სრული გაგებით. ამიტომაც გაჰყვა მას ამდენი ცრემლი, ამიტომ გვსურს ჩვენ, მის კოლეგებს აი, ეს ჩვენი, მართლა დიდი სიყვარული გამოვხატოთ მის მიმართ“
მანანა ღოიჯაშვილი

მისი სამეცნიერო ინტერესები მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა.

მისი სამეცნიერო კვლევა მოიცავს ძველი და ახალი ქართული პროფესიული მუსიკის თეორიის, ისტორიისა და პალეოგრაფიის საკითხებს. მეცნიერულად პირველმა მან დაამტკიცა ნევმური სისტემის არსებობა ახალ ქართულ ჰიმნოგრაფიულ ძეგლებში (XVIII-XIX სს.). ქალბატონი მანანა 40-მდე სამეცნიერო ნაშრომის ავტორია, რომლებიც სხვადასხვა

დროს გამოქვეყნდა ქართულ და უცხოურ სამეცნიერო კრებულებში, ჟურნალებში, მუსიკალურ ენციკლოპედიებში. იგი სისტემატურად მონაწილეობდა საერთაშორისო კონფერენციებსა და სიმპოზიუმებში როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ, 2001 წელს გახლდათ მრავალხმიანობის (სასულიერო მუსიკის) საერთაშორისო კონფერენციის ერთ-ერთი ორგანიზატორი.

მისი ინიციატივით სახელმწიფო კონსერვატორიაში 2004 წელს დაარსდა სტუდენტთა ფოლკლორული ანსამბლი, რომელიც მისი დამაარსებლის ხსოვნის პატივსაცემად ამდღენივე დღის წინ კონსერვატორიის მცირე დარბაზში გამართულ ხსოვნის საღამოში აქტიურად მონაწილეობდა. საღამოზე ასევე შედგა მუსიკა სულხან ცინცაძის სახელობის სახელმწიფო სიმებიანი კვარტეტისა და ქალბატონი მანანას კოლეგების შესრულებით.

„ეს იყო უდიდესი ადამიანი, ამ სიტყვის სრული გაგებით. ამიტომაც გაჰყვა მას ამდენი ცრემლი, ამიტომ გვსურს ჩვენ, მის კოლეგებს აი, ეს ჩვენი, მართლა დიდი სიყვარული გამოვხატოთ მის მიმართ“, — კონსერვატორიის რექტორის, ქალბატონ მანანა ღოიჯაშვილის გულწრფელ სიტყვებს იზიარებს არა მარტო მცირე დარბაზში შეკრებილი საზოგადოება, არამედ ყველა, ვინც კი იცნობდა მშვენიერ ქალბატონს — მანანა ანდრიაძეს.

სიმბოლური იყო ისიც, რომ საღამო თბილისის ყოვლადწმიდა სამების კათედრის საპატრიარქო გუნდის მიერ შესრულებული „შენ ხარ ვენახით“ დასრულდა.

ქალბატონ მ. ანდრიაძისადმი პატივისცემის ნიშანი იყო ისიც, რომ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა — ილია II-მ მას ქაშუეთის ეკლესიაში პანაშვიდი გადაუხადა და გზა დაულოცა სამუდამო სასუფეველში.

ამ არაჩვეულებრივი პიროვნების ხსოვნა და მისი სახელი სამუდამოდ ჩაინერება ქართული მუსიკალური კულტურის ისტორიაში.

კახაკთა იდეახისტორის თავდაღებული

რუსეთის პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწე ევგრაფ გრუზინოვი

1800 წელი იდეა. სექტემბრის პირქუში დილა. დონელთა ძველი დედაქალაქის თავზე ჯალათი ამართულიყო. ცენტრალურ მოედანზე, ამაღლების ტაძრის გვერდით ეშაფოტს ამზადებდნენ ადამიანისთვის, რომლითაც სულ ცოტა ხნის წინ ამაყოფდნენ დონელები და რომლის წამებით მოსალოდნელ სიკვდილთან ერთად კახაკები თავიანთ დაკარგულ თავისუფლებას დასტიროდნენ. ეს ადამიანი გახლდათ ევგრაფ გრუზინოვი, კახაკთა რიგებში აღმოჩენილი ქართველი კაცის — რომან ნამჩევადის შვილიშვილი.

ევგრაფ ოსიპის ძე გრუზინოვის სახელი რუსეთის საზოგადოებრივ პოლიტიკურ აზროვნებაში XVIII საუკუნის ბოლოს ჩნდება. მან ღირსეული გზა განვლო რიგითი კახაკიდან გვარდიის პოლკოვნიკის ჩინამდე და მფლობელობაში მიიღო ათასამდე სული ყმა გლეხი და 10 000 დესეტიანამდე მამული, გახდა მალტის ორდენის კომანდორი და რიგი რუსული ორდენების კავალერი. ამბობდნენ, რომ კარიერა გაიკეთა პავლე პირველთან სიახლოვით. „ბრწყინვალე“, „გადასარევი“, „თავდადებული“ — ასე მოიხსენიებდნენ მეფის სასახლეში იმპერატორ

პავლე I-ის საყვარელ ქვეშევრდომს, კახაკთა პოლკის ლეიბ-გვარდიის პოლკოვნიკ ევგრაფ გრუზინოვს. მისი თავბრუდამხვევი წარმატება შედეგი იყო მისი ღვთივბოძებული ნიჭისა და უნარისა, რადგან იზრდებოდა ისე, როგორც ყველა კახაკი ბავშვი, ცხენზე, მიიღო მხოლოდ დაწყებითი განათლება, მაგრამ აღმოჩნდა ჭკვიანი და გულმოდგინე, რის გამოც მოხვდა კახაკთა პოლკის ლეიბ-გვარდიაში.

1796 წელს, ეკატერინე მეორეს სიკვდილის შემდეგ, გატრინელ კახაკთა ესკადრონები შევიდნენ ახლადჩამოყალიბებულ ლეიბ-

ჰუსარული კახაკური პოლკის შემადგენლობაში. პოლკში იყო ორი კახაკური ესკადრონი, რომელთა მეთაურად დაინიშნა პოლკოვნიკის ჩინმიღებული ევგრაფ გრუზინოვი. ამასთანავე, ერთი ინოდებოდა „მის უდიდებულესობა იმპერატორ პავლე პირველის“ ესკადრონად და მეორე — „პოლკოვნიკ გრუზინოვ-პირველის (გრუზინოვ მეორის — პეტრესაგან განსასხვავებლად)“ სახელობისად. აქედან, ცხადია იმპერატორის უსაზღვრო მწყალობლობა ევგრაფ გრუზინოვისადმი. ყველა გარშემომყოფმა უწყოდა, რომ ეს ოცდაათი წლის კახაკი იყო იმპერატორის უსაყვარლესი პიროვნება. როგორც სამეფო კარზე ამბობდნენ: „ხელმწიფეს სუნთქვაც კი არ შეეძლო ევგრაფ გრუზინოვის გარეშე“. ასე რომ, იმპერატორ პავლე I-ისათვის გრუზინოვი მეტი იყო, ვიდრე უბრალოდ ლეიბ-გვარდიის ოფიცერი. ჯერ კიდევ უფლისწულობის პერიოდში დაიახლოვა იგი მეფემ მისი უსაზღვრო თავდადების გამო. მას შემდეგ ე. გრუზინოვი პავლე I-ისათვის იყო ნდობით აღჭურვილი პირი, რომელსაც ადნობდა ფოსტისა და ფულის გადატანას, მოგვიანებით კი გახდა მისი პირადი მცველი. ეშინოდა რა ირგვლივ ყველასი და ყველაფრის, პავლე I მხოლოდ გრუზინოვს ენდობოდა და ევგრაფი ზოგჯერ ათენებდა კიდევ მეფის კაბინეტში. ნიშანდობლივია, რომ პავლეს წინააღმდეგ შეთქმულნი თავს ესხმოდნენ გრუზინოვს ათასგვარი ცილისწამებებით, რადგან მასში ხედავდნენ საკუთარი განაზრახის სისრულეში მოყვანის დიდ წინააღმდეგობას.



ძალაძი ჩერკასკი, სადაც გაროზგან გრუზინოვი სულის ამოხდომამდე




მშვენიერი გარეგნობის, მოხდენილი აღნაგობის, დიდი ფიზიკური ძალის მქონე გრუზინოვის მიმართ ყველანი ისედაც შურით იყვნენ აღვსილნი, და ამგვარი მიზეზის არსებობის გამო, ეძებდნენ საბაბს მის მოსაშორებლად.

ასეთი საბაბიც მალე მიეცათ: თავიდან პავლე პირველი დიდად სწყალობდა კაზაკებსა და დონის მხედრობას, მაგრამ პოტიომკინის ახალ წესრიგს ვერ შეეგუენ კაზაკები, რაც, საბოლოო ჯამში გულისხმობდა დონის კაზაკთა მიწების რუსეთის გუბერნიად გადაქცევას. ამის შემდეგ ყოველი ადრინდელი კეთილგანწყობა ერთბაშად შეიცვალა კაზაკთა ინტერესების დამცველთა მიმართ რისხვით და ამ შერისხულთა შორის პირველნი აღმოჩნდნენ ძმები გრუზინოვები.

ადრე პავლე პირველის უალტერნატივო ფავორიტები: პორუჩიკი პეტრე და პოლკოვნიკი ევგრაფი დათხოვნილ იქნენ გვარდიიდან. ისინი გადასცეს დონის სამხედრო კანცელარიას, სადაც ძალაუფლება ჰქონდათ რუსეთის პროკურორსა და იმპერატორის დანიშნულ კოლეგიის წევრებს. განაჩენი გრუზინოვებს სწორედ მათ გამოუტანეს.

ისინი დაადანაშაულეს სრულიად წარმოუდგენელ ბრალდებებში. მაგალითად, ვითომცდა ევგრაფს დაეკეხოს, რომ აიღებს კონსტანტინეპოლს და დაასახლებს მას სხვადასხვა სარწმუნოების ადამიანებით, დააარსებს იქ თავის სენატსა და მმართველობას და მოსკოვსაც შეაზანზარებს; ვითომც გაკილვით მოუხსენებია ხელმწიფე-იმპერატორი...

ამას გარდა, ევგრაფ გრუზინოვი ბრალდებული იყო იმაშიც, რომ თურმე ღიად გამოთქვამდა აღმფოთებას რუსების მიერ აზოვისპირა მხარის მითვისებაში, რადგან ეს მხარე დონის კაზაკთა მფლობელობაში უნდა ყოფილიყო. ამავ დროს, პროტესტს აცხადებდა იქ კაზაკების ნაცვლად ბერძენებისა და სომხების ჩამოსახლების გამო. მას მიაწერდნენ გამონათქვამს: „მე პუგაჩოვზე



უარეს საქმეს ჩავიდენ. მახვილი თუ ავიღე, მთელ რუსეთს შევაზანზარებ!“ ის უარს აცხადებდა, თავი ეცნო რუსეთის იმპერატორის ქვეშევრდომად და ამტკიცებდა, რომ **„ყველა დონელი კაზაკი დამოუკიდებელია მეფის ტახტისაგან და მისთვის მარადიული ფიცი კი არ მიუციათ, არამედ დროებითი – მსახურებასთან დაკავშირებული“.**

პირველმა, უმცროსმა ძმამ იწვნია სასჯელის მთელი სიმკაცრე. 1800 წლის 26 აპრილს პორუჩიკ პეტრე გრუზინოვს ჩამოართვეს ჩინები და ორდენები, დასაჯეს მათრახის ცემით და გაასახლეს ციმბირში. ოთხი თვის შემდეგ, 26 აგვისტოს პავლე პირველმა გამოიტანა მეორე განჩინება, იმპერატორისადმი უკადრისი სიტყვის მიგების გამო, ევგრაფ გრუზინოვისთვის: **„სამსახურიდან დათხოვილ პოლკოვნიკ გრუზინოვ პირველს, ჩვენი და სახელმწიფოს ღალატისათვის, ჩამოერთვას ჩინი და აზნაურობა და დაუნდობლად გამათრახდეს, ხოლო მისი მამული გადაეცეს ხაზინას“.**

1800 წლის 27 ოქტომბერს, ჩერკასკის მოედანზე ევგრაფ გრუზინოვი დაისაჯა მათრახის ცემით.

გრუზინოვებს თანაუგრძნობდა დონელთა უდიდესი ნაწილი, რადგან ძმები ღიად გამოხატავდნენ იმ სულისკვეთებას, რის გამხელასაც კაზაკები ხმამაღლა ვერ ბე-

დავდნენ. ამიტომ, როგორც მემპტიანე გადმოგვცემს, ეშაფოტის ყოველ კუთხეში იყო ამოთხრილი საფლავები, იდგა დაცვა და იყო ტყვიამფრქვევები. ჯარისკაცებს მომარჯვებული ჰქონდათ ანთებული ფითილები, ხელისუფლებას ეშინოდა, კაზაკები გრუზინოვის დახმარებას შეეცდებოდნენ. მაგრამ ეს არ მომხდარა და სპეციალურად დანიშნულმა ჯალათმა თავისი საქმე გააკეთა. რამდენჯერაც მის ზურგს როზგი მოხვდებოდა, ამბობდა: „უფალო, შეუნდე...“

რუსეთის ადამიანის წამებით სიკვდილთა ისტორიაში მრავალი საშუალებით ხდებოდა სიკვდილის მისჯილთა მოკვდინება. ფორმალურად მათრახის ცემით არავინ მოუკლავთ. უშუალოდ მათრახის ქვეშ სიკვდილის მხოლოდ ეს ერთი შემთხვევაა ცნობილი რუსეთში. ევგრაფს მორიგეობით როზგავდა ოთხი ჯალათი და სასჯელი გრძელდებოდა მზის ამოსვლიდან შუადღის ორ საათამდე, ვიდრე ქანცამოცილიმა ჯალათმა დაღლილობისგან არ მიაგდო მათრახი. ამიტომ გადაწყვიტეს, სხვა ხერხი ეცადათ გრუზინოვის მოსაკლავად — უბრძანეს მას ცივი წყლის დაღვევა, რის შემდეგაც იგი მყისიერად აღესრულა. დონელებმა ძმები გრუზინოვები შერაცხეს მონამეებად, რადგან მათ თავი გადასდეს კაზაკთა იდეისთვის!

კულოსავთ

საქართველოს დამსახურებული ექიმი, დიდი სამამულო ომის ვეტერანი, ქალბატონი ნუცა ჭაჭია ათეული წლების განმავლობაში ერთგულად ემსახურებოდა მშობელ ხალხს — მშვიდობისა თუ ომის ქარცეცხლიან წლებში იდგა მისი ქვეყნის სადარაჯოზე. მას 97 წელი შეუსრულდა. ჟურნალი „ისტორიული მემკვიდრეობა“ ამაგდარ ქალბატონს ჯანმრთელობასა და დღევგრძელობას უსურვებს. აქვე გთავაზობთ რამდენიმე ფოტოს მისი საოჯახო ალბომიდან.



ნუცა ჭაჭია კმეზთან ერთად, 1923 წელი




მამა — ესტატა
თეიმურაზის ძე
ჭაჭია,
1913 წელი



1913 წ.

დედა —
გაბილინა
მანუჩარის ასული
ქურულორია



სურამში დედასთან
და ძმებთან ერთად,
1929 წ.



1925 წ.




ნუცა ჭაჭია
გუმოვლებთან
და
ნათესავთან
ერთად
1924 წ.



უფროს ძმასთან — ალექსანდრე
ჭაჭიასთან ერთად, თბილისი, 1936 წ.



ქალბატონი ნუცა მირანდა ფალავანდიშვილთან, თამარიკო გამსახურდიასთან და პატარა ზვიად გამსახურდიასთან ერთად ბახმაროში, 1951 წ.



ნუცა ჭაჭინას მივულა ვაღვირინ მარღანია



მამასთან ერთად ბორჯომში, 1951 წ.



ბახმარო, 1951 წელი



შენ ისე ღრმა ხარ, ქართულო ცაო,
შენ ისე ღრმა ხარ...
სამკვიდრო შენს ქვეშ მტრად შემოსულმა
ვერაფინ ნახა:
ვერცა ოსმალომ, ვერცა მონღოლმა
და ვერცა სპარსმა,

შენი დიდების მომღერალია
ოშკი და ზარზმა,
ბებერი ტაო...
შენ ისე ღრმა ხარ, ისე ფაქიზი,
ქართულო ცაო!..

ანა კალანდაკე